საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№39 (463)
31 ოქტომბერი - 6 ნოემბერი, 2018
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

15
## დონალდ ტრამპი, სპეცპროკურორი მიულერი, ბოლტონი მოსკოვში და საქართველო

2-6
## «ნაციონალური ოცნება»: სად მიიყვანა ბიძინა კოაბიტაციამ და სად მიგვიყვანა ბიძინამ ამომრჩევლები




## მიშა მოდის! თუ ქოცებმა ასე განაგრძეს...



11
## პაპი ერთი ხელით სახარებას გვიკითხავს, მეორეთი ლგბტ თემს ეკეკლუცება?!

მამა გიორგი (რაზმაძე):



## ეს იქნება რელიგიური ომი და ამ ომს გაცილებით მეტი დამანგრეველი ეფექტი ექნება ქვეყნისთვის
10

21
## ფინელების უდიდესი ნაწილი ნატოს წევრობის წინააღმდეგია




„უაზრობა იქნება, ფინეთი ორი დიდი სახელმწიფოს კონფრონტაციაში მონაწილეობდეს“



## უნდა შეწყდეს ბავშვებისთვის იმის ჩიჩინი, რომ მშობლებს არ უნდა დაუჯერონ და, თუ მშობელი შენიშვნას მისცემს, პატრულში უჩივლონ
8

16



თემურ ყვითელაშვილი:
## თბილისელობას მსოფლიოში არ მოეძებნება ანალოგი

**ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**როგორც ინდივიდი, ადამიანი შეიძლება გამოიყვანოს ვინმემ ან რამემ წყობიდან, აღარ დაფიქრდეს ის მოსალოდნელ შედეგებზე და თავის მოკვლა სცადოს, აი, სწორედ ასეთ დღეში ჩააგდეთ თქვენ ქართველი საზოგადოება და ეს საზოგადოება დღეს ნაცებისთვის მობრუნების შანსის მიცემით სწორედ საკუთარ „თვითმკვლელობის მცდელობას“ გამოხატავს, ხოლო ბრალი „თვითმკვლელობამდე მიყვანაში“ აუცილებლად თქვენ წარგედგინებათ, პატივცემულო „ოცნების“ ხელისუფლებავ!**

# არჩევნების შედეგი — «ქაჯების შერწყვნა» და ნეხვი ფრანგულად



**მკითხველი, ალბათ, არ დამძრახავს, რომ საქართველოს მეხუთე პრეზიდენტის არჩევნების შედეგების გამოცხადების შემდეგ თემურ ბაბლუანის გენიალური კინოფილმი „ბეღურების გადაფრენა“ გამახსენდა. ამას ორი მიზეზი აქვს: ერთი ის, რომ თვითონ ბაბლუანი სალომე ზურაბიშვილის მხარდამჭერთა რიგებში იყო და მეორე — ამ ფილმის მთავარი გმირი ფინალურ სცენაში დასცინის მეორე გმირს, რომელიც მანამდე მატარებელში თავისი „პარიზული თავგადასავლებით“ ტრაბახობდა. „აბა, ნეხვი როგორ არის ფრანგულად?!“ — ამ სიტყვებით ეირონიება იგი გალახულ მოქიშპეს. დაახლოებით იგივე სცენა წარმომიდგა თვალწინ, თუკი გალახულში „ქართული ოცნების“, ხოლო გამლახავში „ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო შტაბებს ვიგულისხმებთ.**

რა თქმა უნდა, ყველას გაგახსენდებათ, როგორ ტრაბახობდა **ბიძინა ივანიშვილი**, რომ მისი რჩეული კანდიდატი არის „ფრანგული განათლების, ფრანგული კულტურისა და ევროპული ღირებულებების ქალბატონი“. ვერასოდეს მივხვდები, რატომ მიაჩნდა ეს მას ან ვინმეს არჩევნების უპირობოდ მოგების გარანტიად. სინამდვილეში, **სალომე ზურაბიშვილის** ერთადერთი „კოზირი“ პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნების“ მხარდაჭერა იყო, სხვა დადებითი ამ ქალბატონს არაფერი ჰქონდა და, მას მართლა დამოუკიდებლად რომ მიეღო არჩევნებში მონაწილეობა, დარწმუნებული ვარ, 2 პროცენტს ვერ ასცდებოდა.

აქვე ცოტა წინ „გავიქცევი“ და ვიკითხავ — „ქართული ოცნების“ ბოსები ჩასვრილი საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ დატუქსული ბავშვებივით რომ ფშლუკუნებდნენ ბრიფინგზე: საზოგადოებისგან მივიღეთ სიგნალი და ვხვდებით, მწარედ შევცდით. მეორე ტურში გვერდით დაგვიდექით და აწი ასე აღარ მოვიქცევითო. მინდა, მათ ვკითხო: **2016 წლის საპარლამენტო არჩევნები არ იყო თქვენთვის სიგნალი?** თუ, რადგან საკონსტიტუციო უმრავლესობა მაინც გაინაღდეთ, გაანალიზებას და, თქვენი შეფის არ იყოს, „ჩაანალიზება“-„ჩაჭიდებებს“ შეეშვით? არხეინად იგრძენით თავი? **რატომ არ გაიაზრეთ, რის ხარჯზე მიიღეთ 2016 წელს ეგ საკონსტიტუციო უმრავლესობა? მაჟორიტარული ოლქების უმეტესობაში მეორე ტური რომ დაგიჯდათ ნაცებთან და, ძლივს რომ გაათრიეთ თქვენი კანდიდატები, ეგ არ იყო სიგნალი? თუ მაინცდამაინც გაბმული „პიპინ-პიპინი“ გინდოდათ, რომ გამოფხიზლებულიყავით?**

პირდაპირ უნდა გითხრათ: **არც გაბედოთ ამ ყველაფერში ხალხის დადანაშაულება!** ეს უკვე საბოლოო კატასტროფას გამოწვევს და შეიძლება ხალხმა საბოლოოდ კი ინანოს, რომ თავისი უმოქმედობით ნაცები დააბრუნა და ეს, დიდი ალბათობით, ასეც იქნება, მაგრამ პაუხისმგებლობა ასეთ შედეგზე მაინც თქვენ დაგეკისრებათ.

ნაცების დაბრუნების შედეგად უკანალში „დუბინკაგაყრილი“ თუ ნაწამები და უსამართლოდ დაპატიმრებული თითოეული მოქალაქის ცოდვა მაინც თქვენზე იქნება, რაც უნდა მათი ბრალი იყოს ნაცების მობრუნება. თქვენ, როგორც ხელისუფლება, პასუხისმგებელი ხართ ამ ყოველივეზე. შემიძლია ვთქვა, რომ **თქვენ უბიძგებთ საზოგადოებას ასეთი „სუიციდისკენ“. როგორც ინდივიდი, ადამიანი შეიძლება გამოიყვანოს ვინმემ ან რაიმემ წყობიდან, აღარ დაფიქრდეს ის მოსალოდნელ შედეგებზე და თავის მოკვლა სცადოს, აი, სწორედ ასეთ დღეში ჩააგდეთ თქვენ ქართველი საზოგადოება და ეს საზოგადოება დღეს ნაცებისთვის მობრუნების შანსის მიცემით სწორედ საკუთარ „თვითმკვლელობის მცდელობას“ გამოხატავს, ხოლო ბრალი „თვითმკვლელობამდე მიყვანაში“ აუცილებლად თქვენ წარგედგინებათ, პატივცემულო „ოცნების“ ხელისუფლებავ!**

შეცდომები? რა ვიცი, ამას შეცდომები ჰქვია თუ სრული იდიოტიზმი, მაგრამ ისინი თქვენ მართლა ბევრი დაუშვით.

* ვის და საიდან მოაფიქრდა 2016 წლის საპარლამენტო გამსვლელ სიაში ამდენი ნაგვის ჩაყრა?! მთავარი „გოლი საკუთარ კარში“, რა თქმა უნდა, მრავალ პარტიაზე გადახტუნებულ-გადამხტარი **ზაზა გაბუნია** იყო. ამ ტანსაცმლიანად კარიერისტ ვირთხას, ხალხისთვის სასტიკად მიუღებელ და ოდიოზურ პერსონას პარტიისა და საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთ ლიდერად და „სახედ“ რომ შემომთავაზებ, მაპატიე და, ამის მერე რატომ გაქვს იმედი, რომ მე, ჩვეულებრივი მოკვდავი, მხარდამჭერი, მაინც გვერდით დაგიდგები?

* ან რატომ ჩაწერე პარლამენტის გამსვლელ სიაში ის სრულიად გაუგებარი დედაკაცების ჯგუფი, რომლებიც მაშინ, როდესაც შენი ერთგული ხალხი სამკვდრო-სასიცოცხლოდ ომობდა რეჟიმთან, სადღაც უცხოეთში თბილად ჩაყუჟულები ელოდნენ, ვინ გაიმარჯვებდა და, თუ მიშა მოიგებდა 2012-ში, მაშინ მიშას ბუდეში კარიერის ასაწყობად ემზადებოდნენ. „ირაკლი კობახიძის დაქალობა“ ნუთუ საკმარისი წინაპირობაა იმისთვის, რომ ხალხის წარმომადგენელი გახდე ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში?

* ან კიდევ **ლაშა ნაცვლიშვილი** პრეზიდენტის არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე ისევ რომ გამოჩნდა და „ოცნების“ ერთ-ერთი მთავარი მედიაპროექტი „პოსტივი“ ჩაიბარა, ეს რას უნდა ნიშნავდეს? ეგ ის ლაშა ნაცვლიშვილი არ არის, საქართველომ რომ შეიტყო, ბიძინას მილიონი მოუტეხა და გაქრაო? ეგ ის ლაშა ნაცვლიშვილი არ არის, გენერალური პროკურორის მოადგილის პოსტიდან გადადგომაზე განცხადებაც რომ არ გაუკეთებია და ისე „დაიკარგა“? ეგ ის ლაშა ნაცვლიშვილი არ არის, ბიძინას უახლოესი გარემოცვის წევრებმა ქვეყანას რომ მოსდეს, გენერალურ პროკურატურაში არსებული ყველა სისხლის სამართლის საქმე ბობოლა ნაცების წინააღმდეგ რაც იყო აღძრული, ლაშა ნაცვლიშვილმა მოსპო და გაანადგურაო? იმასაც ეჭვობდნენ, ნაცებისგანაც აქვს ფული აღებულიო. ახლა ეს კაცი „ოცნების“, ფაქტობრივად, მთავარ „პიარშიკად“ გვევლინება **შალვა რამიშვილთან** ერთად. რატომ?

**«ქართულო ოცნებავ», გვიპასუხე: როდემდე გინდათ, თქვენგან შემოთავაზებული რომელიმე კანდიდატისთვის ან პარლამენტში გამსვლელი სიისთვის, ან თქვენი მაჟორიტარებისთვის ხმის მიცემის ერთადერთი არგუმენტი იყოს — «აბა, უკანალში ხელკეტი გინდათ?» კარგი, უკანალში ხელკეტები არ გვინდა, მაგრამ თქვენ რას გვთავაზობთ? იმას, რომ თქვენი ჯიუტი და ამპარტავანი მილიარდერი «ბელადის» მძევლები ვიყოთ და მისი ყველა ხუშტური დავაკმაყოფილოთ? ამ რეჟიმში უნდა ვიცხოვროთ? და როდემდე?**

უამრავი ასეთის გახსენება და დაწერა შეიძლება, მაგრამ, ალბათ, ამას მთელი გაზეთიც არ ეყოფა, ამიტომ ისევ პრეზიდენტის არჩევნებს დავუბრუნდეთ და მიპასუხეთ: რატომ შემოგვტენეთ (დიახ, შემოგვტენეთ!) სავარაუდო კანდიდატებიდან ყველაზე ულირსი, ყველაზე მიუღებელი, ხალხისთვის ყველაზე აუტანელი და ყევლაზე დაბალრეიტინგიანი **სალომე ზურაბიშვილი?**

„ქართულო ოცნებავ“, გვიპასუხე, როდემდე გინდათ, თქვენგან შემოთავაზებული რომელიმე კანდიდატისთვის ან პარლამენტში გამსვლელი სიისთვის, ან თქვენი მაჟორიტარებისთვის ხმის მიცემის ერთადერთი არგუმენტი იყოს — „აბა, უკანალში ხელკეტი გინდათ?“

კარგი, უკანალში ხელკეტები არ გვინდა, მაგრამ თქვენ რას გვთავაზობთ?

იმას, რომ თქვენი ჯიუტი და ამპარტავანი მილიარდერი „ბელადის“ მძევლები ვიყოთ და მისი ყველა ხუშტური დავაკმაყოფილოთ? ამ რეჟიმში უნდა ვიცხოვროთ? და როდემდე?

2013-ში **გიორგი მარგველაშვილის** არჩევისას წამოგყევით ამ ხუშტურში და ბატონი „პლასტელინი“ 62 პროცენტით ავირჩიეთ! მართალია, ახალა ამ თვითდაჯერებულმა ტუტუცმა ამაყად განაცხადა „მე მაშინ ავიღე 62 პროცენტი, როცა ადმინისტრაციულ რესურსს ნაციონალები ფლობდნენო“, მაგრამ შენც ხომ იცი, ბატონო ბიძინა, და ჩვენც, რომ ეს კაცი სალომე ზურაბიშვილზე გაცილებით უარესად შერცხვებოდა დღეს, როდესაც ხალხმა უკვე, გიორგის ან სალომეს კი არა, პირადად შენი ნდობა დაკარგა!

კარგი, ეს გავიარეთ და თვითონ ნახე, ბატონო ბიძინა, ამ ახირებამ რა შედეგებიც მოგვიტანა. ნუთუ ვერ გაიაზრე, რომ იაფფასიანი მლიქვნელობით, — „პელე ხარ!“ არიფივით შეგაბა მარგველამ?

ადექი და **დავით ნარმანია** აიჩემე. აი, მანდ უკვე იყო პირველი „სიგნალი“! სულ რაღაც, ორი წლის დამარცხებულ ნაცებთან დედაქალაქის მართვის სადავეების ხელში ჩასაგდებად მეორე ტური დაგჭირდათ. თანაც ვისთან? სრულიად ოდიოზურ კანდიდატ **ნიკა მელიასთან.**

2016 წლის საპარლამენტო არჩევნები უკვე ვახსენე, თუმცა მეტი სიმძაფრისთვის ერთ კონკრეტულ მაგალითს დავამატებ: ჩემს უბანში, მაგალითად, მეორე ტური გაიმართა „ოცნების“ წარმომადგენელ მორაგბე **ირაკლი აბუსერიძესა** და ცნობილ „ნაც-ზონდერ“ **გიორგი ონიანს** შორის. ონიანი ამჟამად პატიმარია და უკვე სასამართლოს მიერაც აქვს მისჯილი ადამიანის უფლებების უხეში დარღვევისთვის და პატიმრების ცემა-წამებისთვის. მაშინ კი იგი გირაოთი იყო გამოშვებული და საპარლამენტო არჩევნებში ნაცების სახელით მონაწილეობდა. აი, ასეთ პერსონასთან გამარჯვებისთვის რომ მეორე ტური დაგჭირდება, უნდა იყოს თუ არა ეს შენთვის სიგნალი, რომ ძალიან ცუდად მიდის საქმე და რომ არასწორ კანდიდატებს აყენებ და სთავზობ ხალხს? **ირაკლი აბუსერიძის, როგორც პიროვნების, საწინააღმდეგო არაფერი მაქვს და იგი ჩვენი ქვეყნის საამაყო სპორტსმენია, მაგრამ თუნდაც ეს სპორტსმენების, მორაგბეების, ფეხბურთელების და სხვათა პარლამენტში ასე უაზროდ შეყრა რა „სპორტია“?!**

შედეგი? შედეგი სწორედ ისაა, რაც ბიძინა ივანიშვილს ჟურნალისტებთან ერთ-ერთ შეხვედრაზე წამოსცდა კიდეც — **საპარლამენტო გუნდს რომ გადავხედე, აღმოვაჩინე, რომ თითქმის არც ერთი ნორმალური სპიკერი არ მყავს, რომლებსაც შეუძლიათ გამოვიდნენ და რამე თქვან გამართულად, მოწინააღმდეგეს ღირსეული და სწორი ოპონირება გაუწიონო.**

დიახ! არც **კახა კალაძეს** ვერჩი არაფერს, როგორც პიროვნებას და სპორტსმენს, მაგრამ დღეს „ქართული ოცნების“ სახელით განცხადებების უმეტესობას რომ ეს კაცი აკეთებს და ბრიფიგნების უმეტესობასაც სწორედ ფეხბურთელი კალაძე მართავს, „ოცნების“ არანაკლებ კრახსა და კატასტროფაზე მიუთითებს. კახა კალაძეზე უფრო წიგნიერი, განათლებული, ინტელექტუალი და გამოცდილი სპიკერი რომ არ გეყოლება გუნდში, მერე სავალალო შედეგები აღარ უნდა გაგიკვირდეს.

გამოსავალი? გამოსავალი, ვფიქრობ, ასეთია: **ვინაიდან ქართველმა ხალხმა მკვეთრად გამოხატა, რომ არ სურს პრეზიდენტად სალომე ზურაბიშვილი, ხოლო მეორე ტურში დაბალი აქტივობა უპირობოდ ნაცების მობრუნებას ნიშნავს, „ქართულმა ოცნებამ“ უნდა იმუშაოს საგანგებო რეჟიმში და გამოაცხადოს, რომ ამ ეტაპზე აუცილებელია ხმის მიცემა დიქტატურისა და მანიაკიზმის წინააღმდეგ! სამაგიეროდ, უნდა გამოცხადდეს, რომ სალომე ზურაბიშვილის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ, „ქართული ოცნების“ გუნდი ყველა მის ხელთ არსებულ იურიდიულ ბერკეტს გამოიყენებს იმისთვის, რომ ქვეყანაში 2019 წლის გაზაფხულზევე დაინიშნოს რიგგარეშე როგორც საპარლამენტო, ასევე საპრეზიდენტო არჩევნები, სადაც „ოცნება“ კანდიდატებსა და სიას წარმოადგენს ქართველი ხალხის ნების გათვალისწინებით და არა „ბელადის“ ახირებით!**

ამ გზით, სულ რაღაც, 5-6 თვეს მოგვიწევს არსებული ნაგვის ატანა და შემდგომ „ქართული ოცნების“ რიგები დაიწმინდება. ასეთი დაპირებით, დარწმუნებული ვარ, ხალხი აუცილებლად გამოვა არჩევნებზე და მეორე ტურში ამომრჩევლის აქტივობა 60-65 პრცენტამდე აიწევს, რაც „ნაცების“ დამარცხების უპირობო გარანტიაა!

თუ არადა, მაშინ გამოდის, რომ ქართულ პოლიტიკაში „ქაჯების შერწყვნის“ პროცესი გრძელდება და ეს უკვე რა შედეგებამდე მიგვიყვანს არც კაცმა იცის, არც „ნაცმა“ და, მით უმეტეს, არც „ქოცმა“!

დაპირებული სამართლიანობის აღდგენა არ მომხდარა: არავისთვის დაუბრუნებიათ, წართმეული მილიონები კი არა, უბრალო „ბუტკაც“ კი; არ გამოუტანიათ განაჩენი არც ერთ გახმაურებულ მკვლელობაზე. ის კი არა, სამართლიანობის აღსადგენად მებრძოლი იური ვაზაგაშვილი შვილის საფლავს დააკლეს.



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**არადა, ყველაფერი რა კარგად დაიწყო — 2012 წლის 1 ოქტომბერს, როდესაც „ქართული ოცნების“ ირგვლივ ერთ მუშტად შეკრულმა, განრისხებულმა ქართველმა ხალხმა, როგორც იქნა, მოიშორა სააკაშვილის ქართველთმოძულე ფაშისტურ-სადისტური რეჟიმი, რომელმაც 9 წლის განმავლობაში სრულიად საქართველო სისხლსა და ცრემლში აბანავა. ქართველ კაცს იმედი გაუჩნდა, რომ სამების აღმშენებელი ბიძინა ივანიშვილი მაინც არ მოატყუებდა მანამდე არაერთგზის მოტყუებულ-გაცუცურაკებულ ქართველ ერს, მაგრამ ერთი რუსული ანდაზისა არ იყოს, საქმის ბოლოა მთავარი და არა დაწყება — გასულ კვირა დღეს ვისაც მეტ-ნაკლები წვლილი მიგვიძღვოდა სააკაშვილის დაუნდობელი რეჟიმის დანგრევაში, უკაცრავად და, ყველა ნეხვში აღმოვჩნდით, თუმცა ასეთი ფინალის პროგნოზირება ნამდვილად არ იყო ძნელი...**

# მეორე ტური — გამარჯვებით მარცხი თუ მარცხით გამარჯვება?




**2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ დაზაფრული ნაცები, ფიგურალურად თუ ვიტყვით, პოლიტიკურ საფლავში იწვნენ და იმის მაგივრად, მიწა მიეყარათ და ერთხელ და სამუდამოდ დაემარხათ ნაცების პარტია, «ქართულმა ოცნებამ» კოჰაბიტაციად წოდებული ონანიზმი დაიწყო. შედეგად ნაცები ჯერ მოსულიერდნენ, შემდეგ ნელ-ნელა თავი წამოყვეს და ბოლოს მორალის კითხვა დაგვიწყეს პარლამენტის ტრიბუნიდან თუ ტელევიზიებიდან**

ქვემოთ გთავაზობთ ბიძინა ივანიშვილის მიერ 2012 წლის წინასაარჩევნო დაპირებათა ვრცელ ნუსხას, რომელთაგან რამდენი ასრულდა, მკითხველმა თვითონ დათვალოს:

**დაპირება №1: „ჩვენი გეგმა თავიდანვე ითვალისწინებს, რომ უნდა შეიქმნას სამუშაო ადგილები და ის ჩვენს ქვეყანაში ათეულობით ათასი იქნება“.**

**დაპირება №2: თითოეული მოქალაქე იპოვის საკუთარი გამოცდილების ადეკვატურ სამუშაოს.** „ჩემ გუნდთან ერთად, თქვენთან ერთად, გავაკეთებთ ყველაფერს, რისი გაკეთებაც შესაძლებელია. რეალური პოლიტიკა, რეალური ნაბიჯები, რასაც გპირდებით ჩვენ, და აუცილებლად შევძლებთ კიდეც“.

**დაპირება №3: გამარჯვებისთანავე ღირსეული დასაქმება ყველას.**

„ჩვენ ვიცით, რეალურად როგორ შევქმნათ ახალი სამუშაო ადგილები. ჩვენ ვიცით, როგორ ავიხდინოთ ქართული ოცნება. ხელისუფლება ხალხს უნდა ემსახურებოდეს და არა — ხალხი ხელისუფლებას“.

**დაპირება №4: დაიწევს ფასი კომუნალურ გადასახადებზე.**

„გპირდებით, რომ ჩვენი ქვეყანა თავს დააღწევს გაჭირვებას. გპირდებით, რომ ჩვენ შევამცირებთ გაუმართლებლად მაღალ კომუნალურ გადასახადებს“.

**დაპირება №5: გაზის საფასური შემცირდება 3-ჯერ.**

„ჩვენ ძალიან დიდი რაოდენობის გაზი გვეკუთვნის უფასოდ, რამდენადაც ეს „ტრუბა“ გადის ჩვენს ტერიტორიაზე. მესამედი გამოვა დღევანდელი გადასახადის გაზის გადასახადი“.

**დაპირება №6: ბენზინზე დაიკლებს ფასი.**

„ნახავთ, როგორ დაიწევს ფასი ძალიან ბევრ პროდუქტზე: პირველადი მოხმარების პროდუქტებზე, ბენზინზე, ელექტროენერგიაზე, სადაც ხელოვნურად აქვთ გაზრდილი ფასები და ფულს აკეთებენ“.

**დაპირება №7: ასობით და ათასობით საწარმო უნდა გაიხსნას და ეს იქნება რეალური.**

**დაპირება № 8: წლის ბოლომდე, სულ ცოტა, 60 ქარხანა უნდა გვქონდეს.**

**დაპირება №9: რეგიონებში შეიქმნება ათასობით საწარმო.**

„გამარჯვებისთანავე საარჩევნო ბლოკი „ბიძინა ივანიშვილი — ქართული ოცნება“ განახორციელებს პროგრამას „ღირსეული დასაქმება ყველას“.

**დაპირება №10: პენსიონერს არანაკლებ 220 ლარისა ექნება პენსია, მაგრამ ეს არ არის საკმარისი, ეს იქნება მინიმალური, ამას დაემატება წელთა ნამსახურეობა.**

**დაპირება №11: ყველა ის საპენსიო დანამატი, რომელიც გააუქმეს ნაციონალებმა, დაემატება: ომის ვეტერანობის, ინვალიდობის, ობლობის და ასე შემდეგ დაახლოებით 250-300 ლარი გახდება პენსია.**

**დაპირება №12: პენსია არ იქნება იმაზე ნაკლები, ვიდრე რეალური საარსებო მინიმუმია.**

„ჩვენ დავადგენთ საარსებო მინიმუმის ახალ, რეალურ ზღვარს“.

**დაპირება №13: ექსპერტების გათვლებით, რეალური საარსებო მინიმუმი 200-220 ლარის ფარგლებშია.** „ხელისუფლებაში მოსვლისთანავე პენსია საარსებო მინიმუმის ტოლი იქნება. ექსპერტების გათვლებით, რეალური საარსებო მინიმუმი 30%-ით მეტია. სხვადასხვა გათვლებიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ ეს ციფრი 200-220 ლარის ფარგლებშია“.

ამ 13-პუნქტიანი ტყუილების დოკუმენტთან კონტრასტის დასანახავად შეგახსენებთ 2008 წლის ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების კანდიდატის — **ბადრი პატარკაციშვილის**, წინასაარჩევნო დაპირებების 7-პუნქტიან ჩამონათვალს:

* პირველი 18 თვის (წელიწად-ნახევრის — დ. მ.) განმავლობაში, პენსია — 120 ლარი, ვეტერანებს — 150 ლარი და უფასო სამედიცინო მომსახურება;

* მინიმალური ხელფასი — 300 ლარი;

* შემწეობა უმუშევართათვის — 300 ლარი;

* წყლის გადასახადისგან სრული გათავისუფლება;

* 100 კვ/სთ ელექტრო ენერგია და ამავე მოცულობის გაზის გადასახადისგან გათავისუფლება;

* დევნილებისა და მიწისძვრით დაზარალებულთათვის უფასო საცხოვრებელი ფართობი;

* პირველ შვილზე — 3000 ლარი, მეორეზე — 4000, მესამე და ყოველ მომდევნო შვილზე — 5000 ლარი.

ახლა ვინმე შემედავება: რა, პატარკაციშვილი უეჭველად შეასრულებდა დანაპირებსო?

სხვისი არ ვიცი, მაგრამ ჩემთვის თბილისელი, სოლოლაკელი პატარკაციშვილის სიტყვას მეტი ფასი აქვს, ვიდრე ჭორვილელი სოლოლაკელისა, რომელმაც, ხელისუფლებაში მოსულმა, პირველი, რაც გააკეთა, იყო ის, რომ თავისი 80 მილიონი დაიბრუნა. ამით დამთავრდა სამართლიანობის აღდგენა და დაიწყო კოჰაბიტაციის პროცესი. ეგეც არ იყოს, ცხონებული ბადრი შვიდპუნქტიანი დაპირებების დაფინანსების ლომის წილს საკუთარი ჯიბიდან აპირებდა... სხვა მხრივ დაპირებული სამართლიანობის აღდგენა არ მომხდარა: არავისთვის დაუბრუნებიათ, წართმეული მილიონები კი არა, უბრალო „ბუტკაც“ კი; არ გამოუტანიათ განაჩენი არც ერთ გახმაურებულ მკვლელობაზე. ის კი არა, სამართლიანობის აღსადგენად მებრძოლი **იური ვაზაგაშვილი** შვილის საფლავს დააკლეს. ახლა, რაც შეეხება იმას, რასაც ბიძინა არ დაგვპირებია, მაგრამ „პირნათლად“ შეგვისრულა:

* **ანტიდისკრიმინაციული კანონის** (რომელსაც ჩვენმა უწმინდესმა პატრიარქმა საქართველოს დამღუპველი უწოდა) ზარზეიმით მიღება ბიძინა ივანიშვილის სინდისზეა;

* ბიძინამ ცხონებული ჭაბუა ამირეჯიბის ორმოცზე განაცხადა, რომ თურმე საქართველოს პატრიარქიც ჩვეულებრივი მოკვდავია და, რატომაც არა, მისი კრიტიკაც მოსულაო. ამ „სადღეგრძელოს“ შემდეგ, კრიტიკას ვინღა დაეძებს, **პატრიარქისა და დედაეკლესიის აღვირახსნილი ლანძღვა-განქიქების ახალი ეტაპი დაიწყო,** რომელმაც ლოგიკურად მიგვიყვანა ე.წ. ციანიდის საქმემდე.

* წერილზე მუშაობისას ინტერნეტში **ბიძინას მიერ დაფინანსებულ (მოსყიდულთა) ე.წ. შემოქმედებითი ინტელიგენციის 3500- პერსონიანი სია მოვიძიე,** რომელშიც ფინანსური დახმარების ქვედა ზღვარი 200 ლარიდან იწყება, ხოლო ზედა 2000-3000 და 5000 ათასი ლარია. ახლა აქ ამ სიას გაზეთის ფართობის ეკონომიის მიზნით არ მოვიყვან. ვიტყვი მხოლოდ, იმას, რომ სწორედ ამ სიის ზედა ზღვრის ბინადარნი „უპრავებდნენ“ წლების განმავლობაში ბატონ ბიძინას დაპირებულ შეუსრულებელ თუ დაუპირებლად შესრულებულ „სიკეთეებს“. ამ საკითხზე ჩემი ცხონებული სიდედრი მახსენდება, რომელიც იტყოდა ხოლმე: სიძე რომ იტყვის, „ფეჩი“ გარმონიაო, სიდედრმა უნდა უთხრას: რა კარგად უკრავსო! „ფეჩსა“ და გარმონს ვინღა დაეძებს, 6 წელიწადია, ბიძინა გაიძახის, ჩემი ბადრიჯანი კიტრიაო და ესენიც ერთხმად შეჰბღავიან მამა-მარჩენალს, — რა გემრიელიაო! აქედან გამომდინარე, „შემოქმედებითი ინტელიგენტებიც“ არიან იმ კატასტროფაზე პასუხისმგებელნი, რომელსაც საპრეზიდენტო არჩევნები ჰქვია.

„თუ ამოსწყდეს გლეხი კაცი, საქართველო დაძაბუნდეს“, — ბრძანა მარაბდის ომის წინ ამ ბრძოლის ერთ-ერთმა გმირმა **ბაადურ ციციშვილმა.**

დღეს „გლეხი კაცი“ უბრალო, რიგითი ქართველის სინონიმია, რომელთა ნაწილი ან ნაგვის ბუნკერში იქექება, ან უცხოეთშია გადახვეწილი ევროპელი თუ ამერიკელი ქვეშაფსია ბებრებისთვის პამპერსების გამოსაცვლელად. **სწორედ იმიტომ არის დღეს საქართველო დაძაბუნებული, რომ „გლეხი კაცი“ ლამის ამოწყდა. არადა, იგია ერის დვრიტა, საძირკველი თუ დუღაბი ქართულ მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიასთან ერთად და არა ე.წ. შემოქმედებით-უმოქმედო ინტელიგენციის უმეტესი ნაწილი.**

ბიძინას მიერ მოსყიდული ინტელიგენცია მარჩენალის ქმედება-უმოქმედობას ასე ამართლებს: რა ქნას, ისე რომ არ მოიქცეს, როგორც იქცევა, ამერიკელები მილიარდებს გაუნულებენო....ჰოდა, რა ვქნათ ახლა — **ივანიშვილის მილიარდებს გადავაყოლოთ ქვეყანა?** თუმცა რაღა „უნდა გადავაყოლოთ“, არჩევნების შედეგებიდან გამომდინარე, მგონი, უკვე გადავაყოლეთ და ეგ არის! ახლა მავანი გვეტყვის: რა გინდათ, წინ ხომ მეორე ტურია და სალომე მაინც გაიმარჯვებსო?! იქნება ასეც მოხდეს, მაგრამ ასეთი გამარჯვება მარცხის ტოლფასია, რადგან ყველას გვახსოვს, რომ **2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ დაზაფრული ნაცები, ფიგურალურად თუ ვიტყვით, პოლიტიკურ საფლავში იწვნენ და იმის მაგივრად, მიწა მიეყარათ და ერთხელ და სამუდამოდ დაემარხათ ნაცების პარტია, „ქართულმა ოცნებამ“ კოჰაბიტაციად წოდებული ონანიზმი დაიწყო. შედეგად ჯერ მოსულიერდნენ, შემდეგ ნელ-ნელა თავი წამოყვეს და ბოლოს მორალის კითხვა დაგვიწყეს პარლამენტის ტრიბუნიდან თუ ტელევიზიებიდან.** აქედან გამომდინარე, მიშნაცებისთვის მეორე ტურში გასვლა, რომც დამარცხდნენ, მაინც გამარჯვების ტოლფასი მარცხი იქნება!

და რატომ დადგა ის შედეგი, რომელიც 28 ოქტომბერს მივიღეთ?

იმიტომ, რომ ქოცები ნაცებზე არანაკლებად გაუმაძღარი ღორები აღმოჩნდნენ. დაპირებების მიუხედავად, არათუ შეამცირეს ე.წ. ადმინისტრაციული ხარჯები, არამედ მეტიც — ნაცების დაწესებულ პრემიებს ცინიკურად უწოდეს სახელფასო დანამატები და ისინიც ბიუჯეტის ხარჯზე გემრიელად ილუკმებიან. ამას დაუმატეთ ქოცების მაღალჩინოსანთა სრა-სასახლეები და ყოველივე ზემორე თქმული რიგითი ქართველების უკიდურესი ეკონომიკურ-სოციალური გაჭირვების ფონზე და არჩევნების შედეგებიც ლოგიკური გახდება. დიახ, ლოგიკური და კანონზომიერიც, რადგანაც მშიერი კუჭის პატრონს მაღალ მატერიებზე ფიქრს ვერ მოსთხოვ, ამიტომაც ძველებურად აღარ იმუშავა საფრთხობელამ „მიშა მოდის“ და, **თუ ქოცებმა ასე განაგრძეს, მომავალ საპარლამენტო არჩევნებზე სრული კრახი ელით.** თუმცა მათ რა, როგორც იტყვიან, გადახდა უნდა ვალსაო, და ახლა ნაცები გაუმართავენ კოაბიტაციას ქოცებს. ისინი ხომ იდეოლოგიურად ერთი ლიბერასტული ხის სხვადასხვა ტოტები არიან? ვაი ჩვენი და საქართველოს ბრალი, რადგანაც ეს ყოველივე ციფრებში ასე გამოიყურება: **სალომე ზურაბიშვილი** დაახლოებით 615 000 ხმა, **გრიგოლ ვაშაძე** — 601 000, **დავით ბაქრაძე** — 174 000, ორივე ერთად კი — 775 000. გამოსავალი, როგორც წინა პუბლიკაციაში აღვნიშნეთ, არის ერთი — უნდა გამოჩნდეს მესამე, ეროვნულ კონსერვატიული ძალა, ისეთი, როგორიც გერმანიაში გამოჩნდა — ალტერნატივა საქართველოსთვის, რომელიც ერთსაც, მეორესაც და მესამესაც მიუჩენს შესაფერის ადგილს.

**დავით მხეიძე**

**P.S. თბილისის მერმა კახი კალაძემ განაცხადა, რომ არჩევნების შედეგები ცივი შხაპი აღმოჩნდა „ქართული ოცნებისთვის“ და ისინი შეეცდებიან შეცდომების გამოსწორებას. მეორე ტურამდე დარჩენილი დრო ცოტაც არის და ბევრიც. იმის მიხედვით, რას თვლი შეცდომად და, აქედან გამომდინარე, რას აპირებ? ვნახოთ, როგორც იტყვიან, აღდგომა და ხვალეო...**

პოზიცია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ერთადერთი, რაზეც „ქართული ოცნება“ იდგა, იყო მორალური უპირატესობა გასულ ცხრაწლიან რეჟიმზე, თორემ მათ არაფერი გაუკეთებიათ, ქვეყანა სტაგნაციაშია. რადგან, როდესაც მათ ეუბნებოდნენ, რომ არის კორუფცია, არის მაფიოზური ნიშნები, აგდებით ლაპარაკობდნენ. ამ ვითარებამ ამომრჩეველს გაუჩინა შეკითხვა: რით ჯობიხარ წინა ხელისუფლებას, ყველა მანკიერება რომ გაიმეორე?**

გია ხუხაშვილი:

# «ოცნება» ანტიმიშას ფაქტორზე იდგა

**28 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურმა დიდი მღელვარება გამოიწვია ქართველ საზოგადოებაში. მოსახლეობის დიდი ნაწილის აზრით, აღარ უნდა ჰქონდეთ ხელისუფლების იმედი, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ ოდესმე თავიდან მოიშორებენ, და მეორე ტურში თვითონ უნდა გადაწყვიტონ ქვეყნის ბედი, რაც არაერთხელ გაუკეთებიათ. როგორი იყო წინასაარჩევნო კამპანია, როგორ ჩაატარა ის მმართველმა გუნდმა, რა შეცდომმები დაუშვეს და რამ განაპირობა მარცხი — ამ და სხვა საინტერესო თემებზე გვესაუბრება ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში — გია ხუხაშვილი:**

— არჩევნებამდე რამდენიმე კვირით ადრე ველოდი უკვე მეორე ტურს, რადგან „ქართული ოცნება“ არაადეკვატური იყო. პრობლემა არ იყო „ნაციონალურ მოძრაობაში“, პრობლემა მმართველ გუნდს ჰქონდა.

სამაგიეროს გადახდის ყველა ფორმა გამოავლინა „ოცნებამ“ არჩევნების წინ — ამპარტავნება, ზემოდან უყურებდნენ ყველას და ყველაფერს, მთავრობაში შემთხვევით მოხვედრილი ადამიანები თავს ბრძენებად ასაღებდნენ და ბეჭედს ურტყამდნენ ყველაფერს. თითქმის არ მახსენდება მათი პოლიტიკურად მომგებიანი გადაწყვეტილება, დაწყებული კანაფით და გაგრძელებული ქუთაისიდან პარლამენტის გადმოტანით... რა ვიცი, რომელი ერთი ჩამოვთვალო. რასაც აკეთებდნენ, ანტიპიარი იყო. ისინი არაადეკვატურ პასუხებს იძლეოდნენ ყველა დასმულ შეკითხვაზე, რომლებიც ფარულ ჩანაწერებს ეხებოდა და არა მხოლოდ მათ. ხელისუფლების პასუხები ცეცხლზე ნავთს ასხამდა, მათ საზოგადოება დაარწმუნეს, რომ ყველა შეკითხვას ჰქონდა საფუძველი, ნაცვლად იმისა, რომ გაექარწყლებინათ ეჭვები. ეს — რაც შეეხება სისტემურ ფაქტორებს.

შეცდომები დაშვებული იყო პოლიტტექნოლოგიურადაც. მხოლოდ ნეგატიური ნარატივი ხელისუფლებისგან, რომლისგანაც ხალხი პოზიტიურს ელოდება, აინტერესებს, რა ექნება ხვალ, შეცდომაა, თანაც დიდი. **მთელი კამპანია ააგეს ისედაც კომპრომეტირებულის კომპრომეტაციაზე და ამაზე მთელი რესურსი დახარჯეს, რაც წარმოუდგენელი ტექნოლოგიური შეცდომაა და რატომ აგიხსნით:**

**ეს არის მოედანი, სადაც „ნაციონალური მოძრაობა“ გაცილებით კომფორტულად გრძნობს თავს. კალათბურთელმა „ქართულმა ოცნებამ“ მოჭიდავე „ნაციონალურ მოძრაობასთან“ გადაწყვიტა ჭიდაობა ტატამზე.** მოკლედ, რა შეცდომის დაშვებაც შეიძლებოდა, „ოცნებამ“ ყველა დაუშვა, მეტიც, საერთოდ ვერ ვფიქრობ, სწორად თუ გააკეთეს რამე და შედეგიც შესაბამისი მიიღეს. **„ოცნებამ“ საკუთარი თავი დაამარცხა, „ნაცმოძრაობა“ არაფერ შუაშია.**

**— თავდაჯერებული იყვნენ ხელისუფლების წარმომადგენლები. ისინი მეორე ტურს თითქმის არ ელოდნენ. მხოლოდ ბიძინა ივანიშვილს წამოსცდა ბოლო დღეს: მეორე ტურის ალბათობა არისო...**

— ეს ამპარტავნება იყო მათი მხრიდან. ბიძინა ივანიშვილი ჩემთვის სულერთი არ არის, მისი გულშემატკივარი ვარ...

**— ის კი ამბობს, რომ თქვენ ნაციონალებს შეეკარით...**

— მისგან ჩემთვის ტალახის სროლა ადამიანურად გულდასაწყვეტი იყო, მაგრამ ჩემი რეაქცია იყო მხოლოდ გულისტკენა. მე მას ვიცავდი, ვცდილობდი, თქვენთვის მოცემულ ინტერვიუში ის უარყოფითი პროცესებისგან გამემიჯნა. ჩემი ლანძღვის ფორმა ისეთი იყო, რომ მან ამით მხოლოდ თავი დაიზიანა.

**— არჩევნებში ამ კრახის მიზეზად სახელდება ძველი „ოცნებისტების“ ჩამოშორებაც. დღეს ხელისუფლებაში ძველი კადრებიდან არავინ შემორჩა...**

— კი, ერთ-ერთი მიზეზი ესეც იყო და არა იმიტომ, რომ მე ან ვილაც სხვა მისი მეგობარი რაღაც განსაკუთრებული შესაძლებლობების ვართ, არა, უბრალოდ, ბიძინა ივანიშვილს გაუჩნდა ილუზია, რომ იმ იდეალების მიღწევა, რომლებისთვისაც ჩვენ, ყველა, ვიბრძოდით, კოლექტიური მურუსიძეებით იყო შესაძლებელი. მას გაუჩნდა ილუზია, რომ ჩვენ ჩაგვანაცვლებდა მიშას მიერ შექმნილი მანკიერი სისტემით და მართავდა კიდეც. ბიძინამ მათ, ფაქტობრივად, კონტრაქტზე მოუწერა ხელი.

**— რატომ არ იშორებს ივანიშვილი ამ ხალხს?**

— როგორც ჩანს, მას დღეს ამის გაკეთება უკვე აღარ შეუძლია, რესურსი აღარ აქვს, შესაძლოა, არც სურვილი. ვერ გეტყვით. ის ჯიუტობს, ჰგონია, ფონს გავა, მას ჰგონია, ამ სისტემას მართავს. სინამდვილეში ასე არ არის, ყოველ შემთხვევაში, ეს ჩემი აზრია.



## «ოცნებამ» საკუთარი თავი დაამარცხა, «ნაცმოძრაობა» არაფერ შუაშია

მე ბიძინას მიმართ შეიძლება მართლა გადავკვეთე წითელი ხაზი, როდესაც ვთქვი, რომ ის აღარ არის ლიდერი, აღარაფრის გაკეთება არ შეუძლია და ის რეაქციაც მისი მხრიდან ჩემი მისამართით, სწორედ ამას მოჰყვა. მწარეა, როდესაც გეუბნებიან, რომ ლიდერი აღარ ხარ. ამას როდესაც ვამბობდი, ვხელმძღვანელობდი პრინციპით — მოყვარეს პირში უძრახე, რადგან სხვა ყველა რესურსი ამომეწურა.

პრობლემა წყენაში არ არის, პრობლემა მისი ილუზიაა. სისტემამ შიგნიდან გამოჭამა „ოცნება“ და ამას ვერ ხვდებიან.

**— შეცდომა იყო სალომე ზურაბიშვილის დასახელება საპრეზიდენტო კანდიდატად?**

— ყველაფერი შეცდომა იყო. კოლექტიური მურისიძეების დანიშვნაც და სალომე ზურაბიშვილის დასახელებაც. შეცდომების კასკადი იყო, რამაც საბოლოოდ დააკარგვინა „ოცნებას“ მორალური უპირატესობა „ნაციონალურ მოძრაობაზე“.

**ერთადერთი, რაზეც „ქართული ოცნება“ იდგა, იყო მორალური უპირატესობა გასულ ცხრაწლიან რეჟიმზე, თორემ მათ არაფერი გაუკეთებიათ, ქვეყანა სტაგნაციაშია. „ოცნება“ „ანტიმიშას“ ფაქტორზე იდგა, რაც განულდა, რადგან როდესაც მათ ეუბნებოდნენ, რომ არის კორუფცია, არის მაფიოზური ნიშნები, აგდებით ლაპარაკობდნენ. ამ ვითარებამ ამომრჩეველს გაუჩინა შეკითხვა: რით ჯობიხარ წინა ხელისუფლებას, ყველა მანკიერება რომ გაიმეორე?**

ამ საპრეზიდენტო არჩევნებზე ამომრჩეველს კი არ გაუკეთებია არჩევანი, ანტიამომრჩეველმა გააკეთა და გადამწყვეტი სიტყვაც თქვა. სალომე ზურაბიშვილს ხმას ის კი არ აძლევდა, ვინც მისი მხარდამჭერი იყო, არამედ ის, ვისაც ვაშაძე სძულდა. **სოციალური პრობლემების, სიდუხჭირის გამო არსებულ ხელისუფლებაზე გაბრაზებულმა ამომრჩეველმა ვაშაძეს დაუჭირა მხარი, რითიც ვაშაძეს კი არ უთხრა „კი“, „ოცნებას“ უთხრა უარი.** ამას ჰქვია ანტიამომრჩეველი, ხმას აძლევ არა ვილაცას, არამედ ვილაცის წინააღმდეგ. ვინც არ უნდა გახდეს პრეზიდენტი, ის არ იქნება ხალხის მიერ მხარდაჭერილი და ლეგიტიმური, ის ვილაცის ჯიბრზე არჩეული იქნება.

**— შეეცდება „ოცნება“ რამის შეცვლას?**

— რას მოიმოქმედებს **სალომე ზურაბიშვილი,** დაველოდოთ...

რა უნდა გაეკეთებინათ ჯერ ის ვთქვათ, რასაც სულ ვამბობდით ყველანი და თქვენს გაზეთთანაც არაერთხელ მითქვამს — პრობლემებისთვის სისტემური, ადეკვატური პასუხი გაეცათ; ეჩვენებინათ, რომ თავის გვერდით არ აიტანდნენ კორუფცირებულებსა და მაფიოზებს. ეს პროცესი დაეწყოთ მაინც. დღესაც იგივეა გასაკეთებელი, მაგრამ, სამწუხაროდ, დაგვიანებული მეჩვენება, ამის ფასი აღარ იქნება მაღალი, რადგან ყველა იფიქრებს, რომ თავის გადასარჩენად აკეთებენ.

**— მოსახლეობის დიდი ნაწილი ამბობს, რომ შედეგი, რომელიც ამ არჩევნებში დადგა, ივანიშვილს სურდა, ამიტომ საკუთარ თავს თვითონ უნდა ვუშველოთო...**

— ასეთ მოსაზრებებზე კომენტარს არ ვაკეთებ, მაგრამ ახლა თქვენი ხათრით ვიტყვი: ძალაუფლებას საკუთარი ნებით არავინ თმობს!

**— ვინ გაიმარჯვებს მეორე ტურში?**

— ვაშაძეს უკეთესი შანსი აქვს. მას აქვს უპირატესობა, რასაც დაემატა „ქართული ოცნების“ სრული დემორალიზაცია. ეს ნათლად ჩანს და კალაძის გამოსვლამაც დაადასტურა. კალაძემ ბრიფინგზე სალომე ზურაბიშვილი პოლიტიკურად მოკლა. მთავრობა დემორალიზებულია. შედეგი ფატალური დადგა, მაგრამ კანონზომიერად. ისინი პროცესების მსხვერპლნი არიან და უფსკრულისკენ მიექანებიან.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

**«მთელი კამპანია ააგეს ისედაც კომპრომეტირებულის კომპრომეტაციაზე და ამაზე მთელი რესურსი დახარჯეს, რაც წარმოუდგენელი ტექნოლოგიური შეცდომაა»**

**«სოციალური პრობლემების, სიდუხჭირის გამო არსებულ ხელისუფლებაზე გაბრაზებულმა ამომრჩეველმა ვაშაძეს დაუჭირა მხარი, რითიც ვაშაძეს კი არ უთხრა «კი», არამედ «ოცნებას» უთხრა უარი. ამას ჰქვია ანტიამომრჩეველი — ხმას აძლევ არა ვილაცას, არამედ ვილაცის წინააღმდეგ. ვინც არ უნდა გახდეს პრეზიდენტი, ის არ იქნება ხალხის მიერ მხარდაჭერილი და ლეგიტიმური, ის ვილაცის ჯიბრზე არჩეული იქნება»**

## დავით მათიკაშვილი: «ნაციონალური მოძრაობა» და «ევროპული საქართველო» ისევ დაქორწინდნენ

**საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა დავით მათიკაშვილმა არჩევნების შემდგომ განვითარებული მოვლენები შეაფასა.**

„ნაციონალურმა მოძრაობამ“ და „ევროპულმა საქართველომ“ დაამტკიცეს, რომ არასდროს დაშლილან. გასაგებია, რომ მათი ეს ვითომ დაშლა და განქორწინება იყო ფარსი. ისევ დაქორწინდნენ, ისევ ერთ ხმაში მუშაობენ. „ქართულმა ოცნებამ“ ძალიან კარგად იცის, რა უნდა გამოსწორდეს, სად რა არის შესაცვლელი იმისთვის, რომ, რაც კეთდება, უკეთესად დავანახვოთ საზოგადოებას. მე ღრმად მწამს, რომ ჩვენი ქვეყანა არც ერთ შემთხვევაში არ დაუშვებს ადამიანის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში მხილებული პოლიტიკური ძალის დაბრუნებას. ეს არის გამორიცხული. რეალურად ჩვენი მხარდამჭერების რაოდენობა არის ძალიან ბევრი და ეს აუცილებლად გამოიხატება მეორე ტურში. ჩვენ მეორე ტურში კიდევ უფრო მეტ აქტიურობას ველოდებით იმისთვის, რომ საქართველოში არ დაბრუნდნენ მწამებლები“, — განაცხადა დავით მათიკაშვილმა.



**„ვითარება ძალიან მძიმეა ქვეყანაში. თუ „ოცნება“ დამარცხდა, ეს მხოლოდ მათი დამარცხება არ იქნება, ეს იქნება ქართველი ხალხის მარცხი, თან ძალიან დიდი ხნით თუ სამუდამოდ არა. „ოცნების“ დამარცხებით ისევ ტერორსა და დიქტატურას ვუხმობთ. სალომე ზურაბიშვილის მხარდაჭერა წარმოუდგენელია, მაგრამ ახლა უნდა დავფიქრდეთ. არჩევნებამდე გადაცემაში ვიყავი და იქ ისეთი რამ ვნახე, რომ მივხვდი, სიფრთხილე გვმართებდა. ნაციონალები ჯერ არ მოსულან და იქ ისეთ ამბავში იყვნენ, შემეშინდა“**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



ირმა სოხაძე:

# მინდა, ვკითხო მათ: სად არის გაიაფებული საწვავი? იაფი ფული? სად არის სამუშაო ადგილები? სად არის ადამიანის დაფასება, ღვაწლის პატივისცემა?

**28 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნები, თამამად შეიძლება ითქვას, „ოცნების“ კრახით დასრულდა. მათ მიერ მხარდაჭერილმა „დიდმა ქართველმა,“ ქალბატონმა სალომე ზურაბიშვილმა ნაციონალებს წინააღმდეგობა ვერ გაუწია, რასაც დღეს ხელისუფლება აშკარად ნანობს. ნანობს აღნიშნული კანდიდატის დასახელებსაც და სხვა ბევრ რამესაც... „სამწუხაროდ, როგორც ყველა ხელისუფლებას, ჩვენც ძალაუფლების კონცენტრაციამ, შეიძლება ითქვას, გადაჭარბებული თვითდაჯერებულობა შეგვმატა და შესაბამისად, მთელ რიგ შემთხვევებში, არ ხდებოდა ადეკვატური უკუკავშირი, კომუნიკაცია საზოგადოებასთან. ამის შედეგი იყო ისიც, რომ მხოლოდ შიდა კვლევების მონაცემებს ვეყრდნობოდით, რამაც კიდევ უფრო შეასუსტა განწყობების აღქმა. თუმცა ყველა ჯანსაღი პოლიტიკური ორგანიზაციისთვის მსგავსი „გამოფხიზლება“, ახალი და ეფექტიანი რეაგირების, სწრაფი ცვლილების დასაბამია... დარწმუნებულები ვართ, რომ მეორე ტურში, როცა ნათლად გამოიკვეთა ორი პოლუსი, როცა არჩევანი გასაკეთებელია სიცრუესა და სიმართლეს, ძალადობასა და თავისუფლებას შორის, მოხდება მაქსიმალური კონცენტრაცია და ჩვენ, ერთად აუცილებლად გავიმარჯვებთ საპრეზიდენტო არჩევნებში; რაც მთავარია, ერთად აუცილებლად დავძლევთ ყველა გამოწვევას“, — განაცხადა კახა კალაძემ ბრიფინგზე, რომელიც „ქართული ოცნების“ ოფისში გაიმართა. საპრეზიდენრო არჩევნებზე მომღერალ ირმა სოხაძეს ვესაუბრეთ.**

— საპრეზიდენტო არჩევნებში მეორე ტურს ველოდი. როდესაც ერთ-ერთ გადაცემაში ვიყავი, ზუსტად მაგ თემაზე ვილაპარაკე, განვაცხადე, რომ მეორე ტური აუცილებლად იქნებოდა. ამის წინასწარმეტყველებას ვანგას ნიჭი არ სჭირდება.

**— როგორც ბევრს, თქვენც გაგიცრუათ იმედი „ოცნებამ“? ერთ-ერთ გადაცემაში განაცხადეთ, რომ მხარს უსუფაშვილს უჭერდით...**

— დიდი ხანია, მათთან აღარ ვურთიერთობ. როდესაც წინასაარჩევნო კამპანია დაიწყეს, დამირეკეს და მითხრეს, მონაწილეობას ხომ არ მიიღებთ პიარშიო, მაგრამ კატეგორიული უარი განვაცხადე. არ მომწონს **სალომე ზურაბიშვილი,** ის აბსოლუტურად უცხო ადამიანია ჩვენთვის. არ მომწონდა სალომეს პოზიცია, მისი გამონათქვამები, მისი დამოკიდებულება ხალხისადმი. „ოცნებას“ უარიც ვუთხარი და ისიც, რომ მათთან ურთიერთობა არ მინდოდა. მე ისედაც არ ვყოფილვარ პარტიის წევრი, უბრალოდ, მხარს ვუჭერდი.

**— თქვენ აქტიურად იყავით ჩართული მარგველაშვილის წინასაარჩევნო კამპანიაში...**

— მარგველაშვილსაც ვუჭერდი მხარს, **ნარმანიასაც** და **კალაძესაც,** მაგრამ ამას სარგებლის მიღებისთვის არ ვაკეთებდი. ვიღაცას რომ ჰგონია, ფული ავიღე, ტყუილია, არასოდეს არაფერი ამიღია მათგან. ვიდექი იმიტომ, რომ ორი დიდი უბედურებიდან ნაკლები მიგვეღო. რასაც სწორად ვთვლიდი, ჩემს თანამემამულეებსაც იმას ვთავაზობდი. აზრთა სხვადასხვაობის გამო არასოდეს არავინ გამილანძღავს.

ახლა მეკითხებიან, რატომ აღარ მოგწონს „ოცნებაო“, რაც ცუდი შეკითხვაა. აღარ მომწონს იმიტომ, რომ არც ერთი დაპირება არ შეასრულეს, ხალხი დაივიწყეს. ახლა მიხვდნენ ამას, **ახლა ლაპარაკობს კალაძე, ხალხს დავშორდითო, შიგა კვლევებს ვეყრდნობოდითო... მინდა ვკითხო მათ: სად არის გაიაფებული საწვავი? იაფი ფული? სად არის სამუშაო ადგილები? სად არის ადამიანის დაფასება, ღვაწლის პატივისცემა? არ შეიძლება ასე ხალხის დავიწყება, განსაკუთრებით „ოცნებისთვის“, რადგან ისინი ამბობდნენ, რომ ხალხის ხელისუფლება იქნებოდნენ.**

ჩემს აზრს ყოველთვის გამოვთქვამდი, თანაც ისე რომ, არავინ გამელანძღა, დღეს კი ეს მოდურია, ერთმენეთის ლანძღვაში ატარებენ დროს, რაც საშიშია. თუკი, შენი აზრი სხვისას არ ემთხვევა, ყველაფერი შეიძლება დაგაბრალონ.

**«ძალიან გაბრაზებული ვართ, რაც ხდება, სულ «ოცნების» ბრალია, მაგრამ ძალიან დიდ შეცდომას დავუშვებთ, თუ იმ ძალას დავაბრუნებთ. მათ ვეღარ მოვიშორებთ თავიდან ვეღარასოდეს»**

**ვითარება ძალიან მძიმეა ქვეყანაში. თუ „ოცნება“ დამარცხდა, ეს მხოლოდ მათი დამარცხება არ იქნება, ეს ქართველი ხალხის მარცხი იქნება, თან ძალიან დიდი ხნით თუ სამუდამოდ არა. „ოცნების“ დამარცხებით ისევ ტერორსა და დიქტატურას ვუხმობთ. სალომე ზურაბიშვილის მხარდაჭერა წარმოუდგენელია, მაგრამ ახლა უნდა დავფიქრდეთ. არჩევნებამდე გადაცემაში ვიყავი და იქ ისეთი რამ ვნახე, რომ მივხვდი, სიფრთხილე გვმართებდა. ნაციონალები ჯერ არ მოსულან და იქ ისეთ ამბავში იყვნენ, შემეშინდა.** დღეს ძალიან დიდ უბედურებაში ვართ, მაგრამ ვიფიქროთ იმაზე, რომ ის ხელისუფლება არ მობრუნდეს უკან. შესაძლოა, მე ვცდები და ღმერთმა ქნას, ვცდებოდე, მაგრამ მაინც მგონია, რომ იმ ხელისუფლების დაბრუნება დაგვღუპავს. მინდოდა, ხმა **უსუფაშვილისთვის** მიმეცა, მაგრამ ბოლო დღეს გადავიფიქრე.

**2020 წელს, თუ იქამდე მივედით, „ოცნებას“ აღარავინ აირჩევს, ჩემ გარშემო მათი დანახვა არავის აღარ უნდა, ვეძებთ მესამე ძალას, რომელიც ჯერ არ ჩანს.** საღი გონებით უნდა მივუდგეთ ყველაფერს, ახლა არ შეიძლება ნაჩქარევი გადაწყვეტილების მიღება, მაგრამ, სამწუხაროდ, ქართველები სულ ნაჩქარევ ნაბიჯს ვდგამთ.

„ქართულმა ოცნებამ“ იმედი გაუცრუა იმ ადამიანებს, ვისაც ის ძალიან მოსწონდა. მეც მომწონდა, მათგან პირადად არაფერს ველოდი, მაგრამ მეგონა, ქვეყანას მიხედავდნენ, ადამიანზე იქნებოდნენ ორიენტირებულნი, მაგრამ არაფერი გაკეთდა, სამართლიანობის აღდგენაზე არაფერს ვამბობ, გულში ჩაიხუტეს ჯალათები. პირველი წელიწადი ცუდი არ იყო, ხალხს მაინც ელაპარაკებოდნენ, მაგრამ მერე ყველაფერი დაივიწყეს, ყველა თავისთვის მიდი-მოდიოდა და **ხალხს გაუჩნდა განცდა, რომ პატრონი არ ჰყავს. მათი საპატრონებელი არავის არაფერი სჭირს, მაგრამ მთავრობა რომ გყავს, ხომ უნდა იგრძნო. ძალიან გაბრაზებული ვართ, რაც ხდება სულ „ოცნების“ ბრალია, მაგრამ ძალიან დიდ შეცდომას ჩავიდენთ, თუკი იმ ძალას, ყოფილ ხელისუფლებას დავაბრუნებთ. მათ ვეღარ მოვიშორებთ თავიდან ვეღარასოდეს.**

**— მას შემდეგ, რაც იმედი ასე გაგიცრუვდათ, თუ გქონდათ მცდელობა, მათ დალაპარაკებოდით და გეთქვათ ყველაფერი, რასაც ახლა ამბობთ?**

— ეკრანიდან სულ ამაზე ვლაპარაკობდი, პირადად არავისთან მივსულვარ, მაგრამ, თუ ისინი ტელევიზორსაც არ უყურებენ, არ ვიცი. აბა, კარგი ცხოვრება იყოს, ვინ უყურებს „რუსთავი 2“-ს? მართალია, ბევრ ტყუილს ამბობენ, მაგრამ მხოლოდ ერთ ტელევიზიას დააბრალო ის, რაც ქვეყანაში ცუდი ხდება, წარმოუდგენელია.

2012 წელს ვერავინ იფიქრებდა, რომ ნაციონალები ხუთი წლის თავზე ასე მოძლიერდებოდნენ, ამიტომ ცივი გონებით უნდა ვიმოქმედოთ ახლა მათ წინააღმდეგ. მიუხედავად იმისა, რომ ორი საშინელი არჩევანი გვაქვს, არაადამიანური და ამაშიც ხელისუფლებას ვადანაშაულებ, ამ დღეში რომ ჩაგვყარა, მაგრამ მაინც სწორი არჩევანი გვაქვს გასაკეთებელი. ამ ორ კვირაში ვიფიქროთ ამაზე.

**— თვლით, რომ ხელისუფლებას გუნდიდან უნდა დაესახელებინა კანდიდატი?**

— თავშივე გითხარით, რომ მათთან ურთიერთობა არ მაქვს, ამიტომ პირადად არ მისაუბრია, მაგრამ მეგობრების მეშვეობით ყველანი ვამბობდით, რომ უცხო ადამიანია სალომე, რომელსაც ქართველი საზოგადოება არ მიიღებს. დედაქალაქის მერი ამაზე ახლა ალაპარაკდა და თქვა, რომ საკუთარი გუნდიდან უნდა დაესახელებინათ კანდიდატი. თუმცა, არც იმის თქმა არ შეიძლება, რომ ზურაბიშვილი მათი გუნდის წევრი არ არის, მთელი წინასაარჩევნო კამპანია მათ დაუფინანსეს და დაუგეგმეს. ასეთი ტყუილიც აუტანელია. იქით ვაშაძე არ არის „ნაციონალი“ და პრორუსი, აქეთ სალომე არ არის „ოცნების,“ მე კიდევ „ნარინჯისფერი გოგონა“ ვარ. ისეთი რამ თქვან, სიმართლესთან ახლოს რომ იყოს.

მოკლედ, დიდი შეცდომები დაუშვა ხელისუფლებამ და ახლა იწვნიეს კიდეც. არ შეიძლება მხოლოდ მეგობრების კვლევებისა და რჩევების იმედად იყო, სხვასაც უნდა მოუსმინო.

**— შეძლებენ მეორე ტურამდე ვითარების გამოსწორებას? ვგულისხმობ, მოსახსნელი მინისტრი რომ მოხსნან, დასაჭერი დაიჭირონ... ვინც ბიძინა ივანიშვილის სიჯიუტეს იცნობს, რამეს შეცვლის იმედი არ აქვს...**

**— ის, რაც ხდებოდა, მგონია, რომ სულ სხვა მხრიდან იყო ნაკარნახევი, მათ შორის, კოაბიტაცია. „ნაციონალები“ ძალიან არიან ჩანერგილები ყველგან, ამიტომ მგონია, რომ ისინი ერთ თამაშს თამაშობენ.**

წინასაარჩევნოდ „ოცნებამ“ ბევრი წამგებიანი თემა წამოსწია. მარიხუანის პლანტაციებზე საუბარი შეცდომა იყო, ეკლესია და მრევლი განუდგათ. ჩემს ბავშვობაში გადაცემა იყო „კრაკადილი“. იქ ამბობდნენ: „ნაროშნა ნე პრიდუმაეშ“, ანუ რომც გინდოდეს, ვერ მოიფიქრებო. ის, რაც „ოცნებამ“ თავის თავს გაუკეთა წინასაარჩევნოდ, მტერი ვერ გაუკეთებდა. მოიმკეს ის, რაც დათესეს, მაგრამ ხალხი უფრო მოიმკის მათ შეცდომებს. ახლა დაშვებული შეცდომით სილას საკუთარ თავს გავაწნავთ. **ვთხოვ თანამემამულეებს, მათაც, ვინც მლანძღავს, გონებას მოვუხმოთ. კიდევ ვიმეორებ, მხარს არ ვუჭერდი სალომე ზურაბიშვილს, მინდოდა, მხარდაჭერა უსუფაშვილისთვის გამომეცხადებინა, მაგრამ, ვითარებას რომ გადავხედე, აზრი შევიცვალე და ვიფიქრე, წინააღმდეგობას ვინც გაუწევს ნაცებს, მხარს იმას დავუჭერ-მეთქი, მაგრამ ზურაბიშვილმა წინააღმდეგობა ვერ გაუწია, ამიტომ ახლა ხალხმა უნდა გავუწიოთ წინააღმდეგობა.**

**«ვთხოვ თანამემამულეებს, მათაც, ვინც მლანძღავს, გონებას მოვუხმოთ! დავფიქრდეთ, გვენატრება ის დიქტატურა? გვინდა წარსულის დაბრუნება? მე არასოდეს შემხებიან, მაგრამ იმ პერიოდის დაბრუნება არ მინდა. «ოცნებისგან» სარგებელი არ მიმიღია, არც ველოდები. უმუშევარი ვარ, მაგრამ მგონია, რომ დღეს ქვეყანას სჭირდება სწორი არჩევანი. ამაში არ ვცდები»**

დავფიქრდეთ, გვენატრება ის დიქტატურა? გვინდა წარსულის დაბრუნება? მე არასოდეს შემხებიან, მაგრამ იმ პერიოდის დაბრუნება არ მინდა. „ოცნებისგან“ სარგებელი არ მიმიღია, არც ველოდები. უმუშევარი ვარ, მაგრამ მგონია, რომ დღეს ქვეყანას სჭირდება სწორი არჩევანი. ამაში არ ვცდები!..

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

## დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



„ქართული ოცნება“ თანდათან კარგავს ხელისუფლებას და კონტროლს საზოგადოებრივ აზრზე და, შესაძლოა, მისი ლიდერები, განსაკუთრებით კი მათი „ახალგაზრდულ-საპარლამენტო“ ნაწილი, ამას ვერ აცნობიერებენ. რეალურად, დღის წესრიგში უკვე დგას როგორც რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების დანიშვნის, ისე მმართველი პარტიის დაშლის საკითხი. ზოგს ჰგონია, რომ ივანიშვილი ამ კრიზისსაც „გადააგორებს“. ისინი, სავარაუდოდ, ვერ აცნობიერებენ პრობლემის სისტემურ ხასიათს.

**მიუხედავად იმისა, რომ საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში სალომე ზურაბიშვილმა ფორმალურად პირველი ადგილი დაიკავა, საქართველოში არავინ დავობს იმაზე, რომ „ქართულმა ოცნებამ“ მტკივნეული მარცხი განიცადა, მათ შორის, მთელ რიგ საკვანძო ოლქებში, მაშინ, როდესაც „ნაცმოძრაობისა“ და „ევროპული საქართველოს“ ტანდემმა მნიშვნელოვანი წარმატება მოიპოვა. სააკაშვილის მხარდამჭერებმა ირწმუნეს, რომ შეიძლება საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური და 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები მოიგონ.**

# ამომრჩეველმა «ქართულ ოცნებას» სილა გააწნა

## აცნობიერებს თუ არა «ქართული ოცნების» ლიდერი, როგორ გამოიყურება მას შემდეგ, რაც დააანონსა ზურაბიშვილის გამარჯვება პირველივე ტურში?

რა ბანალურიც უნდა იყოს, ამქვეყნად ყველაფერს თავისი ფასი აქვს, მათ შორის შეუსრულებელ დაპირებებს, პოლიტიკურ შეცდომებს, შერჩევით სამართალს, კორუფციას, ნეპოტიზმს და ა.შ. დღეს „ქართული ოცნება“ იმკის იმას, რაც ბოლო წლების განმავლობაში დათესა.

**სალომე ზურაბიშვილის ცუდი შედეგის მიზეზი არა მხოლოდ კანდიდატის ზოგადი სისუსტეა, არამედ ის, რომ იმ ამომრჩევლების დიდმა ნაწილმა, რომელმაც ივანიშვილის პარტიას 2012-17 წლებში ზედიზედ ხუთი გამარჯვება მოუტანა, „ქართულ ოცნებას“ მხარდაჭერაზე უარი უთხრა. ამასთანავე, ზურაბიშვილის კამპანია ძალიან ცუდად დაიგეგმა — ის ეფუძნებოდა არა კარგ სტრატეგიულ იდეას, არამედ „ოცნების“ ხელთ არსებული ჭარბი რესურსის შაბლონურ გამოყენებას, მაგრამ პლაკატების სიმრავლე ან ცალკე აღებული სახელისუფლო ბერკეტები არჩევნების მოგებისათვის არასაკმარისია, კოლექტიური ინტელექტის დეფიციტს ის ვერ შეავსებს.**

ძნელი სათქმელია, კონკრეტულად როდის დაიწყო მმართველი პარტიის დეგრადაცია, რომელმაც ის ამ სავალალო შედეგამდე მიიყვანა, მაგრამ ერთგვარ რუბიკონად, ალბათ, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები უნდა ჩავთვალოთ. როდესაც „ქართული ოცნება“ აბსოლუტურთან მიახლოებულ ძალაუფლებას მიეკარა, ცნობილი ალგორითმის თანახმად, დაიწყო მისი „აბსოლუტური გარყვნის“ პროცესიც. მნიშვნელოვანი როლი სუბიექტურმა ფაქტორებმაც შეასრულეს, უპირველესად, საკადრო პოლიტიკაში — მხოლოდ 2018 წელს აღმოაჩინა ბიძინა ივანიშვილმა, რომ **გიორგი კვირიკაშვილი** ცუდი პრემიერმინისტრია, იმ პერიოდში მმართველი პარტია და სრულიად საქართველო უკვე ცხოვრობდა რეჟიმში „კრიზისიდან კრიზისამდე“.

**მთავარი პრობლემა კი ისაა, რომ „ქართულმა ოცნებამ,“ ამომრჩევლების დაკვეთის შესაბამისად, დანაშაულებრივი სისტემის დანგრევის ნაცვლად, გადაწყვიტა, ის საკუთარი მიზნებისთვის გამოეყენებინა და საბოლოოდ მის მძევლად იქცა.** ეს მსოფლიო პოლიტიკასა და დრამატურგიაში კარგად ნაცნობი სიუჟეტია — რაინდი, რომელიც ურჩხულს კლავს, ურჩხული თვითონ ხდება. უამრავი კეთილმოსურნე აფრთხილებდა ივანიშვილს, რომ მისი პარტია სწორედ ასეთ ფინალამდე მივიდოდა, მაგრამ ის არც მათ, არც ნეიტრალურ ექსპერტებს არ უსმენდა. ვის უსმენდა? ალბათ, **ირაკლი კობახიძესა** და **მამუკა მდინარაძეს...** ან იქნებ **გიორგი კვირიკაშვილსა** და **ალექსანდრე ჯეჯელავას?**

ყველაზე სასაცილო და ამავე დროს სატირალი, ისაა, რომ მეორე ტურში „ანტინაციონალი“ ამომრჩევლების სანიმუშო მობილიზებისა და სალომე ზურაბიშვილის გამარჯვების შემთხვევაში, „ქართული ოცნების“ ლიდერები, დიდი ალბათობით, ჩათვლიან, რომ პრობლემა მოგვარებულია და წამითაც არ დაფიქრდებიან მის სისტემურ ხასიათზე, რაც მომავალში გარანტირებულ კრახამდე მიიყვანს. საინტერესოა, რა შეიძლება გააკეთოს ასეთ სიტუაციაში „ქართული ოცნების“ „ძველმა“, 2012 წლის ამომრჩეველმა: ყოველივე თქმულის მიუხედავად, მმართველი პარტიის გადარჩენა სცადოს თუ შეეგუოს ნაციონალების მცოცავ რევანშს, რომლის პირველი ეტაპი გრიგოლ ვაშაძის გაპრეზიდენტება გახდება? ამ ადამიანების ნაწილი ბოლო დღეებში შეშფოთებული ჩანდა და მეორე ტურში ზურაბიშვილის მხარდაჭერას გეგმავდა, თუმცა მეორე ნაწილი აპირებს, „ივანიშვილის დასჯა“ განაგრძოს. **თუ „ქართული ოცნების“ აქტიური მხარდამჭერების რაოდენობის კლება ამავე ტემპით გაგრძელდება, ვაშაძისა და ბაქრაძის თითქმის 50% შეიძლება 70%-ად გადაიქცეს.**

**პირველად 2012 წლის შემდეგ ნაციონალებმა ირწმუნეს, რომ ხელისუფლებაში დაბრუნების რეალური შანსი აქვთ და ამ გარემოებას მოვლენათა შემდგომი განვითარებისთვის უდიდესი მნიშვნელობა ექნება, მით უმეტეს, რომ „ოცნების“ აქტივისა და ამომრჩევლების დიდი ნაწილი დღეს დაბნეულია და არ იცის, რა თქვას.** რაც მთავარია, ვაშაძის 50%-თან მიახლოებული შედეგი მეორე ტურის შემდეგ (თუ მას ზურაბიშვილი მოიგებს) შესაძლებლობას მისცემს „ნაცმოძრაობის“ ლიდერებს, არა მხოლოდ ისაუბრონ დარღვევებზე, არამედ „ვარდების რევოლუცია 2“-ის აგორება სცადონ. დღეს ამისთვის გაცილებით ხელსაყრელი პირობები შეიქმნა, ვიდრე ადრე.

არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი: 2012 წლის შემდეგ „ნაცმოძრაობა“, ფაქტობრივად, იზოლაციაში იმყოფებოდა. თითქმის ყველა პოლიტიკური ძალა, აშკარა სატელიტების გარდა, ერიდებოდა არათუ ალიანსს, არამედ ზედმეტ კონტაქტს მასთან. საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტურის შემდეგ კი რესპუბლიკურმა პარტიამ განაცხადა, რომ მეორე ტურში მხარს ვაშაძეს დაუჭერს. ერთი შეხედვით, ამას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, რადგან ეს პარტია, განსაკუთრებით დაშლის შემდეგ, ძალზე სუსტია, მაგრამ **აქ მთავარია პრინციპი — პარტია, რომელიც 2012-16 წლებში მმართველ კოალიციაში შედიოდა, მხარს „ნაცმოძრაობის“ კანდიდატს დაუჭერს. სხვა „მცირე პარტიები“ ხედავენ, რომ ასეთი რამ სავსებით შესაძლებელია. კიდევ რამდენიმე მსგავსი ნაბიჯი და ადრე წარმოუდგენელი ალიანსი „ნაცმოძრაობასთან“ მათთვის შეიძლება მისაღები გახდეს, ხოლო მისი იზოლაცია ისტორიას ჩაბარდება. შემდეგ, სავარაუდოდ, გაჩნდება „გაერთიანებული ოპოზიცია“ (ოღონდ რეალური და არა დღევანდელი მულაჟი) და მალე იზოლაციაში თვითონ „ქართული ოცნება“ აღმოჩნდება, ისევე, როგორც „ნაცმოძრაობა“ თავის დროზე.**



**რა ბანალურიც უნდა იყოს, ამქვეყნად ყველაფერს თავისი ფასი აქვს, მათ შორის შეუსრულებელ დაპირებებს, პოლიტიკურ შეცდომებს, შერჩევით სამართალს, კორუფციას, ნეპოტიზმსა და ა.შ. დღეს «ქართული ოცნება» იმკის იმას, რაც ბოლო წლების განმავლობაში დათესა**

მეორე ტურში ზურაბიშვილმა რომც გაიმარჯვოს, ლიდერების პოლიტიკური იმპოტენცია აუცილებლად მიიყვანს „ქართულ ოცნებას“ მორიგ კრიზისამდე 2020 წლის არჩევნებზე, ან უფრო ადრე. **სინამდვილეში, „ქართული ოცნება“ თანდათან კარგავს ხელისუფლებას და კონტროლს საზოგადოებრივ აზრზე და, შესაძლოა, მისი ლიდერები, განსაკუთრებით კი მათი „ახალგაზრდულ-საპარლამენტო“ ნაწილი, ამას ვერ აცნობიერებენ. რეალურად, დღის წესრიგში უკვე დგას როგორც რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების დანიშვნის, ისე მმართველი პარტიის დაშლის საკითხი. ზოგს ჰგონია, რომ ივანიშვილი ამ კრიზისსაც „გადააგორებს“. ისინი, სავარაუდოდ, ვერ აცნობიერებენ პრობლემის სისტემურ ხასიათს.**

ეს ტრაგიკომიკური ისტორია შეიძლება საშინელი ფინალით დაგვირგვინდეს. სააკაშვილის მმართველობის პერიოდში უამრავმა ადამიანმა თავი არ დაზოგა, რეჟიმს დაუპირისპირდა, მიუხედავად იმისა, რომ ეს დიდ საფრთხეს უკავშირდებოდა, სამოქალაქო გმირობა გამოავლინა და ბოლოს ხელისუფლება ბიძინა ივანიშვილსა და მის პარტიას ჩააბარა, რომელიც მათ, რბილად რომ ვთქვათ, არადანიშნულებისამებრ მოიხმარეს. ყველა ამ ადამიანისთვის სააკაშვილის რეჟიმის შესაძლო რესტავრაცია სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია, თორემ „ოცნების“ ლიდერშიპს პრობლემები, სავარაუდოდ, არ შეექმნება. **ვანო ზარდიაშვილს** რეინტეგრაცია „ნაცმოძრაობაში“, წესით, არ უნდა გაუჭირდეს და რეკომენდაციას, ალბათ, ირაკლი კობახიძესაც გაუწევს.

ისე, საინტერესო კია: **ვის ან რისთვის დასჭირდა აშკარად არაადეკვატური სოციოლოგიური მონაცემები და ეგზიტპოლები, რომლებიც ზურაბიშვილის გამარჯვებაზე მიუთითებდა? „პირველად საქართველოს ისტორიაში“ ნაციონალების მიერ გამოქვეყნებული მონაცემები რეალობასთან უფრო ახლოს იდგა. რისთვის დასჭირდათ ეს — ივანიშვილს ატყუებდნენ თუ თავს იმშვიდებდნენ? აცნობიერებს თუ არა „ქართული ოცნების“ ლიდერი, როგორ გამოიყურება მას შემდეგ, რაც დააანონსა ზურაბიშვილის გამარჯვება პირველსავე ტურში?**

„ქართული ოცნების“ მთავარი ლოზუნგი მეორე ტურის წინ „ნაცმოძრაობის“ რევანშის შეჩერება გახდება, რაც უკვე კარგად ჩანს ლიდერების კომენტარებსა და სოცქსელებში. **მმართველობის 6 წლის განმავლობაში მან არ შექმნა არათუ გამაერთიანებელი იდეოლოგია, არამედ თუნდაც ერთი პოზიტიური იდეა, რომელიც მის ამომრჩევლებს შეაკავშირებდა და მხოლოდ სასიკვდილო საფრთხის მოგერიებისკენ მოუწოდებს.** მაგრამ ამომრჩეველმა და, საზოგადოდ, ადამიანმა, არ შეიძლება მხოლოდ ამით იცხოვროს და პოლიტიკური პროცესი, ისევე, როგორც საკუთარი ცხოვრება, ომის ლოგიკას დაუქვემდებაროს. **საზოგადოებას აინტერესებს ქვეყნის განვითარება, შენება, ეკონომიკური ზრდა; სურს, ხმა სწორედ ამას მისცეს და არა მხოლოდ მოწინააღმდეგის შეჩერებას.**

არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება — „ქართული ოცნების“ მხარდამჭერთა ბირთვს 2012-ში და მომდევნო წლებში კონსერვატორი ამომრჩევლები წამოადგენდნენ. ისინი ძლიერ განაწყენდნენ ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციის გამო (შემდეგ კი საქმე ლამის მარიხუანის კულტივაციამდე მივიდა), აგრეთვე, მიგრაციის სფეროში რბილი პოლიტიკის გატარების გამო. სხვათა შორის, სააკაშვილმა იგრძნო ცვლილებები მათ განწყობაში და მთელი წინასაარჩევნო პერიოდის განმავლობაში ეროვნულ და ქრისტიანულ ღირებულებებზე საუბრობდა. ძნელი სათქმელია, რამდენად დაეხმარა ეს ვაშაძეს, მაგრამ აშკარაა, რომ ამ ნიშანში „ქართულ ოცნებას“ სერიოზული პრობლემები შეექმნა.

**მიუხედავად იმისა, ვინ გაიმარჯვებს მეორე ტურში, საქართველო, დიდი ალბათობით, 2012 წლის დღის წესრიგს დაუბრუნდება, რომლის უარყოფა ცოტა ხნის წინათ სავსებით შესაძლებელი ჩანდა — ბიპოლარული დაყოფითა და საზოგადოების გახლეჩით. ამას ორი მსხვილი პოლიტიკური ძალის დაპირისპირება უზრუნველყოფს, რომლებიც ეკუთვნიან, უპირველესად, წარსულს და არა მომავალს ან თუნდაც აწმყოს. ალბათ, სწორედ ეს იქნება საპრეზიდენტო არჩევნების მთავარი და უაღრესად ტრაგიკული შედეგი.**

„შეეძლოთ, მთელი პიარკამპანია აეწყოთ და თავიანთ პოლიტიკურ აქტივში ჩაეწერათ ის, რომ სწორედ მათი ხელისუფლების პირობებში დაწყებული ძვრების შედეგად დაბრუნდა ქართული პროდუქცია რუსულ ბაზარზე. არაფერს ვამბობ იმაზე, რომ გამარტივდა მიმოსვლა და მოქალაქეებს აღარ აქვთ ადრინდელივით შეზღუდვები; არაფერს ვამბობ იმაზე, რომ კახეთს აღარ შია და ყურძენს ფასი ადევს... თუმცა, „ქართულ ოცნებას“ თავიდანვე აღმოაჩნდა გარკვეული კომპლექსები და მან, არათუ ვერ შეძლო ზემოთ ჩამოთვლილი მიღწევების გამოყენება, პირიქით, თვითონ დაიწყო ოპონენტებისთვის პრორუსული ძალის იარლიყის მიკერება“.

შედეგების ანალიზი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

28 ოქტომბერს დიდი პოლიტიკური ვაი-ვიშისა და გაწევ-გამოწევის ფონზე ჩატარებულმა საპრეზიდენტო არჩევნებმა, ყველა „სიკეთესთან“ ერთად, სრულიად საქართველოს ერთი რამ დაანახვა: მიუხედავად იმისა, რომ „ნაც-ქოცური“ ბაკქანალიის მამა-მარჩენლებს, უკვე დიდი ხანია, თვით „დემოკრატიულ“ დასავლეთში პოლიტიკური შემოდგომა დაუდგათ (და ნაციონალიზმის გამოღვიძების კვალდაკვალ „ნეოლიბერალიზმი“, როგორც იდეოლოგია, სულს ლაფავს), საქართველოში ამ პროცესის ნიშანწყალიც არ არის. პირიქით, „ნაცმოძრაობის“, როგორც პოლიტიკური გვამის, გაცოცხლება და დაბრუნება ხელისუფლების სათავეში ნიშნავს, რომ ქვეყანა ისევ იმ ძველ და დამყაყებულ დღის წესრიგში რჩება. მეტიც, „ნაცმოძრაობისა“ და მისგან გამონადენი სუბიექტების ხელახლა შეყრა და ისევ ერთ პერსპექტიულ ძალად ჩამოყალიბება ნიშნავს, რომ დასავლეთში მიმდინარე ძირეულმა იდეოლოგიურ-პოლიტიკურმა გარდაქმნებმა ჯერჯერობით საქართველოში გამოძახილი ვერ ჰპოვა. იმ ფუნდამენტური ცვლილებების ფონზე, რომლებიც დღეს ამერიკის შეერთებულ შტატებში, საფრანგეთში, ბრიტანეთში, იტალიასა და ევროპის სხვა სახელმწიფოებში ხდება, იყო მოლოდინი, რომ ალტერნატიული ძალა რეალურად საქართველოშიც გაჩნდებოდა; იყო მოლოდინი, რომ „ლიბერალური დემოკრატიის“ პირმშო სუბიექტებს ნელ-ნელა საფუძველი გამოეცლებოდათ და მათ ადგილს კონსერვატიული ძალები დაიკავებდნენ. თუმცა, როგორც ჩანს, საქართველო ამ შემთხვევაშიც იმ იშვიათ „ფენომენალურ“ გამონაკლისს წარმოადგენს, რომელიც საერთო გეოპოლიტიკური კონიუნქტურიდან ამოვარდნილია... რას ნიშნავს დღეს საქართველოსთვის ის შედეგი, რომელიც საპრეზიდენტო არჩევნებმა მოგვცა, და რას უნდა ველოდოთ მომავალში — ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე სასაუბროდ „საქართველო და მსოფლიო“ ანალიტიკოსებს დაუკავშირდა.

# რატომ ვერ ჰპოვა დასავლეთში მიმდინარე იდეოლოგიურ-პოლიტიკურმა გარდაქმნებმა გამოძახილი საქართველოში?



**„დღეს ყველა უნდა გაერთიანდეს და თქვას ერთი რამ: მიუხედავად „ოცნების“ სისუსტისა და ნაკლოვანებებისა, არ დავუშვებთ ნაციონალების მობრუნებას ხელისუფლებაში“**

**გულბაათ რცხილაძე, „ევრაზიის ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი:**

— ის, რომ ამომრჩეველთა მნიშვნელოვანი ნაწილი არჩევნებზე არ წავიდოდა, ჩვენ ვიწინასწარმეტყველეთ და ეს ლოგიკურიც იყო, მაგრამ ზუსტ პროცენტში მაინც შევცდით. შევცდით იმ კუთხით, რომ 60 პროცენტამდე მაინც ველოდით აქტივობას, მაგრამ მხოლოდ 47 პროცენტი მივიდა. **ხალხი ისეა უკვე ნიჰილიზმში და მას ისე აღარ სჯერა არავისი, რომ ისეთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენა, როგორიცაა საპრეზიდენტო არჩევნები და, სხვათა შორის, ეს ბოლო არჩევნებია, სადაც პრეზიდენტს პირდაპირი წესით ვირჩევთ, საერთოდ, არ აინტერესებს.**

რით არის ეს განპირობებული? ცხადია, ყველაფრის თავიდათავი არის ის, რომ „ქართული ოცნება“, დღიდან ხელისუფლებაში მოსვლისა, მიდის არასწორი მიმართულებით და თავის ლიდერიანად მუდმივად შორდება მოსახლეობას. სხვათა შორის, ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანი ამ საარჩევნო კამპანიის ფარგლებში იყო ის, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები ნაციონალებს ეჯიბრებოდნენ რუსეთის ლანძღვაში. ისმოდა კრიტიკა და რაღაც აბსურდული შეფასებები კრემლის მისამართით, რათა „ნაცმოძრაობის“ პროპაგანდას მათთვის პრორუსული ძალის იარლიყი არ მიეკერებინა. **არადა, შეეძლოთ, მთელი პიარკამპანია აეწყოთ და თავიანთ პოლიტიკურ აქტივში ჩაეწერათ ის, რომ სწორედ მათი ხელისუფლების პირობებში დაწყებული ძვრების შედეგად დაბრუნდა ქართული პროდუქცია რუსულ ბაზარზე. არაფერს ვამბობ იმაზე, რომ გამარტივდა მიმოსვლა და მოქალაქეებს აღარ აქვთ ადრინდელივით შეზღუდვები; არაფერს ვამბობ იმაზე, რომ კახეთს აღარ შია და ყურძენს ფასი ადევს...** თუმცა, კიდევ ვიმეორებ, „ქართულ ოცნებას“ თავიდანვე აღმოაჩნდა გარკვეული კომპლექსები და მან არათუ ვერ შეძლო ზემოთ ჩამოთვლილი მიღწევების გამოყენება, პირიქით, თვითონ დაიწყო ოპონენტებისთვის პრორუსული ძალის იარლიყის მიკერება.

**— ვაშაძესაც ხშირად მოიხსენიებდნენ „კა-გე-ბეს“ აგენტად.**

— ზუსტად აქ ჩანდა მათი პოლიტიკური კომპლექსი. ვის აინტერესებს დღეს ეს, რა დროს „კა-გე-ბეა“?! ან ეს ტუტუცი პარლამენტის თავმჯდომარე რომ გამოდიოდა და ხალხს აღიზიანებდა, რა ეგონათ, ვინმეს მოსწონდა?! სხვათა შორის, მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და მივმართო ბატონ **ბიძინა ივანიშვილს**, რომ ასეთი გამაღიზიანებელი სუბიექტები და მლიქვნელები ნუ გამოჰყავს. სწორედ ასეთმა ადამიანებმა მოაქციეს ის პოლიტიკურ ალყაში, საიდანაც ახლა ძალიან გაუჭირდება გამოსვლა.

**«აგრესიულად უნდა გადავიდნენ მოსახლეობისთვის იმის შეხსენებაზე, რომ, თუ მოვა ვაშაძე ხელისუფლებაში, ეს გამოიწვევს შემდეგ ეტაპზე უკვე ნაციონალების მოსვლას პარლამენტში, რასაც მაშინვე მოჰყვება, როგორც მასობრივი რეპრესიები, ისე დაძაბულობის ესკალაცია და ახალი ომის საფრთხე რუსეთთან. ანუ, ხალხს უნდა ვუთხრათ, რომ ამ პოლიტიკური გვამების გაცოცხლება, ისევ ავტორიტარიზმის დაბრუნების გარდა, ნიშნავს რუსეთის ბაზრის ხელახლა დაკარგვას, შიმშილს, დაძაბულობას, ტერორს და ა.შ. ეს გინდათ, ხალხო?»**

რაც შეეხება არჩევნების მეორე ტურს, ვფიქრობ, საფუძვლიანად უნდა შეიცვალოს წინასაარჩევნო კამპანიის ხასიათი და **აგრესიულად უნდა გადავიდნენ მოსახლეობისთვის იმის შეხსენებაზე, რომ, თუ მოვა ვაშაძე ხელისუფლებაში, ეს გამოიწვევს შემდეგ ეტაპზე უკვე ნაციონალების მოსვლას პარლამენტში, რასაც მაშინვე მოჰყვება, როგორც მასობრივი რეპრესიები, ისე დაძაბულობის ესკალაცია და ახალი ომის საფრთხე რუსეთთან. ანუ, ხალხს უნდა ვუთხრათ, რომ ამ პოლიტიკური გვამების გაცოცხლება, ისევ ავტორიტარიზმის დაბრუნების გარდა, ნიშნავს რუსეთის ბაზრის ხელახლა დაკარგვას, შიმშილს, დაძაბულობას, ტერორს და ა.შ. ეს გინდათ, ხალხო?** აი, ასე უნდა წავიდეს კამპანია და არა ისე, რომ ვიღაცას „კა-გე-ბეს“ აგენტი უძახონ.

აქვე მინდა, მოვუწოდო ყველა ჯანსაღ ძალას, რომელიც არ ჩარეულა ამ პოლიტიკურ ბატალიებში: **დღეს ყველა უნდა გაერთიანდეს და თქვას ერთი რამ, რომ, მიუხედავად „ოცნების“ სისუსტისა და ნაკლოვანებებისა, არ დავუშვებთ ნაციონალების მობრუნებას ხელისუფლებაში...**

**— საღ ძალებს რაც შეეხება, დღეს ევროპაში და არა მხოლოდ ევროპაში, ამერიკის კონტინენტზეც, კონსერვატიზმის აღორძინება გეომეტრიული პროგრესიით მიდის. ინგლისში, გერმანიაში, საფრანგეთში, იტალიაში მიმდინარე პოლიტიკური ძვრები ნათელი მაგალითია იმისა, რომ ბებერ კონტინენტზე „ლიბერალური დემოკრატია“ სულს ლაფავს. როგორ ფიქრობთ, საქართველოში რატომ ვერ ჰპოვა ამ პროცესმა დღემდე გამოძახილი? რატომაა, რომ აქ ჯერჯერობით ძვრაც არაა ამ მიმართულებით?**

— საქართველოს ნაციონალიზმი არ აკლია და მოდი, ვთქვათ პირდაპირ: სწორედ ნაციონალიზმმა, ბრმა ნაციონალიზმს ვგულისხმობ, დაღუპა ეს ქვეყანა 1990-იან წლებში.

რაც შეეხება დასავლეთს, იქ ნაციონალიზმს სულ სხვა დატვირთვა აქვს. მაგალითად, ტრამპი როცა ამბობს, ნაციონალისტი ვარო, ეს არ ნიშნავს ეთნონაციონალიზმს. რთული სათქმელია, რატომ ვერ აისახა საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში ის, რაც დასავლეთში, დიდი ხანია, ხდება, მაგრამ ერთი რამ ცხადია: **საფრთხე, რომელიც გაჩნდა, „ნაციონალური მოძრაობის“ რეინკარნაციის სახით, უნდა იყოს სიგნალი ყველასთვის — ხალხისთვისაც და ხელისუფლებისთვისაც, რომ ქვეყანაში პროცესები მიდის ძალიან არასწორი, არაჯანსაღი მიმართულებით. აი, ეს უნდა დასრულდეს ერთხელ და სამუდამოდ, თუ არ გვინდა, რომ მალე მართლა სრულ პოლიტიკურ (და არა მხოლოდ პოლიტიკურ) კატასტროფამდე მივიდეთ...**



**„არ გამოვრიცხავ, რომ ტოტალური უნდობლობა მიმდინარე პროცესებისადმი გადაიზარდოს დიდ სამოქალაქო დაპირისპირებაში“**

**დიმიტრი ლორთქიფანიძე, უფლებადამცველი:**

— სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ რამდენადაც მეტყველებს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ბოლოდროინდელი განცხადებები ნეოკონსერვატიული განწყობების მატებაზე ამერიკელ საზოგადოებაში, იმდენად დიამეტრალურად განსხვავებული პოლიტიკა ხორციელდება აქ. ამ შემთხვევაში მხედველობაში მაქვს ნეოლიბერალური დიქტატის, როგორც მონოპოლისტური იდეოლოგიის, არსებობა ქვეყანაში, რაც განუხრელად გრძელდება და ჩვენ დღეს კარგად ვხედავთ, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ „ქართულ ოცნებასთან“ კოორდინირებულად, მიზანმიმართულად ახორციელებს ამ გეგმას. თუმცა ვფიქრობ, რომ ჩვენც, კონსერვატულად განწყობილმა ძალებმაც, ძალიან დიდი დრო გავუშვით ხელიდან ისე, რომ ჩვენს წიაღში ვერ გამოვყავით ლიდერები. ვგულისხმობ ისეთ ლიდერებს, რომელთა გარშემოც გაერთიანდებოდა მოსახლეობის ნიჰილისტურად განწყობილი ნაწილი, სწორედ ამან გამოიწვია დღეს ნაციონალების გაცოცხლება.

რაც შეეხება უშუალოდ ამ არჩევნებს, მოკლედ გეტყვით: **ან ძალიან დიდი შეთქმულებისა და ღალატის მოსწრენი ვართ, რაც გამორიცხული არაა, ან არის გარკვეული გაუთვალისწინებლობა, რაც ამ დღეების განმავლობაში გამოაშკარავდება.** წინააღმდეგ შემთხვევაში, არ გამოვრიცხავ, რომ ტოტალური უნდობლობა მიმდინარე პროცესებისადმი გადაიზარდოს დიდ სამოქალაქო დაპირისპირებაში, ვინაიდან საზოგადოება არ დაუშვებს ნაცისტური რეჟიმის აღდგენასა და დაბრუნებას ქვეყანაში, მიუხედავად იმისა, რომ „ნაც-ქოცური“ ალიანსი უკვე გარკვეულწილად წარმოადგენს ასეთი ტიპის რეინკარნირებულ ძალას.

**«ან ძალიან დიდი შეთქმულებისა და ღალატის მოსწრენი ვართ, რაც გამორიცხული არაა, ან არის გარკვეული გაუთვალისწინებლობა, რაც ამ დღეების განმავლობაში სააშკარაოზე უნდა გამოვიდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, არ გამოვრიცხავ, რომ მიმდინარე პროცესებისადმი ტოტალური უნდობლობა გადაიზარდოს დიდ სამოქალაქო დაპირისპირებაში, ვინაიდან საზოგადოება არ დაუშვებს ნაცისტური რეჟიმის აღდგენასა და დაბრუნებას ქვეყანაში, მიუხედავად იმისა, რომ „ნაც-ქოცური“ ალიანსი უკვე გარკვეულწილად წარმოადგენს ასეთი ტიპის რეინკარნირებულ ძალას»**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

პრობლემა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**უნდა ვაღიაროთ, რომ ბოლო დროს არასრულწლოვანთა მიმართ ძალადობრივი დანაშაული გახშირდა. თითქმის ყოველდღე გვესმის, რომ არასრულწლოვანი ვიღაცამ დაჩაგრა, ცემა, ატკინა... და ეს მაშინ, როცა სოციალურ ქსელებში, ტელევიზიით, ქუჩაში, სახლში, ტრანსპორტში თითქოს ხმალამოღებული ვიცავთ ბავშვების უფლებებს, ბავშვთა საერთაშორისო დღესაც ვზეიმობთ, მაგრამ გადის დღე, კვირა, თვე და საზარელი ფაქტის წინაშე ვდგებით.**

# თავსმოხვეული ლიბერალიზმი, ანუ ძალადობის გარეშე «წინ ვერ წავალთ»

**შიდა ქართლში დატრიალებული ტრაგედია კარგა ხანს დარჩება მოუშუშებელ იარად. რვა წლის გოგონა სასიკვდილოდ გაიმეტეს და თანაც წამებით: სასტიკად გაუსწორდნენ უსუსურ ბავშვს, რომელიც სახლიდან ცეკვაზე მიდიოდა, გადიოდა იმ გზას, რომელიც მანამდე მრავალჯერ ჰქონდა გავლილი და სავარაუდოდ, მკვლელმა ეს იცოდა. დარწმუნებით შეიძლება იმის თქმა, რომ მკვლელობაში ეჭვმიტანილს, ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, სამუდამო პატიმრობა ელის, მაგრამ ვაი, რომ ეს პატიმრობა რვა წლის ანგელოზს ვერ გააცოცხლებს.**

არადა, რეალობას თვალი რომ გავუსწოროთ, უნდა ვაღიაროთ, რომ ბოლო პერიოდში არასრულწლოვანთა მიმართ ძალადობრივი დანაშაული გახშირდა. თითქმის ყოველდღე გვესმის, რომ არასრულწლოვანი ვიღაცამ დაჩაგრა, ცემა, ატკინა... და ეს მაშინ, როცა სოციალურ ქსელებში, ტელევიზიით, ქუჩაში, სახლში, ტრანსპორტში თითქოს ხმალამოღებული ვიცავთ ბავშვების უფლებებს, ბავშვთა საერთაშორისო დღესაც ვზეიმობთ, მაგრამ გადის დღე, კვირა, თვე და საზარელი ფაქტის წინაშე ვდგებით; ფაქტის, რომლის გამოსწორებასაც ველარ ვახერხებთ და მხოლოდ სიმწრით ვამბობთ, რომ ტრაგედიის თავიდან აცილება შეიძლებოდა... რეალურად, **ამ ტრაგედიის თავიდან აცილებაც შეიძლებოდა, რომ არა პრეზიდენტის შეწყალების აქტი, რომელმაც 2016 წელს მკვლელობაში ეჭვმიტანილ იაგო ნებიერიძეს სასჯელი გაუნახევრა, თუმცა მხოლოდ პრეზიდენტზე ჯოხის გადატეხვა არ გამოვა, მანამდე იყო საყოველთაო ამნისტია, რომელმაც იმავე ნებიერიძეს სასჯელის ერთი მეოთხედი მოაკლო და ასე აღმოჩნდა თავისუფალი მიმდინარე წლის თებერვალში (ცხრა წელიწადში) 18 წელ მისჯილი ნებიერიძე...** მან სასჯელის მხოლოდ ნახევარი მოიხადა და ამაში ზემოთ ჩამოთვლილმა გარემოებებმა შეუწყო ხელი.

და მაინც, რა არის მიზეზი იმისა, რომ ბოლო პერიოდში არასრულწლოვანთა მიმართ ძალადობამ იმატა? იქნებ ის, რომ ტელეეთერიდან და სოციალური ქსელებიდან გამუდმებით იღვრება ლიბერალური და გამხრწნელი პროპაგანდა? მცდელობა იმისა, რომ ახალი ერი შექმნან, ახალი კასტა ჩამოაყალიბონ? მეცნიერები ამბობენ: გენის შეცვლას ათასწლეული სჭირდებაო და ის, რაც სწორედ ათასწლეულების მანძილზე ინერგებოდა და ილექებოდა ქართულ გენში, სურთ, ათ წელიწადში დაანგრიონ და წაშალონ. იქნებ ის არის ყველაფრის მიზეზი, რომ, აგერ უკვე მერამდენე წელია, ჯიუტად გვინერგავენ ერთმანეთისადმი სიძულვილს. თუ კარგად დავფიქრდებით, ყველაფერი თბილისის სამოქალაქო ომის შემდეგ დაიწყო, ნელნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ... როგორც წამლის დოზას, ისე ზრდიდნენ საწამლავს, რომელსაც ჩვენს ტვინში წვეთ-წვეთობით ნერგავდნენ და... **თბილისის ომმა დაანახვა მსოფლიოს, რომ ქართველებს ყველაზე მეტად ერთმანეთის გამეტება შეგვიძლია. შეგვიძლია და მერე როგორ — სასიკვდილოდ, საწამებლად; შეგვიძლია, ჯოჯოხეთად ვუქციოთ ერთმანეთს ცხოვრება და ეს კარგად, უფრო სწორად, ძალიან კარგად გამოიყენეს.**

შესაძლოა, ვიღაც არ დაგვეთანხმოს, მაგრამ მთელი ეს თავსმოხვეული ლიბერალიზმი იმაზეა დაფუძნებული, რომ ერთმანეთი არ გავიტანოთ, რომ მხოლოდ საკუთარ თავზე ვიფიქროთ, რომ წარმატების მიღწევის ერთადერთი გზა სხვაზე ძალადობაა. და მივდივართ იქამდე, რომ ძალადობის გარეშე წინ ვერ წავალთ. მაგრამ გენი თავისას შვრება — არ ანებებს გონებას და გულს ბოლომდე გახრწნას, მაგრამ ის, რაც ირგვლივ ხდება, ამაზრზენია. **ვიღაცამ დაინახა, რომ სწორედ გაუტანლობით, ჩაშვებით, ძალადობით მიაღწია სხვამ წარმატებას და თავადაც მოუნდა იგივე, მაგრამ, რადგან ძველმა გენმა ბოლომდე არ მისცა გასაქანი და ახალმაც მოსვენება დაუკარგა, ამ წინააღმდეგობამ სუსტი ფსიქიკის ადამიანი ძალადობამდე მიიყვანა და ამ დროს ყველაზე იდეალური სამიზნე არასრულწლოვანია, შემდეგ — ქალი, როგორც ყველაზე უსუსური და წინააღმდეგობის გაწევის შესაძლებლობის არმქონე.** თუნდაც აბაშიძის ქუჩაზე ყელგამოჭრილი გოგო გავიხსენოთ; მანამდე ასევე სასტიკად მოკლული ანა ნაცვლიშვილი, მანამდე... მანამდე... და ასე უსასრულოდ შეიძლება გაგრძელება.

იმის მიუხედავად, რომ ბავშვი ვიყავი, კარგად მახსოვს, რა ხმაური მოჰყვა 80-იანი წლების მიწურულს დუშეთში მოკლული გოგონას ამბავს.



**რა არის მიზეზი იმისა, რომ ბოლო დროს არასრულწლოვანთა მიმართ ძალადობამ იმატა? იქნებ ის, რომ ტელეეთერიდან და სოციალური ქსელებიდან გამუდმებით იღვრება ლიბერალური და გამხრწნელი პროპაგანდა? მცდელობა იმისა, რომ ახალი ერი შექმნან, ახალი კასტა ჩამოაყალიბონ?**

მაშინ არასრულწლოვანის გაუპატიურება-მკვლელობის ბრალდებით სახელოვანი ძიუდოისტი **თამაზ ნამგალაური** დააკავეს და მან დანაშაული აღიარა. უფრო მეტიც, როცა მისმა გავლენიანმა მეგობრებმა „იჩალიჩეს“ და სასამართლო მისთვის მხოლოდ 15 წლის მისჯას აპირებდა, **ნამგალაურმა თვითონ თქვა: უმაღლესი ზომა — დახვრეტა მომისაჯეთ, რადგან ზუსტად ვიცი, რომ გამოვალ, იმავეს გავაკეთებო. ანუ, მან ერთი მსხვერპლი იკმარა, საკუთარი თავი გაწირა იმისთვის, რომ სხვა აღარ მოეკლა. ესეც ძველი გენის გამოძახილია, ალბათ, და შესაძლოა, ძალიან შორს მივდივართ, მაგრამ რატომღაც მგონია, რომ დღეს ნამგალაური იმავეს არ იტყოდა, რადგან მაშინ საკუთარი საქციელის შაშინელება მას იმ დროს გამეფებულმა საზოგადოებრივმა მორალმა გაააზრებინა, დღეს კი ის მორალი აღარ არსებობს და მაშასადამე, აღარ არსებობს შემაკავებელი და შეფასების მიმცემი ფაქტორი. თითქოს ადვილი გახდა სასჯელის მიღებაც და მოხსნაც, თითქოს ისედაც გაუფასურებულ სიცოცხლეს ჩალის ფასიც აღარ აქვს.**



ორი კვირის წინათ პრეზიდენტმა სამუდამო პატიმრობა მისჯილი წამლის ბარიგა შეიწყალა და, როცა ის ციხიდან გამოვა, არავინ არის გარანტი, რომ ძველ საქმიანობას ისევ არ დაუბრუნდება და ისევე არ გაისტუმრებს ახალგაზრდებს საიქიოს.

ასეა, ევროპა-ამერიკიდან შემოტანილი „ლიბერალიზმი“ ჯერ შეუქცევადი და გაბატონებული არ არის, ჯერ ბოლომდე არ გაუხრწნია ჩვენი გონება და სხეული. ჯერ ბოლომდე გადაუგვარებელი ფსიქიკა მხოლოდ რაღაც მომენტში ბოლომდე ითიშება და დანაშაულისკენ უბიძგებს ადამიანებს, იმ დანაშაულისკენ, რომელიც ადვილი ჩასადენია და ასე ადვილად იმეტებენ ბავშვებს, რადგან მათ წინააღმდეგობის გაწევა სხვებზე ნაკლებად შეუძლიათ.

როდესაც გორში **იაგო ნებიერიძე** დააპატიმრეს, რამდენიმე საათში რუსთავში 32 წლის ახალგაზრდა მამაკაცი დააკავეს, რომელიც რამდენიმე დღის განმავლობაში ერთ-ერთი სკოლის წინ მცირეწლოვან გოგონებს მანქანით გასეირნებას სთავაზობდა. მანქანაში კი მათ შეტყუებას შოკოლადითა და ნაყინით ცდილობდა. სხვათა შორის ამ ამბავს სათანადო რეაქცია არ მოჰყოლია. საბედნიეროდ, არც ერთი ბავშვი არ გაჰყვა, არ ენდო და მომხდარზე მშობლებს უამბო, მშობლებმა კი პოლიციას მიმართეს და ძალოვანებმაც სწორედ მაშინ დააკავეს ეჭვმიტანილი, როცა ის ერთ-ერთ ბავშვს მანქანაში ეპატიჟებოდა. ამ ყველაფერში ცუდი ისაა, რომ მამაკაცს ადევნებაზე წაუყენებენ ბრალს და დიდი-დიდი ორ წელიწადს მიუსჯიან, ანუ ორი წლის შემდეგ ის ისევ გარეთ იქნება და, როგორ გგონიათ, ციხეში ფსიქიკას რამე შეუცვლის?!

ახლა იკითხავთ, გამოსავალი სად არისო და მოგახსენებთ: პირველ რიგში, **კანონი უნდა გამკაცრდეს. არა გვგონია, ვინმე, ერთი ადამიანიც კი, წინააღმდეგი იყოს იმისა, რომ პედოფილებს ქიმიური კასტრაცია ჩაუტარდეს.** თუნდაც იმ კაცს, 43 ბიჭის გაუპატიურება რომ დაუმტკიცდა და ორი თვის წინათ სასამართლომ რვა წელზე მეტი ვერ მიუსაჯა, — აქაოდა, კანონი მეტის შესაძლებლობას არ იძლევაო. რვა წლის შემდეგ, 43 ბავშვის გამაუპატიურებელი გარეთ რომ გამოვა, როგორ გგონიათ, რას იზამს? ამიტომ ქიმიური კასტრაცია ერთ-ერთი გამოსავალია.

**უნდა შეწყდეს ლიბერალური და გამხრწნელი პროპაგანდა: ბავშვებისთვის იმის ჩიჩინი, რომ მშობლებს არ უნდა დაუჯერონ და, თუ მშობელი შენიშვნას მისცემს, შეუძლიათ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და პატრულში უჩივლონ. პროცენტულად, ალბათ, ერთზე ნაკლები იქნება იმ მშობლების რაოდენობა, რომლებიც შვილს ტყუილად გაუბრაზდებიან ან დაუყვირებენ. არ იყო ადრე ამაზე სასჯელი და ვიზრდებოდით თაობები, ის თაობები, რომლებსაც ათ წელიწადში ერთხელ ესმოდათ, რომ სადღაც ვიღაც ავადმყოფმა ბავშვი სასიკვდილოდ გაიმეტა.** ჰო, ათასში ერთხელ ნებისმიერ ერში იბადება ისეთი ადამიანი, რომელსაც ვერაფერს უხერხებ, რომლის საქციელს წინასწარ ვერ გათვლი.

ამიტომ ვამბობ, რომ როგორც ტელევიზიით, ისე ბეჭდური მედიით უნდა შეწყდეს ლიბერალიზმის ქადაგება, უნდა შეწყდეს იმის მტკიცება, რომ გახრწნილება კარგია, ტაში არ უნდა დავუკრათ უცნაური ჯურისა და გარეგნობის ადამიანებს, რომლებიც საზოგადოებაში დამკვიდრებას სწორედ ამ უცნაურობით ცდილობენ და მთავარ ღირსებად ის მიაჩნიათ, რომ თავს ყველაფრის უფლებას აძლევენ. სხვა შემთხვევაში ანალოგიურ ისტორიებს უფრო ხშირად მოვისმენთ და მერე ყურიც მიეჩვევა და გონებაც. აკი ვამბობთ, რომ სწორედ გონებისა და გენის შეცვლა სურთ, იმის, რასაც მეცნიერების აზრით, ათასწლეული სჭირდება.

**ბესო ბარბაქაძე**

**უნდა შეწყდეს ლიბერალური და გამხრწნელი პროპაგანდა: ბავშვებისთვის იმის ჩიჩინი, რომ მშობლებს არ უნდა დაუჯერონ და, თუ მშობელი შენიშვნას მისცემს, შეუძლიათ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და პატრულში უჩივლონ. პროცენტულად, ალბათ, ერთზე ნაკლები იქნება იმ მშობლების რაოდენობა, რომლებიც შვილს ტყუილად გაუბრაზდებიან ან დაუყვირებენ**

**როგორც საქართველოს უახლესმა პოლიტიკურმა ისტორიამ გვიჩვენა, ტრადიციულ-კოლექტივისტურ და პატრიარქალურ საზოგადოებაში წარმომადგენლობითი დემოკრატიის ლიბერალური მოდელის დანერგვის მცდელობამ ვერ გაამართლა. შესაბამისად, ქართველმა საზოგადოებამ უნდა იზრუნოს დემოკრატიის იმ მოდელის შემუშავებასა და პრაქტიკაში რეალიზაციაზე, რომელიც მისაღები იქნებოდა საზოგადოებრივი მოწყობის, კოლექტივისტური სოციალური ფორმებისთვის.**

თვალსაწიერი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ლიბერალიზმი, მართლმადიდებლობა და ქართული დემოკრატია

დასასრული. დასაწყისი იხ. №38 (462)

**ქვეყნის დეინსტიტუციონალიზაციის პირობებში მართვა ხორციელდება არა პოლიტიკური ინსტიტუციების მეშვეობით, არამედ პერსონალურად, საზოგადოებაში მაღალი ავტორიტეტის მქონე პოლიტიკური ლიდერის ნება-სურვილის შესაბამისად.**



**ქართველი საზოგადოებაც, დასავლური საზოგადოებისგან განსხვავებით, თავისი კოლექტივისტური ბუნებიდან და პატრიარქალურობიდან გამომდინარე, აქცენტს ძლიერ, ქარიზმულ ლიდერზე აკეთებს. ამიტომ, საქართველოს უახლესი პოლიტიკური ისტორიის ბოლო წლების განამვლობაში — თანამედროვე პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბებიდან დღემდე, მმართველობის ყოველი ახალი ციკლის დასაწყისში (მთლიანობაში 8-9 წელს მოიცავს) ქართველი ხალხი მაქსიმალური ძალაუფლებით აღჭურვავდა თითოეულ პოლიტიკურ ლიდერს.** ეს ლიდერი, მისი ძალაუფლების შემაკავებელი ფაქტორის არარსებობის პირობებში, „ირყვნებოდა", უჩნდებოდა კანონზე მაღლა დგომის ამბიცია და მისი მოღვაწეობა ორიენტირებული იყო მხოლოდ ხელისუფლების უზურპაციაზე, **შენარჩუნებასა და პირად გამდიდრებაზე. სწორედ მოცემული გარემოების გათვალისწინებით, აღნიშნული მმართველობითი ციკლის დასრულებისა და ახლის დადგომის პერიოდში არსებული პოლიტიკური ლიდერის და მასთან აფილირებული ელიტის ჩანაცვლება ხდებოდა „რევოლუციური" ან მასთან მიახლოებული პროცესებით, რითაც პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირება უბრუნდებოდა მის საწყის მდგომარეობას. დღესაც ზუსტად იგივე მეორდება — დღევანდელი ხელისუფლების გადარჩევისა და ახლის არჩევის შემთხვევაშიც ანალოგიურ სიტუაციაში აღმოვჩნდებით.** აი, ამ მოჯადოებულ წრეზე ტრიალებს საქართველო და ქართველი ხალხი ორ ათეულ წელზე მეტია.

**ქართული ტრადიციულ-კოლექტივისტური საზოგადოებისა და დასავლური ლიბერალურ-ინდივიდუალისტური საზოგადოებების სოციალური ორგანიზების ობიექტური, სოციოლოგიურ-კულტუროლოგიური ანალიზი ცხადყოფს: სოციოკულტურული ფუნქციონირების არც ერთი სფერო არ იძლევა იმის საშუალებას, რომ საქართველოში შესაძლებელი იყოს მმართველობის ლიბერალურ დემოკრატიული-პოლიარქიული სისტემის დანერგვა.**

მაშ, რა უნდა მოვიმოქმედოთ ქართველებმა, რომ დემოკრატიული მმართველობის ისეთი სისტემა შევქმნათ, რომელიც, ინგლისელ სოციოლოგ **ჯ. ფილდის** თქმით, „უზრუნველყოფს მოსახლეობის დიდი მასის ეფექტიან ზემოქმედებას მმართველობის პროცესზე"?

**როგორც საქართველოს უახლესმა პოლიტიკურმა ისტორიამ გვიჩვენა, ტრადიციულ-კოლექტივისტურ და პატრიარქალურ საზოგადოებაში წარმომადგენლობითი დემოკრატიის ლიბერალური მოდელის დანერგვის მცდელობამ ვერ გაამართლა. შესაბამისად, ქართველმა საზოგადოებამ უნდა იზრუნოს დემოკრატიის იმ მოდელის შემუშავებასა და პრაქტიკაში რეალიზაციაზე, რომელიც მისაღები იქნებოდა საზოგადოებრივი მოწყობის, კოლექტივისტური სოციალური ფორმებისთვის.** ამ მხრივ საყურადღებოა პოლიტოლოგ **ალექსანდრე ჭაჭიას** პოლიტიკური პროექტი საქართველოში მმართველობის დემოკრატიული სისტემის დანერგვის თაობაზე, რომელიც მიზნად ისახავს კოლექტივისტური, პირდაპირი და წარმომადგენლობითი დემოკრატიული მმართველობითი სისტემების ერთგვარ სინთეზს. **ალექსანდრე ჭაჭია, თავისი კონცეფციის მიხედვით, რომელსაც იგი გადმოსცემს ერთ-ერთ საგაზეთო პუბლიკაციაში, საზოგადოებას სთავაზობს სახელისუფლო ელიტის წევრების პირადი პასუხისმგებლობის შესახებ სპეციალური კანონის მიღებას. მისი არსი მდგომარეობს შემდეგში: „...კანონი უნდა ითვალისწინებდეს იმას, რომ ყოველი მორიგი არჩევნების დროს საარჩევნო ბიულეტენში შეტანილი იქნება პრეზიდენტის, პარლამენტისა და მთავრობის გასული მოღვაწეობის შეფასების საკითხიც... თუ ამომრჩეველთა ორი მესამედი ქვეყნის ხელმძღვანელობის საქმიანობას უარყოფითად შეაფასებს, მაშინ ყველა ეს მოღვაწე დაპატიმრებული უნდა იქნას იმავე ვადით, რა ვადითაც ისინი ხელისუფლებაში იმყოფებოდნენ, ქონების კონფისკაციით. ასეთი კანონის არსებობის შემთხვევაში, ხელისუფლებისკენ ლტოლვა განპირობებული იქნება არა პირადი გამდიდრების სურვილით, არამედ ქვეყნისა და ხალხის ინტერესებით. ქვეყნის ხელმძღვანელობაში აღმოჩნდებიან არა თაღლითები, არამედ კომპეტენტური, მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც დარწმუნებულნი არიან, რომ მათ შეუძლიათ უზრუნველყონ ქვეყნის განვითარება და მზად არიან, თავიანთ საქმიანობაზე პასუხი აგონ".**

შეფასებითი დემოკრატიის აღნიშნული კონცეფციით, თითოეულ ამომრჩეველს მიეცემა შესაძლებლობა, დამოუკიდებლად, ინდივიდუალურად გამოხატოს თავისი დამოკიდებულება არსებული ხელისუფლების მიმართ, ხოლო მათი ინდივიდუალური ინტერესებისა და მიღებული გადაწყვეტილებების ჯამი საბოლოოდ გამოავლენს ერის, საზოგადოების უმრავლესობის კოლექტიურ ნებას. ეს პროცესი კი, თავის მხრივ, გაზრდის სახელისუფლო პოზიციების მქონე პოლიტიკური ლიდერისა და მმართველი ელიტის ანგარიშვალდებულებას და პასუხისმგებლობას საკუთარი ამომრჩევლების წინაშე.

სიმართლე უნდა ითქვას, რომ, დემოკრატიული სისტემის მოცემული მოდელის მიხედვით, არაკონკურენტუნარიან პოლიტიკურ გარემოში საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქეებს შესაძლებლობა მიეცემათ, პირდაპირი დემოკრატიის ფორმების გამოყენებით, უშუალოდ გააკონტროლონ მათ მიერ არჩეული და დაქირავებული სახელისუფლო ელიტა და, ამასთანავე, უზრუნველყონ საკუთარი მონაწილეობა მმართველობით პროცესში, რასაც დღეს, ფაქტობრივად, მოკლებულნი არიან.

მიუხედავად იმისა, რომ განხილული მმართველობითი პროექტი შეესაბამება ქართველთა საზოგადოებრივი ორგანიზების სოციო-კულტურულ სპეციფიკას, ჩემი ღრმა რწმენით, იგი მოითხოვს გარკვეული ტიპის შევსებასა და სრულყოფას. ვინაიდან, როგორც მოგეხსენებათ, საქართველოში ყოველი არჩევნები ტარდება ისეთი პოლიტიკური ლიდერებისა და მმართველი ელიტების მოღვაწეობის პირობებში, რომელთა პოლიტიკური ორიენტირი მიმართულია მხოლოდ სახელისუფლო პოზიციების შენარჩუნებასა და ძალაუფლების უზურპაციაზე (საქართველოს ბოლო წლების პოლიტიკური ისტორია ამას ადასტურებს), ასეთ ვითარებაში კი არჩევნების გაყალბების ალბათობა ძალიან მაღალია, რასაც, სხვათა შორის, ადასტურებს გასული წლების საარჩევნო პრაქტიკაც, ამიტომ არ არის გამორიცხული, არსებული ხელისუფლების პირობებში შეფასებითი დემოკრატიის პროცედურების შესრულებისას, მისი მაკონტროლებელი ორგანოს არ არსებობის შემთხვევაში ხელისუფლებამ, მმართველმა კლასმა საზოგადოებას წარუდგინოს მიღებული კოლექტიური გადაწყვეტილების მისთვის მისაღები შედეგი.

**თანამედროვე საქართველოში ერთადერთი სოციალური ინსტიტუტი, რომელიც გამოირჩევა ნდობის მაღალი ხარისხითა და ავტორიტეტულობით, არის საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, რომელსაც შესწევს ძალა და უნარი, იტვირთოს შუალედური რგოლის ფუნქცია უმაღლეს სახელისუფლო ეშელონებსა და საზოგადოებას შორის**

უნდა აღინიშნოს, რომ დასავლურ ლიბერალურ-ინდივიდუალისტურ საზოგადოებებში, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მმართველობის კონკურენტუნარიან გარემოში პოლიტიკური თამაშების დღის წესრიგის, მათ შორის, საარჩევნო პროცესის სამოქალაქო კონტროლის ფუნქციას ახორციელებენ სხვადასხვა საზოგადოებრივი სეგმენტის ინტერესების დამცველი ავტორიტეტული შუალედური სოციალური ჯგუფები, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუციური ნაწილის, არასამთავრობო ორგანიზაციების და ასოციაციების მეშვეობით. დასავლური ლიბერალური სოციუმებისგან განსხვავებით, საქართველოში ხელისუფლებასა და ტრადიციულ-კოლექტივისტურ საზოგადოებას შორის შუალედური რგოლის ფუნქციას ვერ ასრულებენ არსებული არასამთავრობო ორგანიზაციები და საზოგადოებრივი ჯგუფები, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მათ მიერ პროპაგანდირებული ლიბერალური ღირებულებების ასპექტები ძალიან შორს დგას ქართველი საზოგადოების უმრავლესობის ღირებულებით ორიენტირებთან და აზროვნებით პარადიგმასთან, რაც განაპირობებს მათ მიმართ უნდობლობასა და დაბალ ავტორიტეტს.

**თანამედროვე საქართველოში ერთადერთი სოციალური ინსტიტუტი, რომელიც გამოირჩევა ნდობის მაღალი ხარისხითა და ავტორიტეტულობით, არის საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, რომელსაც შესწევს ძალა და უნარი, იტვირთოს შუალედური რგოლის ფუნქცია უმაღლეს სახელისუფლო ეშელონებსა და საზოგადოებას შორის. ამის თვალსაჩინო მაგალითია ეკლესიის მკაცრი პოზიცია მარიხუანის კულტივაციაზე, როდესაც სახელისუფლო ელიტა იძულებული შეიქნა, უარი ეთქვა, ფაქტობრივად, გადაწყვეტილი საკითხის საკანონმდებლო ორგანოში განხილვაზე, რის გამოც იგი პოლიტიკური დღის წესრიგიდან მოიხსნა.** სწორედ ამიტომ გამართლებულად ვთვლი, საზოგადოებაში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისადმი ნდობის ძალიან მაღალი მაჩვენებლიდან და მისი ავტორიტეტულობიდან გამომდინარე, ეს უკანასკნელი სამართლებრივად დაიტვირთოს, რათა მონიტორინგი და კონტროლი გაუწიოს შეფასებითი დემოკრატიის პროცედურების განხორციელებას, რითაც ხელი შეეწყობა საზოგადოების უმრავლესობის ნების გამოვლენას.

ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ დემოკრატიული მმართველობის მოცემული მოდელის საქართველოში დანერგვის შემთხვევაში, შესაძლებელი იქნება დემოკრატიის, როგორც ხალხის მმართველობითი სისტემის, სრულყოფილი რეალიზაცია, რითაც უმაღლეს სახელისუფლო ეშელონებში მოქცეული ელიტური ჯგუფები ორმაგი კონტროლის ქვეშ აღმოჩნდებიან. ერთი მხრივ, მათ საქმიანობაზე ზედამხედველობას განახორციელებს სასულიერო ხელისუფლება, ხოლო, მეორე მხრივ, ხელისუფლების საქმიანობას უშუალოდ ხალხი გააკონტროლებს. სხვა შემთხვევაში, ქართველ საზოგადოებას მოუწევს უპასუხისმგებლო და ხალხის წინაშე არაანგარიშვალდებული პოლიტიკური ელიტების მმართველობის მახინჯ ფორმასთან შეგუება.

**ირაკლი უბილავა,**
**პოლიტოლოგი**

**ალექსანდრე ჭაჭია, თავისი კონცეფციის მიხედვით, რომელსაც იგი გადმოსცემს ერთ-ერთ საგაზეთო პუბლიკაციაში, საზოგადოებას სთავაზობს სახელისუფლო ელიტის წევრების პირადი პასუხისმგებლობის შესახებ სპეციალური კანონის მიღებას. მისი არსი მდგომარეობს შემდეგში: «...კანონი უნდა ითვალისწინებდეს იმას, რომ ყოველი მორიგი არჩევნების დროს საარჩევნო ბიულეტენში შეტანილი იქნება პრეზიდენტის, პარლამენტისა და მთავრობის გასული მოღვაწეობის შეფასების საკითხიც... თუ ამომრჩეველთა ორი მესამედი ქვეყნის ხელმძღვანელობის საქმიანობას უარყოფითად შეაფასებს, მაშინ ყველა ეს მოღვაწე დაპატიმრებული უნდა იქნას იმავე ვადით, რა ვადითაც ისინი ხელისუფლებაში იმყოფებოდნენ, ქონების კონფისკაციით»**

ხმა ბერისა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ეს პროცესები არის ამერიკის სცენარი და მის მიერ ინსპირირებული. მილიონები იხარჯება იმისთვის, რომ ისედაც ინფორმაციულ ვაკუუმში მყოფ მოსახლეობას თავგზა აურიონ და დეზინფორმაციით მოწამლონ. ეს პროპაგანდისტული მანქანა, ეკლესიის წიაღში არსებულ პროდასავლურ ძალებთან ერთად, ყველანაირად ცდილობს, ხალხს რეალობა სხვანაირად დაანახვოს, ანუ მოვლენები ისე შუქდება, რომ თითქოს ტანჯული 40-მილიონიანი უკრაინელი ერი გულმოდგინედ ელოდება ეკლესიის დამოუკიდებლობას და როგორ შეიძლება, მას მხარი არ დავუჭიროთ“.**

# 3 ნოემბერს საბოლოოდ გადაწყდება, მოაწერს თუ არა ხელს ბართოლომეოსი რუსეთის ეკლესიის გახლეჩას

## მამა გიორგი (რაზმაძე): ეს იქნება რელიგიური ომი და ამ ომს გაცილებით მეტი დამანგრეველი ეფექტი ექნება ქვეყნისთვის

**მას შემდეგ, რაც მსოფლიო პატრიარქმა ბართოლომეოსმა სჯულის კანონის ფუნდამენტური ნორმები უხეშად დაარღვია და უკრაინის სქიზმატური ეკლესიისთვის ავტოკეფალიის თვითნებურად მინიჭება გადაწყვიტა, ხოლო თვითმარქვია ფილარეტს წლების წინათ სხვის მიერ დადებული ანათემა მოუხსნა, სრულიად მართლმადიდებელი სამყარო შფოთმა და მღელვარებამ მოიცვა.**

საფრთხე იმისა, რომ დასავლეთის პოლიტიკურ ინსტრუმენტად ქცეულმა პატრიარქმა ხვალ-ზეგ სხვა ადგილობრივი ეკლესიების კანონიკური საზღვრებიც დაარღვიოს, დიდია და ამაზე სასულიერო პირების ნაწილი, მათ შორის მაღალი იერარქებიც, საჯაროდ საუბრობენ. ყოველ შემთხვევაში, **ფილარეტის** პრეცედენტმა უკვე შექმნა იმის წინაპირობა, რომ „საჭიროების შემთხვევაში“ ნებისმიერი მართლმადიდებელი ავტოკეფალიური ეკლესია გაყონ და მის წიაღში სქიზმატურ ელემენტებს დამოუკიდებლობა მიანიჭონ, თუმცა „ლიბერალური“ მედია საპირისპიროს ამტკიცებს და დაჟინებით ირწმუნება, რომ მსოფლიო პატრიარქის ქმედებები სჯულის კანონის დარღვევა კი არ არის, პირიქით, მან კანონიერი უფლებების გამოყენებით „ისტორიული სამართლიანობა“ აღადგინა. რაც შეეხება კონფლიქტის განახლების საფრთხეს უკრაინაში, გარკვეული ექსპერტები და სასულიერო პირები უკვე დაუფარავად ამბობენ, რომ **ბართოლომეოსის** მიერ ნაბოძები საეკლესიო დამოუკიდებლობის კვალდაკვალ ქვეყანაში მალე სასტიკი რელიგიური ომი და სისხლისღვრა გაჩაღდება. ამაზე მიანიშნებს ის, რომ ბოლო პერიოდის მოვლენებს სულ უფრო პროვოკაციულად აშუქებს **პოროშენკოს** მიერ მართული პროდასავლური მედია, რომელიც უკრაინის ეკლესიის დამოუკიდებლობის მომხრეებს პატრიოტებად, ხოლო რუსეთის ეკლესიის შემადგენლობაში დარჩენის მომხრეებს ქვეყნის მტრებად და მოღალატეებად აცხადებს...

**რა პოზიცია აქვთ დღეს დანარჩენ მართლმადიდებელ ეკლესიებს მსოფლიო პატრიარქის ქმედებებზე და რა გადაწყვეტილებას მიიღებს საბოლოოდ საქართველოს საპატრიარქო — ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე გვესაუბრება ავჭალის წმინდა ქეთევან წამებულის ტაძრის წინამძღვარი მამა გიორგი (რაზმაძე).**

**— მამაო, საზოგადოების ინტერესი უკრაინის ეკლესიის გარშემო განვითარებული მოვლენების მიმართ კვლავ დიდია, მაგრამ რჩება შთაბეჭდილება, რომ პროცესი, ცოტა არ იყოს, დახურულად მიდის. ვიცით მხოლოდ ის, რომ რუსეთმა კონსტანტინოპოლთან ევქარისტული კავშირი გაწყვიტა, თუმცა მსოფლიო პატრიარქი გადაწყვეტილებას არ ცვლის. მოდი, დეტალურად ავუხსნათ მკითხველს, რა ხდება რეალურად და რა ეტაპზეა დღეს ეს საქმე.**

— პირველ რიგში, მინდა, კიდევ ერთხელ გავუსვა ხაზი იმას, რომ **ეს პროცესები არის ამერიკის სცენარი და მის მიერ ინსპირირებული.** მილიონები იხარჯება იმისთვის, რომ ისედაც ინფორმაციულ ვაკუუმში მყოფ მოსახლეობას თავგზა აურიონ და დეზინფორმაციით მოწამლონ. **ეს პროპაგანდისტული მანქანა, ეკლესიის წიაღში არსებულ პროდასავლურ ძალებთან ერთად, ყველანაირად ცდილობს, ხალხს რეალობა სხვანაირად დაანახვოს.** ანუ, ხდება მოვლენების ისე გაშუქება, რომ თითქოს ტანჯული 40-მილიონიანი უკრაინელი ერი გულმოდგინედ ელოდება ეკლესიის დამოუკიდებლობას და როგორ შეიძლება, მას მხარი არ დავუჭიროთ. თუმცა მათ უმთავრესი რამ ავიწყდებათ — ეკლესიური კანონები და ნორმები მკვეთრად განსხვავდება საერო კანონებისგან.

რაც შეეხება დღევანდელ ვითარებას, 3 ნოემბერს უნდა ჩატარდეს მსოფლიო საპატრიარქოს სინოდის სხდომა და, დიდი ალბათობით, ამ სხდომაზე მოხდება უკრაინის ეკლესიის დამოუკიდებლობის საბოლოოდ გამოცხადება. ამაზე უკვე იყო გარკვეული მინიშნებები და ბუნებრივია, ამ მხრივ ეს სხდომა ძალიან დიდ ინტერესს იწვევს.

**— ლიბერალური პროპაგანდა, რომელიც თქვენ ახსენეთ, საზოგადოებას არწმუნებს, რომ მსოფლიო პატრიარქი კანონიკურ ნორმებს არ არღვევს და მას, როგორც სრულიად მართლმადიდებელი სამყაროს თავს, უფლება აქვს, მსგავსი გადაწყვეტილება მიიღოს.**

— ადრეც ვთქვი და კიდევ გავიმეორებ: დღევანდელი მდგომარეობით, **მსოფლიო პატრიარქი მხოლოდ პირობითადაა თავი და უფროსი სხვა ავტოკეფალიური ეკლესიების მეთაურებს შორის, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ის ყველაფრის გადამწყვეტია. მას არ აქვს უფლება, ერთპიროვნულად, საერთო თანხმობის გარეშე მიიღოს გადაწყვეტილება და მით უმეტეს, ასეთ მნიშვნელოვან საკითხზე. ამიტომ ვამბობ, რომ ყველაფერი, რასაც ის დღეს აკეთებს, უკრაინის ეკლესიის გარშემო განვითარებულ მოვლენებს ვგულისხმობ, არის პაპიზმის დამკვიდრების მცდელობა.** ის, რომ ფსევდოღვთისმეტყველები, მათ შორის **ტიგინაშვილი**, ამბობენ, თითქოს ჩვენ ბართოლომეოსს უსაფუძვლოდ ვამხელთ, ჩემთვის გასაკვირი არაა.

**— თქვენი აზრით, ეს ღვთისმეტყველები მიზანმიმართულად უპირისპირდებიან სამღვდელოების იმ ნაწილს, რომელიც ბართოლომეოსის ქმედებებს აკრიტიკებს?**

— ცხადია. ეს ადამიანები გამოდიან და პირდაპირ ლანძღავენ ჩვენს სამღვდელოებას, რომ ის თითქოს ნაკლებად განსწავლულია საეკლესიო საკითხებში, ვიდრე მსოფლიო პატრიარქი, მაგრამ ამ ხალხს ერთი რამ ავიწყდება: მსოფლიო პატრიარქს განათლება რომში, კერძოდ, ვატიკანში აქვს მიღებული. ჩვენ კარგად ვიცით, როგორ ასწავლიან ვატიკანის სასწავლებლებში საეკლესიო კანონიკას. სამწუხაროდ, ბევრი მინახავს, ჩვენგან რომში სასწავლებლად წასული როგორი დაბრუნდა უკან — ჩვენი ეკლესიის წიაღში... არ მინდა კონკრეტული სახელები და გვარები, გამგები გაიგებს.

რაც შეეხება 3 ნოემბერს დაგეგმილ სინოდის სხდომას, ეს იქნება, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე სამწუხარო ფაქტი, იმიტომ, რომ ამის შემდეგ მართლმადიდებელ სამყაროში დაიწყება გახლეჩა, თუმცა ეს პროცესი უკვე ისედაც, დიდი ხანია, დაწყებულია. სხვათა შორის, არ ვიცი, ეს მართალი თუა, მაგრამ **ამას წინათ ერთ-ერთმა ინტერნეტგამოცემამ გაავრცელა ათონის მთის გადაწყვეტილება, რომელშიც პირდაპირ წერია, რომ 1500 წელიწადი ათონის მთა იყო დამოუკიდებელი, არ ემორჩილებოდა არავის და, თუ ბართოლომეოსის ქმედებების შემდეგ მათ რუსი მომლოცველები შემოაკლდებათ, საბოლოოდ გაემიჯნებიან კონსტანტინოპოლს. ასევე ძალიან მკაცრი იყო იერუსალიმის პატრიარქის შეფასებაც და არა მხოლოდ, იგივე პოზიცია აქვს ბულგარეთს, სერბეთსა და სხვებსაც.**

**— საქართველოს ეკლესიის პოზიციაზე რას იტყვით?**

— ძალიან რთულია დღეს ამაზე საუბარი, იმიტომ, რომ ჯერჯერობით ყველა თავს იკავებს პოზიციის გამოხატვისგან, თუმცა, ადრე თუ გვიან, მოუწევს ჩვენს ეკლესიას კონკრეტული განცხადების გაკეთება და იმედი მაქვს, სწორი გადაწყვეტილება იქნება მიღებული... დანარჩენს დრო გვიჩვენებს. 3 ნოემბერს მიღებულ გადაწყვეტილებაზე ბევრი რამაა დამოკიდებული...

**— მუდმივად საუბრობენ და მსჯელობენ იმაზე, თუ რა საფრთხეებს შეიცავს ან შეიძლება შეიცავდეს ბართოლომეოსის ქმედებები ჩვენთვის. თუკი მან შეძლო ის, რომ 140-მილიონიანი რუსეთის ეკლესია გაეხლიჩა, შეძლებს თუ არა იმავეს საქართველოს შემთხვევაში და არის კი დღეს ჩვენი ეკლესია მზად მსგავსი სცენარისთვის?**



**«ამას წინათ ერთ-ერთმა ინტერნეტგამოცემამ გაავრცელა ათონის მთის გადაწყვეტილება, რომელშიც პირდაპირ წერია, რომ 1500 წელიწადი ათონის მთა იყო დამოუკიდებელი, არ ემორჩილებოდა არავის და, თუ ბართოლომეოსის ქმედებების შემდეგ მათ რუსი მომლოცველები შემოაკლდებათ, საბოლოოდ გაემიჯნებიან კონსტანტინოპოლს. ასევე ძალიან მკაცრი იყო იერუსალიმის პატრიარქის შეფასებაც და არა მხოლოდ — იგივე პოზიცია აქვს ბულგარეთს, სერბეთსა და სხვებსაც»**

— ჯერ კიდევ მაშინ, როცა უკრაინის ეკლესიის დამოუკიდებლობაზე დაიწყო საუბარი, მსოფლიო საპატრიარქოდან ხმა გამოვიდა, რომ ბართოლომეოსს უთქვამს, თუ საქართველო მხარს დაგვიჭერს ავტოკეფალიის მინიჭებაში, თბილისში ჩავალ და განცხადებას გავაკეთებს, რომ, როგორც აფხაზეთი, ისე სამაჩაბლო, არის საქართველო და იქ არავის აქვს უფლება, ეპარქიები გახსნასო. ეს იყო პირდაპირი მინიშნება: თუ მხარს დაგვიჭერთ — ჩვენც საჯაროდ გამოვხატავთ მხარდაჭერას თქვენს ტერიტორიულ მთლიანობაზეო... ახლა ეს შეიძლება ყველამ სხვადასხვანაირად აღიქვას, მაგრამ რეალურად შევხედოთ მოვლენებს: **რას ნიშნავს, თუ ჩვენკენ იქნებით, მხარს დაგიჭერთ? ეს არ არის ვაჭრობა? ეს არ არის მუქარა და შანტაჟი, რომ, თუ ასე არ მოიქცევით, დაისჯებითო?** მე ადრეც ვთქვი და კიდევ გავიმეორებ, რომ ჩვენ ახლა ვართ ორ ცეცხლს შუა: ერთ მხარესაა რუსეთის საპატრიარქო, მეორე მხარეს — კონსტანტინოპოლის. ნებისმიერის მხარეს დადგომა შეიძლება საფრთხეს შეიცავდეს, მაგრამ ჩვენ სჯულის კანონით უნდა ვიმოქმედოთ...

**— თქვენ მიერ ნახსენები ფსევდოღვთისმეტყველების შეფასებით, საქართველომ უკრაინის ეკლესიის დამოუკიდებლობის მხარდაჭერისგან რუსეთის ფაქტორის გამო თავი არ უნდა შეიკავოს. მათი განმარტებით, დღეს საქართველოს ეკლესია მაინც ვერ ახორციელებს თავის იურისდიქციას აფხაზეთში და ის მხოლოდ ფორმალურადაა რუსეთის საპატრიარქოს მიერ ჩვენს ნაწილად აღიარებული.**

— ეს ისეთი აბსურდული „არგუმენტია“, რომ მხოლოდ ლიბერალური იდეოლოგიის ყურმოჭრილ მონას შეიძლება ასეთი რამ მოაფიქრდეს. რა გამოდის: ჩვენი უწმინდესი ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტად რომ იწოდება, ესეც ფორმალობაა?! მაშინ ადგნენ და უთხრან პატრიარქს, რომ ტყუილად აქვს ეს ტიტული. რა უნდა ვთქვა, არც კი ვიცი. ასე მოაზროვნე „თეოლოგებს“ და სასულიერო პირებს საზოგადოებამ ყურადღება არ უნდა მიაქციოს. ილაპარაკონ, რაც უნდათ და რამდენიც უნდათ. ჩვენ კი ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ როგორც აფხაზეთში, ისე სამაჩაბლოში ჩვენი იურისდიქცია, ეკლესიისა და სახელმწიფოსიც, რაც შეიძლება მალე აღდგეს. რაც შეეხება უკრაინას, კიდევ ერთხელ ხაზს გავუსვამ იმ ფაქტს, რომ **ბართოლომეოსის ქმედებებს აღმოსავლეთ უკრაინაში აუცილებლად მოჰყვება ახალი სისხლისღვრა, ოღონდ ეს იქნება რელიგიური ომი და ამ ომს გაცილებით მეტი დამანგრეველი ეფექტი ექნება ქვეყნისთვის. სხვათა შორის, იქ უკვე დაწყებულია გარკვეული მოძრაობები და ერთი სული აქვთ, მონასტრები დაისაკუთრონ.** ახლა, მაგალითად, ხმალამოღებული უყურებენ პოჩაევის მონასტერს და ცდილობენ შიგნით შეღწევას (ასეთივე მცდელობებია კიევ-პეჩორის ლავრაშიც და არა მხოლოდ), ანუ შეტევა, რომელიც, დიდი ხანია, მზადდება, ფაქტობრივად, დაწყებულია **და ძალიან ცუდი პირი უჩანს ამ ყველაფერს.** საერთოდ, რელიგიური ომი უფრო მძიმე გადასატანია ქვეყნისთვის, იმიტომ, რომ, განსხვავებით ჩვეულებრივი სამხედრო დაპირისპირებისგან, ის ერს სულიერადაც ანადგურებს. აი ამიტომ მინდა, გამძლეობა ვუსურვო უკრაინელ ხალხს და განსაკუთრებით ყველა ჭეშმარიტ მორწმუნეს. ღმერთმა ქნას, ამ უმძიმესი განსაცდელის ჟამს კეთილგონიერება ეყოთ და სწორ გზას არ ასცდნენ; ღმერთმა ქნას, ეს ყველაფერი კარგად დასრულდეს და მალე მათ ქვეყანაში მშვიდობამ დაისადგუროს.

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**საქართველო ათასი ჯურისა და მიმდევრობის ადამიანების თავშესაფრად იქცა. და ეს მაშინ, როცა მთავარ მტრად გამოცხადებულ რუსეთში ოფიციალურად აიკრძალა ყველანაირი სექტა, კანონის დონეზე აიკრძალა ლგბტ თემის აქტივისტთა გამოსვლები, აქციები, მსვლელობა თუ აღლუმი; ეს მაშინ, როცა ყოველი 17 მაისის წინ, როცა საქართველო ოჯახის სიწმინდეს აღნიშნავს, ატყდება ხოლმე ერთი ამბავი: არიქა, გვჩაგრავენო და მიდის აქედან საჩივრები ევროპულ თუ ამერიკულ ორგანიზაციებში.**

ანტიქრისტიანიზმი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ერთი კვირის წინათ „თანასწორობის მოძრაობის“ წევრმა ნინო ბოლქვაძემ სოციალურ ქსელში შემდეგი შინაარსის სტატუსი გამოაქვეყნა: „ამ წუთას აზერბაიჯანიდან გამოქცეული ტრანსგენდერი გოგო ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობით იმყოფება სამედიცინო დაწესებულებაში, საიდანაც უშვებენ მისთვის საჭირო მკურნალობის გარეშე, მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ ის საქართველოს მოქალაქე არაა. დიდი ალბათობით, გადამდები ტუბერკულოზია. რა წყალში გადავვარდეთ? საკუთარ თავს შევუქმნათ საფრთხე და სახლში წავიყვანოთ თუ ღამით ქუჩაში დავტოვოთ სრულიად გამოფიტული და ცუდ მდგომარეობაში?!“**

# რომის პაპი ლგბტ თემის პროპაგანდას ეწევა



**პაპი ერთი ხელით სახარებას გვიკითხავს და მეორეთი ლგბტ თემს ეკეკლუცება?! კეკლუცობაა ის, რაც მან გააკეთა, არ ჯდება ეს არც ქრისტიანულ და არც მორალურ ნორმებში. სწორედ ამიტომ აქვთ ახლა ატეხილი ჟივილ-ხივილი ლგბტ თემის წარმომადგენლებს: რომის პაპი მხარს გვიჭერს, კათოლიკური ეკლესია გვემხრობაო. სწორედ ეს იქნება ერთ-ერთი მთავარი ბრალდება მათი მხრიდან, როცა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ლგბტ თემის აქტივობას გააპროტესტებს და დაგმობს: პაპი ჩვენს მხარეს არის და რას გვერჩითო?!**

შეგახსენებთ, ეს ის **ნინო ბოლქვაძეა**, რომელმაც ხმამაღლა და ამაყად გამოაცხადა, ლესბოსელი ვარ, ამის არ მრცხვენიაო და რესპუბლიკურმა პარტიამ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე პარტიულ სიაშიც შეიყვანა, აქაოდა, საკრებულოში მოხვდება და ლგბტ თემის ინტერესებს იქიდან უკეთ დაიცავსო. ბოლქვაძე და რესპუბლიკელები საკრებულოში ვერ მოხვდნენ, მაგრამ ლგბტ თემის ხმალამოღებულ დამცველთა რიგებში კვლავ აქტიურად არიან.

რაც შეეხება კონკრეტულ შემთხვევას, საქართველოს კანონმდებლობით, უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე საყოველთაო დაზღვევა არ ვრცელდება. მკურნალობაზე უარს არავისეუბნებიან, უბრალოდ, ამისთვის თანხაა გადასახდელი, თუმცა, როგორც ქალბატონი ბოლქვაძე აცხადებდა, აზერბაიჯანიდან გამოქცეულ ტრანსს არც ფული ჰქონდა და არც ლტოლვილის სტატუსი. მხოლოდ იმიტომ მოითხოვო კანონის დარღვევა, რომ პაციენტი არატრადიციული ორიენტაციისაა და, შესაძლოა, ამის გამო ხმაური ატყდეს, რბილად რომ ვთქვათ, სიბრიყვეა.

ჩვენთვის საინტერესო სხვა რამ არის: **აზერბაიჯანიდან ტრანსგენდერის გამოქცევა არ არის პირველი შემთხვევა. საქართველოში გამორბიან ირანიდან, ეგვიპტიდან, რუსეთიდან, ჩეჩნეთიდან... მოკლედ, სადაც არ დაედგომებათ და სადაც არ აჩერებენ ამ ხალხს, ყველა ჩვენთან მოიწევს და ლტოლვილის სტატუსს ითხოვს. ჩვენც უშურველად ვიღებთ, თავზე ხელს ვუსვამთ, სოციალურ ქსელებში ვწერთ, თუ რამე დაემართებათ, და გვაქვს ერთი ჟრიამული. მათი შემყურე იზრდებიან მომავალი თაობები და, იმავე აზერბაიჯანის, ეგვიპტისა თუ რუსეთის დარად, იმას კი არ სწავლობენ, რომ ლგბტ თემი ცუდია, არამედ იმას, რომ, თუ გინდა წარმატებული გახდე, სწორედ მათ უნდა ჰგავდე...**

ეს ყველაფერი არ არის. მსოფლიოს ახალგაზრდობის დღისადმი მიძღვნილ შეკრებაზე, რომელიც ვატიკანში გაიმართა, ამერიკიდან ჩამოსულმა მონაწილეებმა რომის პაპს ლგბტ ფერებში შეღებილი ჯვარი აჩუქეს და სთხოვეს, გაეკეთებინა. პაპმაც უყოყმანოდ დაიკიდა გულზე ჯვარი და ამ ფოტომ მსოფლიო მოიარა. რა გამოდის? **კათოლიკური ეკლესიის საჭეთმპყრობელი, პრაქტიკულად, ყველაზე მრავალრიცხოვანი მრევლის მწყემსი ღია პროპაგანდას უწევს ლგბტ თემს?!** სხვას რას უნდა ნიშნავდეს ის, რაც რომის პაპმა გააკეთა?! ცნობილი გამოთქმაა: ნუ ვიქნებით პაპზე მეტი კათოლიკეო, მაგრამ ის, რაც მან ჩაიდინა, უმარტივესად შეიძლება მისი გადადგომის მიზეზი გახდეს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეკლესია კრძალავს გაუკუღმართებულ სექსუალურ კავშირს და ამას ქადაგებს კიდეც. რა გამოვიდა?! **პაპი ერთი ხელით სახარებას გვიკითხავს და მეორეთი ლგბტ თემს ეკეკლუცება?! კეკლუცობაა ის, რაც მან გააკეთა, არ ჯდება ეს არც ქრისტიანულ და არც მორალურ ნორმებში. სწორედ ამიტომ აქვთ ახლა ატეხილი ჟივილ-ხივილი ლგბტ თემის წარმომადგენლებს: რომის პაპი მხარს გვიჭერს, კათოლიკური ეკლესია გვემხრობაო.** სწორედ ეს იქნება ერთ-ერთი მთავარი ბრალდება მათი მხრიდან, როცა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ლგბტ თემის აქტივობას გააპროტესტებს და დაგმობს — პაპი ჩვენს მხარეს არის და რას გვერჩითო?!

საზოგადოდ, ეს არ არის მხოლოდ ერთი და ორი კაცის პრობლემა. ეს სახელმწიფოს პრობლემაა — **საქართველო ათასი ჯურისა და მიმდევრობის ადამიანების თავშესაფრად იქცა. და ეს მაშინ, როცა მთავარ მტრად გამოცხადებულ რუსეთში ოფიციალურად აიკრძალა ყველანაირი სექტა, კანონის დონეზე აიკრძალა ლგბტ თემის აქტივისტთა გამოსვლები, აქციები, მსვლელობა თუ აღლუმი; ეს მაშინ, როცა ყოველი 17 მაისის წინ, როცა საქართველო ოჯახის სიწმინდეს აღნიშნავს, ატყდება ხოლმე ერთი ამბავი: არიქა, გვჩაგრავენო და მიდის აქედან საჩივრები ევროპულ თუ ამერიკულ ორგანიზაციებში.** შემდეგ ისინი ხელისუფლებას თითს უქნევენ: ლგბტ თემს მეტი პატივი ეცითო; დაიძვრება გრანტების ახალი ტალღა და ხელისუფლებაც იძულებულია, გაჩუმდეს. არადა, იმავე თითს უქნევენ აზერბაიჯანსაც, რუსეთსაც, ეგვიპტესაც და ნებისმიერ სხვა ქვეყანასაც, მაგრამ ნურას უკაცრავად — ისინი საკუთარ მომავალზე ზრუნავენ, ყურს არ უგდებენ ამერიკა-ევროპას და, ჩვენი აზრით, სწორადაც იქცევიან. არ უნდა ეგონოს ბავშვს, რომ გაუკუღმართებული სექსუალური ცხოვრება კარგია. არ უნდა სჯეროდეს მოზარდს, რომ წარმატების მიღწევის ერთ-ერთი იოლი გზა სექსუალურ წამებულად თავის წარმოჩენაა.

სხვათა შორის, სულ რაღაც ერთი თვის წინათ ჩეჩნეთის ლიდერ **რამზან კადიროვს** ბრალი წაუყენეს, — აქაოდა, ამბობენ, ჩეჩნეთში გეებს აპატიმრებენ, სპეციალურ, დახურულ ციხეში მიჰყავთ, სადაც ელექტროშოკით აწამებენ და ხშირად კლავენ კიდეცო. იცით, რა უპასუხა კადიროვმა? ტყუილია, რადგან ჩეჩნეთში გეები არ ცხოვრობენ, არ გვყავსო...

ანუ, იმ კაცმა, რომელსაც პუტინის მონას ვეძახით, რომელსაც სამშობლოს გამყიდველს ვეძახით, არ დაუშვა ის, რომ მის ქვეყანაში ერთი არატრადიციული ორიენტაციის მქონე ადამიანი მაინც ცხოვრობდეს. რა თქმა უნდა, გამორიცხულია, ასე იყოს, მაგრამ თავად რესპუბლიკის მეთაურის მიდგომა საკითხისადმი არის პრინციპულად სწორი. როგორ გგონიათ, ამას პატარა ბიჭი როცა გაიგებს, სამომავლოდ იფიქრებს, რომ კაბა ჩაიცვას, ტელევიზიით გამოვიდეს და ამით წარმატებას მიაღწიოს?

არც ისე იშვიათად დაუწამებიათ ცილი ფაშიზმსა და შოვინიზმში, მაგრამ ეს არ არის ფაშიზმი და შოვინიზმი, მეგობრებო. ეს მომავალ თაობაზე ზრუნვაა. იმ თაობაზე, რომელმაც მომავლის საქართველო უნდა შექმნას, რომელმაც ქვეყნის გაერთიანებაზე უნდა იზრუნოს (ჩვენ აშკარად ვერ ვახერხებთ ამას) და **როგორ გგონიათ, კაბიანი ბიჭები და ტრანსგენდერი ქალები მოახერხებენ ამას? წარბებამოპუტული და ჭიპგახვრეტილი ვაჟკაცი გინახავთ?!** მე არ მინახავს და ეჭვი მაქვს, ვერც ვერასდროს ვნახავ. სწორედ ამიტომ ვამბობთ, რომ სახელმწიფო მთელი სიმკაცრით უნდა ჩაერიოს ამ პროცესებში და საქართველოში გამოქცეულ ადამიანებს, რომლებსაც თავიანთ ქვეყნებში სექსუალური ორიენტაციის გამო დევნიან, თავშესაფარი არ უნდა მისცენ. აგერ არის, ბატონო, ტოლერანტი ევროპა და უფრო ტოლერანტი ამერიკა, იქ გაიქცნენ, მაგრამ არა — ამერიკის პრეზიდენტმა გასაგებად თქვა: **არ მესმის იმ კაცების, რომლებიც ქალის ფორმებზე გამოცოცხლებას არ გრძნობენ. დონალდ ტრამპმა პირდაპირ მიანიშნა, ლგბტ თემის არ მესმისო, მაგრამ ეს მაშინ, როცა საქმე მის ქვეყანას და ამერიკის მომავალს ეხება. აი, როცა საქმე ვასალ ქვეყანას, ანუ საქართველოს ეხება, მაშინ შტატებიდან თითს გვიქნევენ: როგორ ბედავთ და სექსუალური უმცირესობების წარმომადგენელთ ჩაგრავთო.** არავის არ ვჩაგრავთ, ბატონებო! უბრალოდ, არ გვინდა, რომ მათ ჩვენს ქვეყანაში იპოვონ ნავსაყუდელი. ევროპაში ამ ტიპის ადამიანებისთვის მართლა უფრო მეტი გასაქანია (გამოსაქანიც) და უკეთესს ვთავაზობთ. იმედია, ამ უკეთესს შესთავაზებს სახელმწიფოც და ლტოლვილის სტატუსზე უარს ეტყვის არა მხოლოდ მათ, არამედ ბევრ გადამთიელს, რომლებიც, არავინ იცის, რეალურად რისთვის ჩამოდიან და რისთვის სახლდებიან საქართველოში.

რაც შეეხება იმას, რომ თურმე აზერბაიჯანიდან გამოქცეულ ტრანსგენდერს მოქალაქეობის არქონის გამო უფასოდ არ მოემსახურნენ საქართველოში და ამის გამო განგაშის ზარი უნდა შემოვკრათ, სისულელეა. ტუბერკულოზი კი არა, სიმსივნით დაავადებულ ქართველებს, რომლებიც თურქეთის, ისრაელისა და ევროპის სხვადასხვა ქვეყნის კლინიკებს არიან შესეულები, ერთი ცენტიც რომ დააკლდეთ, ხელს არ ჰკიდებენ, ამიტომ ეს ადამიანები სიცოცხლის შესანარჩუნებლად ყველაფერს აკეთებენ, სახლებსაც კი ყიდიან და თქვენ კიდევ ტრანსგენდერს მისტირით?! კეთილი ინებოს, მანაც და სხვამაც, ან სტატუსი მიიღოს, ან ფული გადაიხადოს მკურნალობაში. ბოლოს და ბოლოს, საქართველო სახელმწიფოა თუ საქველმოქმედო ფონდი?! ყველას რატომ უნდა ვეფეროთ და ამ ყველამ კი თავზე რატომ უნდა გვიქნას?!

ახლა არ თქვათ, არ გვიშვრებიანო!

**ბესო ბარბაქაძე**

მოკლედ

## დონალდ ტრამპი აპირებს, გააუქმოს კანონი, რომლითაც უცხოელთა აშშ-ში დაბადებული შვილები ამერიკის მოქალაქეები ხდებიან



**აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი აპირებს, გააუქმოს კანონი, რომლის მიხედვით უცხოელებისა და არალეგალი მიგრანტების შვილები, რომლებიც აშშ-ის ტერიტორიაზე იბადებიან, ავტომატურად აშშ-ის მოქალაქეები ხდებიან.**

„მე სულ მეუბნებოდნენ, რომ ამისთვის საჭიროა კონსტიტუციის შეცვლა. ეს არ არის საჭირო. საკმარისია მხოლოდ პრეზიდენტის ბრძანებაც. ჩვენ ვართ მსოფლიოში ერთადერთი ქვეყანა, სადაც შეიძლება ადამიანი ჩავიდეს, ბავშვი გააჩინოს და შემდეგ ეს ბავშვი ავტომატურად იღებს მოქალაქეობას და სარგებლობს ყველა უპირატესობით. ეს, უბრალოდ, სასაცილოა და უნდა დასრულდეს“, — აღნიშნა ტრამპმა.

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**1913 წელთან შედარებით მშრომელთა რეალური მოგება 4-ჯერ გაიზარდა. სსრკ-ს წარმატებებმა კაპიტალისტური ქვეყნები სერიოზულად დააფრთხო, პირველ რიგში კი — ამერიკა. 1953 წელს ჟურნალ „ნეიშენელ ბიზნესის“ სექტემბრის ნომერში, ჰარისის სტატიაში „რუსები გვეწევიან...“ აღნიშნული იყო რომ სსრკ ეკონომიკური სიძლიერის ზრდის მიხედვით ნებისმიერ ქვეყანას უსწრებს. იმ პერიოდისთვის სსრკ აშშ-ს 2-3-ჯერ უსწრებდა. ამერიკის პრეზიდენტობის კანდიდატი ედლაი სტივენსონი მდგომარეობას ასე აფასებდა: თუ სტალინის რუსეთში წარმოების ტემპი შენარჩუნდებოდა, მაშინ 1970 წლისთვის რუსული ნაწარმის რაოდენობა ამერიკულს გადააჭარბებდა. და, თუ ასე მოხდებოდა, კაპიტალისტურ ქვეყნები დიდი საფრთხის წინაშე დადგებოდნენ.**

# სტალინის პორტრეტისთვის

## სტალინის რკინის მინისტრი, რომელმაც ხრუშჩოვს სილა გააწნა

დასასრული. დასაწყისი იხ. №34-38 (458-462)

**„ომი ქვეყანაში უამრავ ზარალს იწვევს. ზოგი რაღაცის აღდგენა შედარებით სწრაფად ხდება, მაგალითად, დანგრეული გზის ან სახლის. დანარჩენის აღდგენა კი გაცილებით ნელი ტემპით მიმდინარეობს და ამისთვის ხანგრძლივი პერიოდია საჭირო. არსებობს ისეთი ზარალიც, რომელსაც ველარ აღადგენ, მაგალითად, ადამიანის სიცოცხლე და ხელოვნების განადგურებული ნიმუშები. საქონლისა და ფულის მიმართ გულგრილი დამოკიდებულებაც გამოუსწორებელი ზარალის ტოლფასია... რა იყო ჩვენთვის ყველაზე სანერვიულო ფინანსური კუთხით? პირველ რიგში, მოსახლეობის მიერ ომის პერიოდში შენახული ანაბრები მაღალ ფასში იყო აღრიცხული; მეორე — ფულის რაოდენობის ზრდამ რუბლის გაუფასურება გამოიწვია. უკვე ომის წლებში დავიწყეთ ომისშემდგომი ფულადი რეფორმისთვის მზადება.**

მახსოვს, 1943 წლის ერთ დღეს სტალინმა დილის ხუთ საათზე დამირეკა, გვიანი ზარისთვის მომიბოდიშა და მითხრა, საქმე მნიშვნელოვან საკითხს ეხებაო. აინტერესებდა ფინანსთა სამინისტრო ფულის რეფორმაზე რა აზრის იყო.

ვუპასუხე, რომ ამაზე მეც, დიდი ხანია, ვფიქრობდი, ოღონდ ჩემ აზრს არავის ვუზიარებდი.

— ვერც მე გამიზიარებთ?

— თქვენ, რა თქმა უნდა, გაგიზიარებთ, ამხანაგო სტალინ!

— მაშინ გისმენთ.

სატელეფონო საუბარმა 40 წუთს გასტანა. მე მას ორი მთავარი მოსაზრება გავუმხილე: რეფორმის შედეგად შექმნილი მძიმე ვითარების შესახებ, რომელიც ფულის გადაცვლისას შეიქმნებოდა და ბრუნვაში ახალი ფულის ჩაშვების თაობაზე. სტალინმა მომისმინა, შემდეგ თავის მოსაზრებები გამიზიარა, რომლებიც სოციალურ და სამეურნეო საფუძვლებზე დაყრდნობით განსახორციელებელ მომავალ ღონისძიებებს შეეხებოდა. ჩემთვის გასაგები შეიქნა, რომ იგი რეფორმის შესახებ პირველად არ დაფიქრებულა. საუბრის ბოლოს მითხრა, მეორე დღეს კრემლში მისულიყავი. ამჯერად ხანგრძლივად ვისაუბრეთ. თითოეულ წინადადებას დაკვირვებით განვიხილავდით.

სტალინმა მომცა საერთო მიმართულება, რომლითაც უნდა მეხელმძღვანელა, თუმცა თუკი ფინანსური სისტემის თავისებურება მოითხოვდა, გარკვეული დეტალებიდან გადახვევაც შეიძლებოდა, მაგრამ ძირითადი პრინციპები ხელუხლებელი უნდა დარჩენილიყო. ისინი შემდეგში მდგომარეობდა: სსრკ-ს ამჟამინდელი ფინანსური ბაზა ომამდელზე მტკიცე უნდა ყოფილიყო. საერთო დანახარჯები და ბიუჯეტის ყოველწლიური ზრდა ფინანსური ორგანიზაციების სისტემებისგან ცვლილებებით გამოწვეულ პირობებზე მორგებას მოითხოვდა. ეროვნული მეურნეობის აღდგენის მოსახლეობისგან — დამატებით მსხვერპლს, მაგრამ, ამასთანავე, ადამიანებს უნდა სცოდნოდათ, რომ ეს მათი მხრიდან ბოლო მსხვერპლი იქნებოდა.

სტალინმა სამჯერ გაგვაფრთხილა, რომ რეფორმის მომზადების პროცესი საიდუმლოდ შეგვენახა. საერთოდ, ერთხელ ნათქვამს იშვიათად იმეორებდა. აქედან ჩანს, რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა იგი ამ საიდუმლოს შენახვას. მართლაც, ინფორმაციის მცირე გაჟონვაც კი ისეთ სტიქიას გამოიწვევდა, რომ ურთულეს პრობლემებს წარმოქმნიდა. რეფორმის მომზადების საფეხურზე, სამინისტროს სხვა თანამშრომლებს შორის ეს საიდუმლო მხოლოდ მე ვიცოდი. რეფორმაზე მუშაობის მსვლელობის შედეგებს სტალინს რეგულარულად ვაწვდიდი.

დაახლოებით ერთი წლის შემდეგ რეფორმის მომზადების მეორე საფეხურზე გადავედით და სამი სპეციალისტის დახმარების ნება დამრთო. კიდევ ერთი წლის შემდეგ, როდესაც სტალინი შვებულებაში გავიდა, შემატყობინა, რომ მომავალი რეფორმის შესახებ ჩემი მოხსენების ნახვა სურდა. მას 12-გვერდიანი ნაბეჭდი მოხსენება გავუგზავნე. ეს უკვე რეფორმის მომზადების მესამე საფეხური იყო.

**მასალის გაცნობის შემდეგ, რამდენიმე შესწორებასთან ერთად, მთავრობის მეთაურმა 100 გვერდამდე განვრცობა მომთხოვა. სხვა საქმეები გადავდე და ამ ურთულესი დავალების შესრულებას შევუდექი. ვინაიდან ამ საკითხზე ადრეც ვფიქრობდი, ახალ ტექსტში განსაკუთრებული ადგილი ინდუსტრიული მრეწველობის ფინანსების საკითხის მოგვარებას დავუთმე. ამ მიზნით კი, სხვა დანარჩენ ზომებთან ერთად, რეფორმა სრულყოფილი სახის მისაღებად ისეთი დამატებითი ელემენტების ჩასმას მოითხოვდა, როგორებიც იყო: მოქალაქეთა შემოსავლების შემცირება და, რომ არ დაზარალებულიყვნენ, ფასები სხვა, სამომხმარებლო საქონელსა და ტრანსპორტზეც უნდა შემცირებულიყო.**

ეს საკუთარი ინიციატივით გავაკეთე და შესაბამისი პასუხიც მივიღე. როდესაც სტალინმა დამირეკა, მისმა გაბრაზებულმა ხმამ გამაკვირვა. მკითხა, რატომ ჩავამატე ტექსტში საკითხი, რომელიც ადრე განხილული არ ყოფილა და ფულის რეფორმასთან პირდაპირი კავშირი არ ჰქონდა.

ურთულეს ვითარებაში აღმოვჩნდი. ჩემ გარშემო ისეთი ადამიანები ისხდნენ, რომლებმაც ამ რეფორმის შესახებ არაფერი იცოდნენ. არადა, საქმიდან გამომდინარე, რამეს თქმის უფლება არ მქონდა. სტალინი მეკითხებოდა, მე კი იძულებული ვიყავი, პასუხი ზოგადი რეპლიკებითა და სიტყვებით გამეცა. ბოლოს აღნიშნა, რომ მსგავსი რეფერატის დაბეჭდვა მიზანშეუწონლად მიაჩნდა.



სტალინმა კვლავ გამომიძახა. ჩვენ შორის ხანგრძლივი საუბარი გაიმართა. ჩემ მიერ დამატებული განყოფილების შესახებ უარყოფითი არაფერი უთქვამს. მთელი ეს დრო რეფორმის საორგანიზაციო-მოსამზადებელი საკითხების განხილვით ვიყავით დაკავებულები.

სტალინმა ბოლოს ჩემ მიერ ჩამატებული განყოფილებაც ახსენა და მითხრა, ეს პრობლემა მოგვიანებით განგვეხილა. უფლება მომცა, ხალხი დამემატებინა მხოლოდ იმ პირობით, რომ მათ კონკრეტული დავალებების მეტი არაფერი ეცოდინებოდათ. მე შესაბამისი დადგენილებისა და საბჭოთა მოქალაქეებისადმი მიმართვის მომზადება დამევალა:

**1.** 1947 წლის 16 დეკემბრის ფულის რეფორმასთან ერთად გაუქმდეს საბარათე სისტემის საშუალებით სავაჭრო და საწარმო საქონლით მომარაგება. შეიცვალოს მაღალი ფასები კომერციულ ვაჭრობაში და დაწესდეს სახელმწიფო ფასები;

**2.** სახელმწიფო საცალო და საბითუმო ფასების დადგენა უნდა გამომდინარეობდეს შემდეგიდან:

**ა)** პურსა და ფქვილზე ფასები საშუალოდ 12 პროცენტით შემცირდეს;

**ბ)** ბურღულეულსა და მაკარონზე ფასები არსებულ ფასებთან შედარებით საშუალოდ 10 პროცენტით შემცირდეს;

**გ)** ხორცზე, თევზზე, საკონდიტრო ნაწარმსა და ბოსტნეულზე მოქმედი ფასების დონეზე შენარჩუნდეს;

**დ)** რძესა და რძის პროდუქტებზე დადგინდეს ახალი ფასები;




**ე)** ქსოვილსა და ფეხსაცმელზე დაწესდეს ახალი, კომერციულ ფასებზე დაბალი ფასები;

**3**. სსრკ-ის ვაჭრობის სამინისტროს დაევალოს ახალი ფასების შესახებ დადგენილების გავრცელება სახელმწიფოს ყველა ქალაქსა თუ სოფელში;

**4.** დადგენილი ფასები არ ვრცელდება საკოლმეურნეო ბაზრებსა და კერძო პირთა კოოპერატიულ სავაჭრო ქსელებში.

**1947 წლის შემდეგ რუბლი გამყარდა, დაიწყო ფასების გეგმაზომიერი და ყოველწლიური შემცირება თითქმის ყველა სახეობის საქონელზე. სსრკ-ის ბაზარი კი სულ უფრო ივსებოდა, წარმოება და სოფლის მეურნეობა წინ სრული სვლით მიიწევდა. სწორედ ამიტომ 10 რუბლი მყიდველუნარიანობის მიხედით ამერიკულ დოლარს 1,58-ჯერ აჭარბებდა.**

**1913 წელთან შედარებით მშრომელთა რეალური მოგება 4-ჯერ გაიზარდა. სსრკ-ის წარმატებებმა კაპიტალისტური ქვეყნები სერიოზულად დააფრთხო, პირველ რიგში კი — ამერიკა. 1953 წელს ჟურნალ „ნეიშენელ ბიზნესის“ სექტემბრის ნომერში, ჰარისის სტატიაში „რუსები გვეწევიან...“ აღნიშნული იყო, რომ სსრკ ეკონომიკური სიძლიერის ზრდის მიხედვით ნებისმიერ ქვეყანას უსწრებს. იმ პერიოდისთვის სსრკ აშშ-ს 2-3-ჯერ უსწრებდა.** ამერიკის პრეზიდენტობის კანდიდატი **ედლაი სტივენსონი** მდგომარეობას ასე აფასებდა: **თუ სტალინის რუსეთში წარმოების ტემპი შენარჩუნდებოდა, მაშინ 1970 წლისთვის რუსული ნაწარმის რაოდენობა ამერიკულს გადააჭარბებდა. და, თუ ასე მოხდებოდა, კაპიტალისტური ქვეყნები დიდი საფრთხის წინაშე დადგებოდნენ.**

მაგრამ კაპიტალისტურ სამყაროს გაუმართლა: სტალინი გარდაიცვალა...

1950 წლის 1 მარტს მსოფლიოში ეკონომიკური ვითარება ასეთი იყო: დასავლეთის ქვეყნებში ვალუტა გაუფასურდა, ამან ევროპული ვალუტის დევალვაცია გამოიწვია. რაც შეეხება ამერიკას, ფასების გამუდმებული ზრდის ფონზე გამოწვეულმა ინფლაციამ, დოლარი მყიდველუნარიანობის დაცემამდე მიიყვანა.

ზემოხსენებული ვითარების გამო რუსული რუბლის ფასი ოფიციალურზე მეტად გაიზარდა.

აქედან გამომდინარე, სსრკ-ის მინისტრთა საბჭომ დაადგინა:

**1**. 1950 წლის 1 მარტიდან შეწყდეს რუსული რუბლის კურსის უცხოური ვალუტის მიმართ განსაზღვრა;

**2**. რუსული რუბლის ფასი 0,222168 გრამ სუფთა ოქროს ფასს გაუთანაბრდეს;

**3.** 1950 წლის 1 მარტიდან 1 გრამი სუფთა ოქროს ფასი 4 რუბლი და 45 კაპიკი დადგინდეს;

**4**. ერთი დოლარის ფასი არსებული 5 რუბლისა და 30 კაპიკის ნაცვლად 4 რუბლით განისაზღვროს.

უცხოური ვალუტის ღირებულების ცვლილების შემთხვევაში სსრკ-ის სახელმწიფო ბანკი რუბლის კურსს ამ დებულებების გათვალისწინებით დაადგენს.

როგორც ვხედავთ, ამ ნაბიჯით სტალინმა არამხოლოდ დოლარის გამოყენებაზე თქვა უარი, მან დოლარის მიხედვით საქონლის შეფასებაც შეწყვიტა.

მოდი, დავსვათ კითხვა: **საერთაშორისო ვაჭრობაში რატომ არ ვიყენებთ ოქროს? ის ხომ ყველაზე რეალურ ფასეულობას წარმოადგენს? ჩვენ კი რომელიღაც ვირტუალურ ფულს ვიყენებთ, რომელიც აშშ-შიც არ არის უზრუნველყოფილი? როდესაც საზღვარგარეთ ჩვენი შვილების კუთვნილ ნავთობს ვგზავნით და მის სანაცვლოდ „მერსედესს“ ვყიდულობთ, რატომ ვამბობთ, რომ მასში 100 000 დოლარი გადავიხადეთ** ▶

**„ისაკოვს პირდაპირი ტელეფონით დავუკავშირდი და ვთხოვე, ფრონტზე 25 ტანკის გაგზავნა, მან უარი განმიცხადა,— ტანკები არ არისო. მეორედაც მომიწია ისაკოვის შეწუხება, მაგრამ უარით გამისტუმრა. მტერი მოსკოვს მოადგა, რამდენიმე გერმანაულმა თვითმფრინავმა დედაქალაქშიც შემოაღწია ერთი ჭურვი დიდ თეატრსაც დაეცა. პოსკრებიშევმა მომახსენა,— ტელეფონთან ისაკოვიაო. რა თქმა უნდა, ვუპასუხე. ყურმილში მესმის ისაკოვის ხმა: — ამხანაგო სტალინ, ორასი ტანკი ტ-34 მზად არის და გადმოგეცათ განკარგულებაში. მანამდე და შემდეგაც მე ასეთი დიდი სიხარული არ განმიცდია. ამხანაგო ზვერევ, ისაკოვი მე, მთავარსარდალს, ტანკს არ მაძლევდა და ვინმეს ოქროს გაატანს? უყოყმანოდ დანიშნეთ ოქროს ფონდში.“**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**და არა 3000 უნცია ოქრო?** დღეს ამ კითხვებზე გონივრული პასუხი თითქმის არ არსებობს.

თუმცა პასუხი ერთია: **თუ მსოფლიო დოლარზე უარს იტყვის და ოქროს მოხმარებაზე გადავა, მსოფლიოს ყველა კუთხიდან აშშ-ში დოლარის კუპიურების შედინება დაიწყება მათი რეალურ საქონელზე გადაცვლის მოთხოვნით. იქ კი საჭირო რაოდენობის ნედლეული არ არის. ჯერ კიდევ ჰენრი ფორდი ამბობდა, რომ ამერიკის ფინანსური სისტემა უკვე „მოძველებული“ იყო. ის კი ვერ წარმოედგინა, რომ ამერიკა ამ სისტემას კიდევ უფრო მეტ მარაზმამდე დაიყვანდა. და წარმოგიდგენიათ, რა იოლია დღეს ამერიკის მისივე დოლარით განადგურება.**

ჩნდება კითხვა: მაშინ რატომ არ ანადგურებენ, რატომ არ აბრუნებენ დოლარს ამერიკაში? იმიტომ, რომ დღეს მსოფლიოს დიდი ქვეყნების სათავეებში აღარც სტალინი მოიძებნება და აღარც **შარლ დე გოლი** — საფრანგეთის პრეზიდენტმა დე გოლმა საფრანგეთში არსებული დოლარის კუპიურები თავის დროზე აშშ-ში გაიტანა და აიძულა ის, ოქროში გადაეცვალა. ამის შემდეგ ამერიკამ განაცხადა, რომ ოქროს დოლარში აღარ ცვლიდა. გამოდის, რომ დღეს დოლარი სრულიად არაუზრუნველყოფილი ვალუტაა.

დღეს მმართველი რეჟიმები ძარცვავენ ქვეყნებსა და მოპარულ ფულს საზღვარგარეთ დოლარის სახით მალავენ. ამ შემთხვევით სხვა ქვეყნების მოღვაწე პირებიც სარგებლობენ და მათთვის დოლარის გაუფასურება ნაქურდალის გაუფასურების ტოლფასია. **ისიც შეიძლებოდა, რომ ამ ნაქურდალი დოლარით ოქრო შეეძინათ და მშვიდად ეცხოვრათ, მაგრამ აშშ საერთაშორისო ჟანდარმის როლსაც ასრულებს. ამერიკელები მოპარულს ნებისმიერ ბანკში იპოვიან და უკან მოითხოვენ, როგორც ირანის შაჰს მოსთხოვეს. ისინი ხომ დოლარის კურსს პირდაპირ დაბომბვით და არა რომელიმე ეკონომიკური მეთოდით ინარჩუნებენ. მსოფლიო ქურდებმა კი ეს მშვენივრად იციან და დოლარს უფრთხილდებიან“.**

წინა წერილში საზოგადოდ აღვნიშნე სტალინის კოსმოსური ხედვის ზოგიერთი თვალსაჩინო მაგალითი, მაგრამ შეიგნო მუსიკა, წინასწარ განსაზღვრო მხატვრული ფილმის თუ რომანის საბოლოო შედეგი, ამას, ალბათ, სხვა ბუნებრივ მონაცემებთან ერთად, კვალიფიკაციაც სჭირდება. ვერავითარი ხედვა ვერ შეცვლის შედეგს, რომელიც არაკვალიფიციურმა ხელმძღვანელმა შეიძლება სულელური ნაბიჯით გადადგას.

არსენ ზვერევზე გამოთქმული შეფასებები: „რკინის კომისარი“, „ფინანსთა ოქროს მინისტრი“, „შეუდარებელი ფინანსისტი“ და სხვ. რა თქმა უნდა, მიესადაგება მის პიროვნებას და მის განვლილ შემოქმედებით მუშაობას, მაგრამ მხოლოდ განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში — 1938-დან 1953 წლამდე...

**სერგო რიგვავა** საქართველოს კომუნისტთა სტალინური კოჰორტის ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელი გახლდათ. მასზე ბევრი რამ შეიძლება დაიწეროს, მაგრამ — მომავალში, ახლა კი თემას რომ არ გადავუხვიო, მოგიყვებით ამბავს, რომელიც ბატონმა სერგომ მიამბო:

„ბიჭვინთაში მეოთხე სამმართველოს სანატორიუმში ვისვენებდი, ბაღში სასეირნოდ ცალფეხა კაცი ჩამოდიოდა სააგარაკო ხალათით. ერთხელაც ბაღში იმ ძელსკამზე ჩამოჯდა, რომელზეც მე ვიჯექი, გამომკითხა, ვინ ვიყავი და სად ვმუშაობდი. ძალიან გაიხარა, რომ ქართველი ვიყავი და ქართველების ქება სტალინით დაიწყო. სხვა ბევრ მოგონებასთან ერთად ერთი ასეთი ამბავიც მომიყვა:

— ერთხელ არსენი ზვერევმა თავისთან მიხმო, მითხრა: სტალინის დავალებით გთხოვეთ მობრძანებაო. თუ თქვენი თანხმობა იქნება, სტალინს სურს, ოქროს ფონდის უფროსად დაგნიშნოთ, ოქროს რაოდენობას კი შემდეგ მოგახსენებთო.

— არსენ გრიგორიევიჩ, მე არც ფინანსისტი ვარ და არც ბუღალტერი, მე, ყოფილი შტაბისტი, როგორ შემიძლია ვიყო ამ ყველაზე საპასუხისმგებლო სამსახურის უფროსი?!

— ამ მიზეზით მეც მქონდა სტალინთან საუბარი, მაგრამ ბელადმა ასე მიპასუხა:

— ომის პირველ დღეებში ამხანაგი ისაკოვი შტაბში სატანკო რეზერვებს ხელმძღვანელობდა, ფრონტის ყველა სარდალი საბრძოლო ტექნიკას ითხოვდა, რეზერვები ნელ-ნელა იკლებდა. ერთ ფრონტზე სარდალმა ვერ დაითანხმა ისაკოვი ტანკების გამოყოფაზე, რისთვისაც მე მომმართა. ისაკოვს პირდაპირი ტელეფონით დავუკავშირდი და ვთხოვე, ფრონტზე 25 ტანკის გაგზავნა, მან უარი განმიცხადა: ტანკები არ არისო. მეორედაც მომიწია ისაკოვის შეწუხება, მაგრამ უარით გამისტუმრა. მტერი მოსკოვს მოადგა, რამდენიმე გერმანულმა თვითმფრინავმა დედაქალაქშიც შემოაღწია, ერთი ჭურვი დიდ თეატრსაც დაეცა. **პოსკრებიშევმა** მომახსენა: ტელეფონთან ისაკოვიაო. რა თქმა უნდა, ვუპასუხე. ყურმილში მესმის ისაკოვის ხმა: — ამხანაგო სტალინ, ორასი ტანკი ტ-34 მზად არის და გადმოგეცათ განკარგულებაში. მანამდე და შემდეგაც მე ასეთი დიდი სიხარული არ განმიცდია. ამხანაგო ზვერევ, ისაკოვი მე, მთავარსარდალს, ტანკს არ მაძლევდა და ვინმეს ოქროს გაატანს? უყოყმანოდ დანიშნეთ ოქროს ფონდში, — მიბრძანა მან. თუ ასე იყო, ამხანაგო ისაკოვ, სტალინს ყველა უფლება აქვს, მოგანდოს ეს საქმე.

— ეს ყველაფერი სიმართლეა. რა გაეწყობოდა, მეც თანხმობა განვაცხადე.

— ოქროს ფონდი 10 000 ტონას შეადგენს, — მითხრა მინისტრმა. ეს იყო 1947 წელს.

„განძთსაცავში რომ მივედი, — იგონებდა ისაკოვი, — ერთი ოქროს ზოდის დასადები ადგილიც არ იყო. გადავწყვიტე, სასწრაფოდ განძთსაცავის აშენების საკითხი დამეყენებინა. საკითხი სტალინმა მყისვე გადაწყვიტა. საცავი 25 000 ტონაზე აშენდა, რომელიც სტალინის სიცოცხლეშივე შეივსო. სტალინის გარდაცვალებისთანავე მე საცავიდან წავედი, ხოლო ხუთ წელიწადში სად წავიდა 25 000 ტონა ოქრო, ჩემთვის გაუგებარია“.

ბატონმა სერგომ ეს შემთხვევა უფრო დაწვრილებით მომიყვა, მაგრამ აქ ამის დრო არ მაქვს და თხრობას შევწყვეტ.

სტალინის გარდაცვალების შემდეგ არსენ ზვერევს კიდევ 6 წელს მოუწია ფინანსთა მინისტრობა და სწორედ ამ ექვსმა წელმა შექმნა საბჭოთა კავშირის დაშლისა და განადგურების წინაპირობა.

„რკინის მინისტრი“ ჯერ 1956 წელს აუმხედრდა **ნიკიტა ხრუშჩოვს**, როდესაც ნიკიტამ სტალინის პიროვნების კულტის საკითხი წამოსწია, ხოლო 1960 წლისთვის შემოსაღებ ფულის რეფორმას, რომელიც ქვეყნის ეკონომიკურ კატასტროფას გამოიწვევდა. „ხარის“ ნერვების მქონე ზვერევმა ვეღარ გაუძლო, 1959 წლის ერთ მშვენიერ დღეს გულის ჯიბეში პატარა პისტოლეტი ჩაიდო და სამსახურში წავიდა. კრემლის ტელეფონმაც არ დააგვიანა და არსენ ზვერევი კრემლში იხმო ხრუშჩოვმა. კრემლის კომენდატურაში ყველა შემსვლელ პირს იარაღი უნდა ჩაებარებინა. ზვერევი პირდაპირ გაემართა, მაგრამ კომენდატურის წარმომადგენლებმა შეაჩერეს, — იარაღი, როგორც წესი, მისგანაც ჩაიბარეს.

**ხრუშჩოვის კაბინეტში შესული ზვერევი კვლავ რეფორმის საკითხზე ჩაება მწვავე კამათში. „რკინის მინისტრი“ მართლაც რკინის აღმოჩნდა. ხრუშჩოვი, რომელიც გაბრაზებული დორბლებს ყრიდა, დუჟმორეული ხან ერთ კედელს მიაწყდებოდა და ხან — მეორეს, თან უსაშველოდ იგინებოდა. ზვერევი დამბლადაცემულივით იჯდა და ნანობდა, რომ ჩანაფიქრს ვერ შეასრულებდა. ბოლოს, თითქოს გამოფხიზლდაო, წამოდგა, ხრუშჩოვს, რომელიც ოთახში დააბოტებდა, მიუახლოვდა და სახეში სილა გააწნა.** თითქოს ყველაფერს ფარდა ჩამოეფარა. ზვერევი ნელ-ნელა გამოვიდა გენერალური მდივნის კაბინეტიდან და მანქანისკენ გაეშურა, მძღოლმა კი პირდაპირ კრემლის საავადმყოფოში მიიყვანა. ექიმებმა სასწრაფოდ გასინჯეს და მძიმე ინსულტი დაუდგინეს. ასე დასრულდა „რკინის მინისტრის“ კარიერა...

საბჭოთა ოჯახი — ეს გაუთვიცნობიერებელი ცნება მხოლოდ მას შემდეგ შეიქნა ცნობიერი, როცა ოჯახს მამა მოუკვდა. სტალინი იყო დიდი ოჯახის მამა, სამართლიანი და მომთხოვნი, ყველაფრის მცოდნე და გამგებელი, ზრდიდა შვილებს, ანდობდა საქმეს და ამუშავებდა ოჯახის უზრუნველყოფისთვის. მჭედლის შვილი, ბამბის მპენტავი, ხარატი 38 წლისა ხდება დედამიწის ერთი მეექვსედის ფინანსების განმკარგულებელი. ის მამის გვერდით დგას და არჩენს მამასთან ერთად 300-მილიონიან ოჯახს, მოუკვდა მამა და ოჯახიც დაიღუპა. მასთან ერთად დაიღუპა ფინანსთა „რკინის მინისტრი“ არსენი ზვერევი. ნათელი მის ხსოვნას!






**ხრუშჩოვის კაბინეტში შესული ზვერევი კვლავ რეფორმის საკითხზე ჩაება მწვავე კამათში. «რკინის მინისტრი» მართლაც რკინის აღმოჩნდა. ხრუშჩოვი, რომელიც გაბრაზებული დორბლებს ყრიდა, დუჟმორეული ხან ერთ კედელს მიაწყდებოდა და ხან — მეორეს, თან უსაშველოდ იგინებოდა. ზვერევი დამბლადაცემულივით იჯდა და ნანობდა, რომ ჩანაფიქრს ვერ შეასრულებდა. ბოლოს, თითქოს გამოფხიზლდაო, წამოდგა, ხრუშჩოვს, რომელიც ოთახში დააბოტებდა, მიუახლოვდა და სახეში სილა გააწნა**




**1947 წლის შემდეგ რუბლი გამყარდა, დაიწყო ფასების გეგმაზომიერი და ყოველწლიური შემცირება თითქმის ყველა სახეობის საქონელზე. სსრკ-ის ბაზარი კი სულ უფრო ივსებოდა, წარმოება და სოფლის მეურნეობა წინ სრული სვლით მიიწევდა. სწორედ ამიტომ 10 რუბლი მყიდველუნარიანობის მიხედვით ამერიკულ დოლარს 1,58-ჯერ აჭარბებდა**

პანოპტიკუმი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბოლტონმა განაცხადა, რომ ტრამპმა პუტინი ვაშინგტონშიც მიიწვია და დაასახელა თემა, რომელზეც აშშ-ს რუსეთთან „სტრატეგიული მოლაპარაკების“ გამართვა სურს — ეს „ჩინეთის აგრესიულობაა“. ბოლტონის აზრით, ჩინეთი რუსეთისთვის საფრთხეს წარმოადგენს, რადგან მის უმნიშვნელოვანეს რეგიონებს ჩინური რაკეტები „სწვდება“. მოსკოვში ამერიკელი სტუმრის ეს შეშფოთება, მოკლედ რომ ვთქვათ, არ გაიზიარეს. 26 ოქტომბრის პრესკონფერენციაზე თბილისში ბოლტონმა აგრეთვე თქვა, რომ რუსეთის ხელმძღვანელებს საქართველოს შესახებაც ესაუბრა, თუმცა დაკონკრეტებისგან თავი შეიკავა.**

# რისთვის ჩამოვიდა ჯონ ბოლტონი?

**აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველმა ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში — ჯონ ბოლტონმა დაასრულა ტურნე ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში. ის რუსეთს, აზერბაიჯანს, სომხეთსა და საქართველოს ეწვია. ინტერესი მისი ვიზიტის მიმართ ძალიან დიდი იყო, ვინაიდან ბოლტონი ტრამპის ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ არქიტექტორად მოიაზრება.**

მოსკოვში ბოლტონი 21 დეკემბერს ჩავიდა და პირველი ხუთსაათიანი შეხვედრა რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივან **ნიკოლაი პატრუშევთან** გამართა. ოფიციალური ინფორმაციით, მთავარი საკითხი ამ მოლაპარაკებებზე გახდა აშშ-ის გასვლა ხელშეკრულებიდან საშუალო და მცირე რადიუსის რაკეტების შემცირების თაობაზე. კრემლი ამასთან დაკავშირებით აცხადებს, რომ ვაშინგტონი გლობალური უსაფრთხოების წინააღმდეგ მოქმედებს. ამერიკელები, თავის მხრივ, ამბობენ, რომ რუსული რაკეტები კალინინგრადის ოლქში ევროპას საფრთხეს უქმნიან, ამასთანავე, თვლიან, რომ ძველმა ხელშეკრულებამ აქტუალობა დაკარგა, რადგან ამ ტიპის რაკეტების მასიური წარმოება ჩინეთმაც დაიწყო. არსებითად, გასვლა ამ ხელშეკრულებიდან ტრამპის ადმინისტრაციას შესაძლებლობას მისცემს, შეიარაღების წარმოება გაზარდოს, რაც, ზოგიერთი ამერიკელი ექსპერტის აზრით, წაადგება სამხედრო-სამრეწველო კომპლექსს და ზოგადად აშშ-ის ეკონომიკას; ამავე დროს შესაძლებლობას მისცემს, ჩინეთსა და რუსეთზე ზეწოლა გაზარდოს. ვლადიმერ პუტინმა ამაზე სიმეტრიული პასუხის გაცემის პირობა უკვე დადო. ეს თემა ბოლტონისა და რუსეთის თავდაცვის მინისტრ **სერგეი შოიგუს** შეხვედრაზე განიხილეს.

**მეორე შეხვედრა მოსკოვში ბოლტონმა საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვთან გამართა. მათ სირიაში შექმნილი სიტუაცია განიხილეს, კოორდინაციის გაფართოებაზე შეთანხმდნენ და დადებითად შეაფასეს რუსეთის, თურქეთისა და აშშ-ის ერთობლივი მოქმედება, რომელმაც იდლიბის პროვინციაში დეესკალაცია უზრუნველყო. ბოლტონმა მწვავედ გააკრიტიკა ირანის ჩარევა სირიის კონფლიქტში; რუსეთის ხელისუფლებასთან დაახლოებული ექსპერტები მიანიშნებენ, რომ აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველი ცდილობდა, მიეღო რუსეთის მხარდაჭერა სირიაში ირანის გავლენის შეზღუდვის საქმეში.**

შეხვედრაზე ვლადიმერ პუტინთან, რაკეტებისა და სირიის გარდა, ჯონ ბოლტონმა ისაუბრა რუსეთის ჩარევაზე ამერიკულ არჩევნებში, თუმცა პრესკონფერენციაზე თქვა, რომ „ფედერალური საგამოძიებო ბიუროს დირექტორი კრისტოფერ რეი ამბობს, რომ ჯერჯერობით ვერ ხედავს ვერაფერს, რაც თავისი მასშტაბით 2016 წლის მოქმედებებს მოაგონებს“. რუსული მხარე, როგორც ცნობილია, მსგავს ბრალდებებს უარყოფს. პუტინმა, თავის მხრივ, გააკრიტიკა ვაშინგტონი „არამეგობრული ნაბიჯებისთვის, რომელიც არაფრით იყო პროვოცირებული“. საერთოდ, შეხვედრის შემდეგ ექსპერტები აღნიშნავდნენ, რომ რიტორიკა ჩვეულებრივზე დაძაბული იყო.

მხარეებმა ისაუბრეს სიტუაციაზე უკრაინაში, კავკასიაში, ავღანეთსა და კორეის ნახევარკუნძულზე, ახალი რუსულ-ამერიკული ბიზნესსაბჭოს ამოქმედებაზე შეთანხმდნენ და, რაც მთავარია, პუტინისა და ტრამპის მორიგი შეხვედრის გამართვაზე, რომელიც 11 ნოემბერს პარიზში შედგება, პირველი მსოფლიო ომის დასრულებისადმი მიძღვნილი ღონისძიებების შემდეგ. **ბოლტონმა განაცხადა, რომ ტრამპმა პუტინი ვაშინგტონშიც მიიწვია და დაასახელა თემა, რომელზეც აშშ-ს რუსეთთან „სტრატეგიული მოლაპარაკების“ გამართვა სურს — ეს „ჩინეთის აგრესიულობაა“. ბოლტონის აზრით, ჩინეთი რუსეთისთვის საფრთხეს წარმოადგენს, რადგან მის უმნიშვნელოვანეს რეგიონებს ჩინური რაკეტები „სწვდება“. მოსკოვში ამერიკელი სტუმრის ეს შეშფოთება, მოკლედ რომ ვთქვათ, არ გაიზიარეს. 26 ოქტომბრის პრესკონფერენციაზე თბილისში ბოლტონმა აგრეთვე თქვა, რომ რუსეთის ხელმძღვანელებს საქართველოს შესახებაც ესაუბრა, თუმცა დაკონკრეტებისგან თავი შეიკავა.**

მთლიანობაში, ჯონ ბოლტონის ვიზიტმა მოსკოვში აჩვენა, რომ, ურთიერთობის გაუარესების მიუხედავად, აშშ და რუსეთი აგრძელებენ სამუშაო დიალოგს გლობალური უსაფრთხოების საკითხებზე, ამგვარად, **„ახალი ცივი ომი“ უკონტროლო კონფრონტაციაში არ გადადის, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ექსპერტი თბილისში სწორედ ამას მოელოდა.**

პოსტსაბჭოთა სივრცეში გამგზავრებამდე ჯონ ბოლტონმა ცნობილ რადიოწამყვან ჰიუ ჰიუიტისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ კავკასიის ქვეყნებში სურს, „დაინახოს ის ძალიან მნიშვნელოვანი გეოგრაფიული როლი, რომელიც მათ აქვთ ურთიერთობაში ირანთან, რუსეთთან და თურქეთთან“. ტრადიციულად, რეგიონს აღწერენ, როგორც მნიშვნელოვან სატრანზიტო რგოლს, თუმცა ეს ფორმულირება ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ ბოლტონი განიხილავს მას, როგორც ზემოქმედების ინსტრუმენტს ჩამოთვლილ სამ ქვეყანაზე, რომელთანაც აშშ-ის ბოლო დროს ურთიერთობა გაუფუჭდა. ზოგმა ამის უკან შეიძლება საკმაოდ საშიში პერსპექტივა დაინახოს.



**ტრამპის ადმინისტრაცია გლობალურ ანტიირანულ კოალიციას დიდი მონდომებით ქმნის და ნაკლებად სავარაუდოა, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს, რომლებიც ირანის უშუალო სიახლოვეს მდებარეობენ, ნეიტრალური პოზიციის შენარჩუნების შესაძლებლობა მისცეს. თუ მას დააკმაყოფილებს თანამშრომლობა ირანის მიმართულებით, დღის წესრიგში, სავარაუდოდ, დადგება რუსეთის წინააღმდეგ მოქმედების საკითხი და საქართველო, ისევე, როგორც 2008-ში, შეიძლება სასიკვდილო საფრთხის წინაშე აღმოჩნდეს**

„ალიევთან შეხვედრის დროს, ჩვენ გავმართეთ ინტენსიური მოლაპარაკებები, მათ შორის ირანის თაობაზე. განვიხილეთ ნაბიჯები, რომელიც შეაკავებს თეირანს მისი საქმიანობისგან, აგრეთვე, მის ბირთვულ პროგრამაზე“, — განუცხადა ბოლტონმა ჟურნალისტებს. ეს შეიძლება მიუთითებდეს იმაზე, რომ ტრამპის ადმინისტრაცია აპირებს გაცილებით აქტიურად გამოიყენოს სამხრეთ კავკასიის ქვეყნები ირანის იზოლაციისთვის. მნიშვნელოვანი ადგილი მოლაპარაკებებზე ენერგეტიკულ საკითხებს, კერძოდ, „სამხრეთის გაზის დერეფანს“ დაეთმო. ბაქოში ყოფნისას ბოლტონმა შენიშნა, რომ ყარაბაღის კონფლიქტის გადაწყვეტას აშშ-ისთვის სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. საგულისხმოა, რომ პრესკონფერენციაზე მან თქვა, რომ ალიევთან მოლაპარაკებებზე დემოკრატიისა და აზერბაიჯანში ადამიანის უფლებების დაცვის საკითხს შეეხო, მაგრამ უშუალოდ ამის შემდეგ გაიხსენა პრეზიდენტ ტრამპის სექტემბრის გამოსვლა გაეროში, სადაც მან განაცხადა, რომ აშშ-ს არ აქვს სურვილი, სხვა ქვეყნებს ლექციები წაუკითხოს. შესაძლოა, ამით მან მიანიშნა, რომ ამ ეტაპზე ვაშინგტონი ოფიციალურ ბაქოს ამ მხრივ პრობლემებს არ შეუქმნის.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი თემა, რომელიც ბაქოში განიხილეს (თუმცა მის შესახებ ბოლტონმა ერევანში გამართულ პრესკონფერენციაზე ისაუბრა) დონალდ ტრამპის მიერ „თავისუფლების მხარდაჭერის აქტის“ 907-ე შესწორების მოქმედების შეჩერებაა. ეს შესწორება 1992-ში სომხური ლობის ძალისხმევის შედეგად მიიღეს — ის აშშ-ს უკრძალავს, აზერბაიჯანს სამთავრობო ხაზით რაიმე დახმარება აღმოუჩინოს. აზერბაიჯანისთვის ამერიკული შეიარაღების მიყიდვის შესაძლებლობაზე საუბრისას აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველმა თქვა: „სომხეთი ყიდულობს შეიარაღებას რუსეთში, აზერბაიჯანის შეიარაღება, აგრეთვე, 80%-ით რუსულია და ეს გარემოება ხელს არ უწყობს კონფლიქტის დარეგულირებას, რადგან რუსეთისთვის ზეწოლის დამატებით ბერკეტს წარმოადგენს“. ის მიიჩნევს, რომ ამერიკული იარაღი რუსულს სჯობია და „კონკურენცია ზოგიერთი საკითხის გადაწყვეტის საუკეთესო საშუალებაა“. ეს შეიძლება მიუთითებდეს იმაზე, რომ აშშ, როგორც სომხეთისთვის, ისე აზერბაიჯანისთვის შეიარაღების მიყიდვის საკითხს განიხილავს და აპირებს, რუსეთს ამ მიმართულებით მეტოქეობა გაუწიოს.

**ჯონ ბოლტონის აზრით, იმ შემთხვევაში, თუ მომავალ საპარლამენტო არჩევნებში ნიკოლ ფაშინიანი და მისი მხარდამჭერები გაიმარჯვებენ, „ეს იქნება კარგი შესაძლებლობა თამამი ნაბიჯებისთვის ყარაბაღის კონფლიქტის დარეგულირებაში“.** აღსანიშნავია, რომ 16 ნოემბერს აშშ-ის ელჩმა სომხეთში რიჩარდ მილზმა განაცხადა, რომ „მკაცრი რეალობა ისეთია, რომ კონფლიქტის ნებისმიერი გადაწყვეტა ოკუპირებული ტერიტორიების ნაწილის დაბრუნებას მოითხოვს“.

ერევანში ასევე განიხილეს სირიაში ასკაციანი სომხური მისიის გაგზავნის იდეა — ბოლტონმა თქვა, რომ სამხედრო ჩარევა არასწორი იქნება და სომხეთის პრეზიდენტმა არმენ სარქისიანმა ის დაარწმუნა, რომ მისია მხოლოდ ჰუმანიტარულ საკითხებზე იმუშავებს.

და ბოლოს, ჯონ ბოლტონი ჩამოვიდა თბილისში, რომელიც საპრეზიდენტო არჩევნებამდე ორიოდე დღით ადრე ნამდვილ საგიჟეთს ჰგავდა. საარჩევნო თემაზე მას განსაკუთრებული არაფერი უთქვამს და ზოგადი ფორმულირებით შემოიფარგლა: „საქართველოს ინტერესებში შედის, რომ სრულიად ღია და გამჭირვალე არჩევნები ჩატარდეს“. ბოლტონმა გამართა (მისი შეფასებით) „ნაყოფიერი შეხვედრები“ საქართველოს პრემიერმინისტრთან, საგარეო საქმეთა, თავდაცვისა და შინაგან საქმეთა მინისტრებთან, აგრეთვე, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსთან. „განვიხილეთ რეგიონში არსებული სიტუაცია და საქართველო-ამერიკის ორმხრივი თანამშრომლობა“, — განაცხადა ჯონ ბოლტონმა და, აგრეთვე, ახსენა დიალოგი „საქართველოს როლზე შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების კონტექსტში“. **ბოლტონის თქმით, მისმა ქართველმა თანამოსაუბრეებმა აშშ-თან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გაფორმების სურვილი გამოთქვეს.**

ამერიკელმა სტუმარმა ისაუბრა იმაზე, რომ აშშ მხარს უჭერს საქართველოს დამოუკიდებლობას, ტერიტორიულ მთლიანობას და მის გაწევრებას ნატოში, მაგრამ დასძინა, რომ ამას „შესაბამისი დრო სჭირდება“. მთლიანობაში ორივე მხარის კომენტარები ძალიან ზოგადი და ბუნდოვანი იყო, თუმცა ბოლტონის ერთ-ერთი რეპლიკა „არსებობს სხვადასხვა გზები ორმხრივი სამხედრო ურთიერთობების გასაძლიერებლად. ამასთან დაკავშირებით დღეს გვქონდა საუბარი და, ვფიქრობ, ამაზე ვიმსჯელებთ ვაშინგტონში“ შეიძლება მიანიშნებდეს ამერიკული შეიარაღების ახალი პარტიის მოწოდებაზე ან სამხედრო კოოპერაციის სხვა ფორმებზე, რომლებიც, როგორც ყოველთვის, კრემლის მკვეთრად ნეგატიურ რეაქციას გამოიწვევენ.

**ჯონ ბოლტონმა საქართველოს ამერიკისთვის „უმაღლესი სტრატეგიული პრიორიტეტის ქვეყანა“ უწოდა, მაგრამ არაფერი უთქვამს იმაზე, რა ფორმებში გამოვლინდება ეს ახლო მომავალში. იქ, სადაც სიცხადის ნაკლებობაა, შეიძლება ბუნებრივად გაჩნდეს ეჭვები, მათ შორის იმის თაობაზე, რომ ტრამპის ადმინისტრაცია განიხილავს სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს, როგორც ზემოქმედების ინსტრუმენტს ირანთან, რუსეთთან და, შესაძლოა, თურქეთთან ურთიერთობაში** (ამაზე შეიძლება მიანიშნებდეს ბოლტონის ორაზროვანი რეპლიკაც ჰიუ ჰიუიტისთვის მიცემულ ინტერვიუში). სანაცვლოდ ამ ქვეყნებმა შეიძლება მიიღონ სავაჭრო პრეფერენციები და შეიარაღება, მაგრამ ამავე დროს ძლიერი საპასუხო დარტყმები გაღიზიანებული მეზობლებისგან. **ტრამპის ადმინისტრაცია გლობალურ ანტიირანულ კოალიციას დიდი მონდომებით ქმნის და ნაკლებად სავარაუდოა, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს, რომლებიც ირანის უშუალო სიახლოვეს მდებარეობენ, ნეიტრალური პოზიციის შენარჩუნების შესაძლებლობა მისცეს. თუ მას დააკმაყოფილებს თანამშრომლობა ირანის მიმართულებით, დღის წესრიგში, სავარაუდოდ, დადგება მოქმედება რუსეთის წინააღმდეგაც და საქართველო, ისევე, როგორც 2008-ში, შეიძლება სასიკვდილო საფრთხის წინაშე აღმოჩნდეს.**

**ლუკა ნემსაძე**

**ტრამპის საარჩევნო კამპანიის ყოფილი თანამშრომელი, პოლიტტექნოლოგი ჯორჯ პაპადოპულოსი 25 ოქტომბერს სენატში გამართულ დახურულ მოსმენებს ესწრებოდა და, როგორც მან განაცხადა, სენატორებს უამბეს, როგორ ჩაატარეს ტრამპის საარჩევნო კამპანიის „ინფილტრაცია და საბოტაჟი“ აშშ-ის გამოძიების ფედერალურმა ბიურომ და ბრიტანეთის სპეცსამსახურმა.**

ჩაკურსი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# დონალდ ტრამპი, სპეცპროკურორი მიულერი, ბოლტონი მოსკოვში და საქართველო

**სპეცპროკურორ მიულერის გამოძიება, რომელზეც, ტრამპის იმპიჩმენტის თვალსაზრისით, კოლოსალურ იმედს ამყარებდნენ იმის დასამტკიცებლად, რომ არჩევნები მოიგეს არა ტრამპმა და მისმა მხარდამჭერებმა, არამედ რუსეთის სპეცსამსახურებმა, ბოლოს და ბოლოს, დასასრულს უახლოვდება. ნაცვლად იმისა, რომ სიხარულით დამტკბარიყვნენ მომავალი პოლიტიკური შოუს მოლოდინში, ამერიკელმა ჟურნალისტებმა დაიწყეს საზოგადოების მომზადება იმისთვის, რომ არანაირი ფოიერვერკი არ იქნება და არც — იმპიჩმენტი.**

სპეცპროკურორმა **მიულერმა** ვერ აღმოაჩინა „კრემლისა და ტრამპის შეთქმულება“. უფრო მეტიც, დიდია ალბათობა, რომ საზოგადოებრიობის ყურადღება გადაერთვება ამერიკის არჩევნებში სხვა უცხო ჩარევაზე. **ტრამპის საარჩევნო კამპანიის ყოფილი თანამშრომელი, პოლიტტექნოლოგი ჯორჯ პაპადოპულოსი 25 ოქტომბერს სენატში გამართულ დახურულ მოსმენებს ესწრებოდა და, როგორც მან განაცხადა, სენატორებს უამბეს, როგორ ჩაატარეს ტრამპის საარჩევნო კამპანიის „ინფილტრაცია და საბოტაჟი“ აშშ-ის გამოძიების ფედერალურმა ბიურომ და ბრიტანეთის სპეცსამსახურმა.**

სპეცპროკურორ მიულერის გამოძიების დასრულების შესახებ მასმედიაში ინფორმაციის გაჟონვის გარდა, არის კიდევ რამდენიმე მომენტი, რომლებიც მიუთითებს იმაზე, რომ „ტრამპისა და კრემლის შეთქმულების“ ისტორია დასასრულს უახლოვდება. პროკურორზე ზემოქმედებენ მაღალჩინოსნები, რომლებიც მოითხოვენ, — ან წარმოადგინოს ახალი ბრალდებები, ან დასრულდეს გამოძიება. ამასთანავე, მიულერი ძირითად სამუშაო ადგილებზე აბრუნებს იმ გამომძიებლებს, რომლებიც მას გამოძიებაში ეხმარებოდნენ, ანუ საქმე კვანძის გახსნას უახლოვდება.

**ტყუილუბრალოდ არ დაუწყიათ საზოგადოების მომზადება იმისთვის, რომ შედეგები მრავალთვიანი სკანდალური გამოძიებისა, რომელიც აქამდე აშშ-ის პოლიტიკური ახალი ამბების მთავარი წყარო იყო, არასოდეს გამომზეურდება.**

გარემოებების უცნაური დამთხვევით სპეციალური პროკურორის — მიულერის მანდატი ისე იყო შედგენილი, რომ მას არ აქვს თავისი დასკვნების გასაჯაროების არანაირი ვალდებულება, რაც ნიშნავს იმას, რომ ის, უბრალოდ, ანგარიშს ჩააბარებს ამერიკელ კანონმდებლებს — და მორჩა. სავარაუდოდ, ის სწორედ ამ შესაძლებლობით ისარგებლებს, რათა დონალდ ტრამპსა და რუსულ პროპაგანდას კმაყოფილება არ მოჰგვაროს საჯარო აღიარებით, რომ არანაირი შეთქმულება არ ყოფილა.

არის კიდევ ერთი არგუმენტი გასამყარებლად იმ ვერსიისა, რომ სპეცპროკურორმა ვერაფერი იპოვა და ვერაფრის დამტკიცება ვერ შეძლო. სულ მცირე შესაძლებლობაც რომ ყოფილიყო, განეცხადებინათ „კრემლთან შეთქმულების“ რეალური მტკიცებულებების შესახებ, ეს მტკიცებულებები წარმოდგენილი იქნებოდა საზოგადოებისთვის კონგრესსა და სენატში ნოემბრის არჩევნების წინ, რათა მაქსიმალურად ევნოთ რესპუბლიკური პარტიის კანდიდატებისთვის, რომლებსაც მხარს უჭერს ამერიკის პრეზიდენტი. და, თუ ეს არ ხდება, ე.ი. წარმოსადგენიც არაფერია.

ჩნდება მნიშვნელოვანი და საინტერესო კითხვა: **როგორ შეძლო ტრამპის გუნდმა, თავიდან აეცილებინა განვითარება მოვლენებისა, რომლებიც რამდენიმე თვის წინათ გარდაუვალი ჩანდა, სახელდობრ, თავიდან აეცილებინათ სცენარი, რომლის მიხედვით მიულერი განაცხადებდა, რომ „ტრამპისა და კრემლის შეთქმულება“ არსებობდა და რომ ტრამპი უზურპატორი და პუტინის აგენტია?**

სიმართლე, ალბათ, არასოდეს გამჟღავნდება, მაგრამ შეიძლება ითქვას ერთი აშკარა მიზეზის შესახებ: ტრამპმა, ალბათ, დამაჯერებლად მიიტანა თავის ვიზავიმდე ინფორმაცია, რომ ასეთი სცენარის რეალიზაციის შემთხვევაში იმპიჩმენტის შესახებ სხდომებს გამოიყენებდა იმისთვის, რომ საჯარო სივრცეში გამოიტანდა ყველა კომპრომატს, რომლებიც აქვს **ჰილარი კლინტონზე**, აგრეთვე, თავის სხვა პოლიტიკურ ოპონენტებზე, ამასთანავე, დაედანაშაულებინა ისინი სახელმწიფო გადატრიალების მოწყობის მცდელობაში.

სავარაუდოდ, **მიულერის გამოძიების აშკარა ჩავარდნების ფონზე... გამოძიებიდან გამომდინარე**



ჯონ ბოლტონი

**როგორ შეძლო ტრამპის გუნდმა, თავიდან აეცილებინა განვითარება მოვლენებისა, რომლებიც რამდენიმე თვის წინათ გარდაუვალი ჩანდა, სახელდობრ, თავიდან აეცილებინათ სცენარი, რომლის მიხედვით მიულერი განაცხადებდა, რომ «ტრამპისა და კრემლის შეთქმულება» არსებობდა და რომ ტრამპი უზურპატორი და პუტინის აგენტია?**



სპეცპროკურორი მიულერი



აღწიეს. ბოლტონი მოსკოვში რუსეთის პრეზიდენტ **ვლადიმერ პუტინს,** უშიშროების საბჭოს მდივან **ნიკოლაი პატრუშევს,** საგარეო საქმეთა მინისტრ **სერგეი ლავროვსა** და თავდაცვის მინისტრ **სერგეი შოიგუს** შეხვდა.

გავრცელებული ინფორმაციით, ვლადიმერ პუტინისა და დონალდ ტრამპის პირისპირ შეხვედრა გაიმართება პარიზში 11 ნოემბერს I მსოფლიო ომის დასრულების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე.

მოსკოვში ვიზიტის შემდეგ ჯონ ბოლტონი ბაქოსა და ერევანს სტუმრობდა, სადაც ლაპარაკი იყო მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარების საკითხებზე. სომხურ მედიასთან საუბრისას ბოლტონმა განაცხადა, რომ დონალდ ტრამპმა ვლადიმერ პუტინი 2019 წლის დასაწყისში ვაშინგტონში მიიწვია. მოსკოვის, ბაქოსა და ერევნის შემდეგ აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველი უსაფრთხოების საკითხებში — ჯონ ბოლტონი საქართველოს ეწვია და საქართველოს პრემიერმინისტრ **მამუკა ბახტაძეს**, საგარეო საქმეთა მინისტრ **დავით ზალკალიანს,** შს მინისტრ **გიორგი გახარიასა** და თავდაცვის მინისტრ **ლევან იზორიას** შეხვდა.

**„ჩვენი საუბარი რეგიონში არსებულ ვითარებასა და საქართველო-აშშ-ის ურთიერთობებსა და თანამშრომლობის საკითხებს შეეხო. ჩვენთვის მაღალი პრიორიტეტის საკითხია ეს რეგიონი, მისი სტრატეგიული მდებარეობიდან გამომდინარე. მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირი დაიშალა, ჩვენ საქართველოს დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის მტკიცე მხარდამჭერები ვართ და ამ პოზიციას არ ვიცვლით. ჩვენ გვაქვს სამხედრო ხასიათის ურთიერთობა, რომლის თაობაზეც კიდევ ერთხელ ვისაუბრეთ დღეს. ასევე მნიშვნელოვანია სავაჭრო-ეკონომიკური შესაძლებლობების განვითარების თვალსაზრისით ჩვენი თანამშრომლობა და ამ თვალსაზრისით ამერიკული ინვესტიციების გაზრდის შესაძლებლობა“,** — განაცხადა ჯონ ბოლტონმა და დასძინა, რომ საქართველომ ნატოში გაწევრების მიმართულებით ევროპელ პარტნიორებთან უნდა ისაუბროს.

**„განხილულ იქნა საქართველოსა და რეგიონში არსებული უსაფრთხოების გამოწვევები... რეგიონული უსაფრთხოების გარემოზე საუბრისას, შეხვედრაზე ხაზი გაესვა საქართველოს, როგორც რეგიონში აშშ-ის განსაკუთრებული პარტნიორისა და მოკავშირის, მზარდ როლს. საუბარი შეეხო საქართველოს როლს შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების კონტექსტში, ასევე აღინიშნა საქართველოს მიერ გაწეული კონტრიბუცია გლობალური უსაფრთხოების განმტკიცების საქმეში“,** — ნათქვამია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

ბოლტონმა განაცხადა, რომ არ იცის, იმსჯელებენ თუ არა აშშ-ისა და რუსეთის პრეზიდენტები საქართველოს საკითხზე 11 ნოემბერს პარიზში შეხვედრისას, თვითონ კი ისაუბრა საქართველოზე ხელმძღვანელ პირებთან, თუმცა სხვა არაფერი არ დააკონკრეტა.

როგორც ხედავთ, „ჩვენი სტრატეგიული“ პარტნიორი, რომელიც რეგიონში თავისი ინტერესების გატარებისთვის ზრუნავს, გვირჩევს, ნატოში ინტეგრაციაზე ევროპელ პარტნიორებს დაველაპარაკოთ, ხოლო ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხი, რომელსაც, უკვე წლებია, „გულმხურვალედ უჭერს მხარს“, არც კი სურს, რუსეთთან დააყენოს. ამ ფონზე, მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე დღის წინათ ვალდაის ფორუმზე რუსეთის პრეზიდენტმა რამდენჯერმე ახსენა საქართველო (მანამდე კი უარყოფითი დამოკიდებულება გამოხატა საქართველოსა და უკრაინის ნატოში ინტეგრაციის საკითხის მიმართ), ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებას თითქოს ყურები აქვს დახშული და დასავლეთის შიშით რუსეთთან მოლაპარაკებების დაწყებაზე კრინტს ვერ ძრავს.

**მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძე**

ეროვნული განძი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ის, რაც ხელოვანმა უნდა მიიღოს (ფულის გარდა), მივიღე; რაზეც ენციკლოპედიებში ვკითხულობდი მხოლოდ, ამიხდა: უდიდეს საკონცერტო დარბაზებში, სადაც გამოსვლა ხელოვან ადამიანებს ოცნებად აქვთ გადაქცეული, ყველგან დამიკრავს, ყველა ლეგენდარულ მუსიკოსს შევხვდი და მათ სოლო კონცერტებში მივიღე მონაწილეობა სპეციალური სტუმრის სტატუსით“.**

# თბილისის აბოვიანის 16 ნომრიდან ნიუ-იორკის «კარნეგი ჰოლამდე»

**რაზე ფიქრობს, რა ეამაყება, რა აწუხებს და ცხოვრების როგორ კრიტერიუმებს ერთგულებს მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო გიტარისტი, კომპოზიტორი, მომღერალი და ორანჟირების დიდოსტატი თემურ ყვითელაშვილი? იგი პირველი ქართველი მუსიკოსია, რომელმაც დაამუშავა და გიტარას მოარგო ქართული კლასიკური და თანამედროვე მუსიკა, ბახის, მოცარტის, პაგანინის, შუბერტის, რიმსკი-კორსაკოვის, შოპენისა და სხვა დიდებული კომპოზიტორების გენიალური ნაწარმოებები. თბილისისა და ახალციხის საპატიო მოქალაქეა, დაჯილდოვებულია ღირსების ორდენით, აღიარებულია წლის საუკეთესო გიტარისტად ფიუჟინის სტილში (აშშ), საქართველოს საუკეთესო ინსტრუმენტალისტად, ჩაწერილი აქვს ცხრა სოლო ალბომი... დანარჩენს დღეს გამოქვეყნებულ ინტერვიუდან შეიტყობთ.**


სოლო კონცერტი „კარნეგი ჰოლში“, ნიუ-იორკი, აშშ

— მუსიკა ჩემი ცხოვრებაა და არა სამსახური, ამით ფული არასოდეს მიშოვია, ვერც ვშოულობ, რადგან სრულიად განსხვავებული სფეროებია შოუბიზნესი და ხელოვნება, — **იწყებს საოცრად გულწრფელ და საინტერესო საუბარს თემურ ყვითელაშვილი,** — გიტარა ჩემთვის 11 წლიდან დაიწყო. მუსიკალური განათლება არ მიმიღია. ის ჟანრი, რომელიც მე მაინტერესებდა, მით უფრო, თანამედროვე საგიტარო ხელოვნება, საბჭოთა პერიოდში არ ისწავლებოდა, არანაირი ინფორმაცია — აუდიო, ვიდეო თუ ლიტერატურა არ მოიპოვებოდა. ფირფიტებიც კი ძნელად საშოვნი იყო.

მაგრამ ჰქონდა ამ რეალობას პლუსიც: ყველა სიძნელე შენით უნდა დაგეძლია, შენით უნდა მოგეპოვებინა ის, რისკენაც ისწრაფვოდი. ანალიზისა და ფიქრის შედეგად შევძელი ყველა წინაღობის გადალახვა; მათ შორის, ხელის დაყენება, რაც ყველაზე რთულია, შევქმენი ჩემი სავარჯიშოები, მედიატორის ფორმა და ზომა, რაც ძალიან ინდივიდუალურია, რადგან არ შეიძლება, რომ ის, რაც ჩემს ხელს უხდება, სხვის ხელსაც მოუხდეს.

რთული გზა გავიარე და გავდივარ, დამოუკიდებლად ვისწავლე ყველაფერი, ჩემში გავატარე.

— **და ეს საკმარისია, დიდი მუსიკოსი რომ გახდე?**

— არა! ამერიკაშიც და სხვა ქვეყნებშიც ხშირად ვხვდები ახალგაზრდებს, და არა მხოლოდ მათ, რომლებსაც დამთავრებული აქვთ პრესტიჟული უმაღლესი სასწავლებლები, კოლეჯები, გიტარის ინსტიტუტები, ცოდნით არიან სავსე, მაგრამ ვერ უკრავენ. ისინი შეიძლება კარგ პედაგოგებად გამოდგნენ, მაგრამ არა კარგ არტისტებად. ბალანსი თეორიულ ცოდნასა და მუსიკის შექმნას შორის ძალიან რთული მისაღწევია.

— **ე.ი., როგორც თავშივე თქვით, მუსიკა თქვენი ცხოვრებაა.**

— მე სხვა ცხოვრებით არც მიცხოვრია. ჩემი გასაჭირი მევე გადამიტანია და არავითარ კომპრომისზე არ წავსულვარ არც ცხოვრებაში და, რა თქმა უნდა, არც ხელოვნებაში.

რაც მოსახდენი იყო, ყველაფერი მოხდა — კანონზომიერად და სამართლიანად. ის, რაც ხელოვანმა უნდა მიიღოს (ფულის გარდა), მივიღე; რაზეც ენციკლოპედიებში ვკითხულობდი მხოლოდ, ამიხდა: უდიდეს საკონცერტო დარბაზებში, სადაც გამოსვლა ხელოვან ადამიანებს ოცნებად აქვთ გადაქცეული, ყველგან დამიკრავს, ყველა ლეგენდარულ მუსიკოსს შევხვდი და მათ სოლო კონცერტებში მივიღე მონაწილეობა სპეციალური სტუმრის სტატუსით. ყველა ბრენდის, რომლებიც კი არსებობს, სახე გავხდი.

ხუთივე კონტინენტი მოვიარე. მაგრამ არაფერმა არ გამაგიჟა, არაფერზე თვალი არ გამექცა, არავითარ ცდუნებაზე. ყოველთვის ვამბობდი, რომ ადამიანი უნდა ცხოვრობდეს მოკრძალებულად, მორიდებულად, თავმდაბლურად და, ალბათ, შედეგიც არ დააყოვნებს.

— **ფინანსური კეთილდღეობაც?**

— ეს არის ჩემი ყველაზე დიდი პრობლემა. არის და დარჩება, იმიტომ, რომ დავრწმუნდი: ამ სფეროში ყველაფერი ფასდება, ხელოვნებისა და წესიერების გარდა.

— **გიტარის „ფილოსოფიაზე“ თუ გიფიქრიათ?**

— ხშირად. სიღრმეებს რომ არ ჩავწვდეთ, მოკლედ გეტყვით: ყველაფერს თავისი საიდუმლოება აქვს, რომლის ამოხსნას, ალბათ, წლები სჭირდება. შეიძლება ერთი ცხოვრებაც არ ეყოს.

გიტარა ურთულესი ინსტრუმენტია: მასტერკლასების ჩატარებისას სტუდენტებისთვის მითქვამს, რომ გიტარაზე ერთ რომელიმე კონკრეტულ ოქტავაში ერთი კონკრეტული ნოტის დაკვრა ხუთ ადგილზე შეგიძლიათ. ყველაფერი დამოკიდებულია მუსიკოსის გემოვნებაზე, მის ყურზე, როგორ აგებს ფრაზირებას: **თუ შეიძლება რამე დავუკრა პირველ სიმზე, იმავე ოქტავაში შემიძლია დავუკრა მეორე სიმზე ან მესამეზე. ნოტები იგივეა, მაგრამ აპლიკატურა — სხვა. ერთხელ მკითხეს და ვუპასუხე, რომ არ მაინტერესებს, თითების როგორი განლაგებით უკრავს გიტარისტი. მაინტერესებს — რა მოდის იქიდან. მსმენელმა უნდა მოისმინოს მხოლოდ და მხოლოდ მუსიკა.**

> **«სიონის ეზოში გავატარე ჩემი ბავშვობა. ვინ რომელი ეროვნებისა იყო, არავის აინტერესებდა. თავისუფლად ვლაპარაკობდი სომხურად, ნაკლებად — აზერბაიჯანულად. ხალასი ურთიერთობა გვქონდა. თბილისელობას მსოფლიოში არ მოეძებნება ანალოგი»**




— **შეიძლება თუ არა, ვთქვათ, რომ ის მუსიკა, რომელსაც თქვენ გვასმენინებთ, არის თემურ ყვითელაშვილის სულიერება სხვა განზომილებაში მატერიალიზებული?**

— კი, ნამდვილად ასეა.

— **და ცვალებადია, დროის მდინარების შესაბამისად?**

— შეიძლება ასეც ითქვას. ოღონდ ყოველთვის თავისუფალია: ყველა დროს, ყველა ასაკს თავისი ხიბლი აქვს. თავისუფლებასაც. ვერ ვეგუები ვერც ზღვარგადასულ თავისუფლებას, ვერც ისეთს, რომელიც კონტროლის ჩარჩოებშია ჩასმული.

როცა თხუთმეტი წლის ბიჭი პირველად გამოვჩნდი ტელეეკრანზე (სამოცდაათიან წლებში) რამდენიმეფენიანი ფილტრი გავიარე. ხელოვნების სუროგატის გამოჩენა ხუთმილიონიანი აუდიტორიის წინაშე წარმოუდგენელი იყო. დღეს ვინც ფულს გადაიხდის, იმას ყველა კარს უხსნიან. მაშინ დაცული იყო ჭეშმარიტი ხელოვნება, თამასა ძალიან მაღლა იყო აწეული. მე მადლიერი ვარ იმ პერიოდის.

დღეს განუკითხაობაა, ჭორაობით, ერთმანეთის გინებითა და ზურგსუკან ლაპარაკით ერთობა ხალხი.

ბევრი ადამიანი დავკარგე ისეთი, ვინც ერთს ფიქრობდა, მეორეს ამბობდა და მესამეს აკეთებდა: სადაც გასაწყვეტია, იქ უნდა გაწყდეს.

— **დღეს, ამ გაუკუღმართებული თავისუფლების ჟამს, ეგებ მართლაც ჯობდეს, გარკვეულად შეზღუდულ გარემოში ცხოვრება, მაგრამ ხომ იყო დრო, როცა უბანი ერთი ოჯახივით იყო, ქალაქი ქალაქს ჰგავდა და თბილისელი თბილისელს? რა მოგცათ იმ დრომ?**

— მართლა მეამაყება, რომ ვარ თბილისელი და თბილისის საპატიო მოქალაქის წოდებაც მაქვს მონიჭებული, რაც ჩემთვის დიდი ჯილდოა. დავიბადე და გავიზარდე მეიდანში. ქუჩის უნივერსიტეტი გავლილი მაქვს, მაგრამ ეს სხვა თემაა. ინტერნაციონალური უბანი იყო, ჩემი ქუჩა — აბოვიანის სახელობისა, სინაგოგიდან სიონის ტაძართან ჩადიოდა. **სიონის ეზოში გავატარე ჩემი ბავშვობა. ვინ რომელი ეროვნებისა იყო, არავის აინტერესებდა. თავისუფლად ვლაპარაკობდი სომხურად, ნაკლებად — აზერბაიჯანულად. ხალასი ურთიერთობა გვქონდა. თბილისელობას მსოფლიოში არ მოეძებნება ბადალი, გამორჩეულია ისეთი თვისებებით, როგორიც არის სინდის-ნამუსი, წესიერება, სიტყვის ერთგულება და ულალატობა.**

შეიძლება არ დამიჯეროთ, რომ აბოვიანის თექვსმეტ ნომერში ვცხოვრობდით 46 წლის განმავლობაში.

— **როგორ არ დაგიჯერებთ, როცა ჩვენი ოჯახი ერთ, 18 კვადრატულ მეტრიან ოთახში ცხოვრობდა და 48 წლის განმავლობაში ბინის მიღების რიგში იდგა.**

— ჩემი კუთხეც არა მქონია. მამა 1977 წელს გარდაიცვალა და უმამოდ ვიზრდებოდი. დალხენილი ცხოვრება არასოდეს მქონია, მაგრამ ჩემი შემოქმედება სწორედ იქ შეიქმნა. ჩემი „ადგილის დედა“ იქ არის, მაგრამ სწორედ იმ სახლიდან 2014 წელს გამომასახლეს, როგორც „ოტსტუპნიკი“. თავის დროზე ყველაფერი კანონიერად გაფორმდა, მაგრამ შეიცვალა დროება და სასამართლომ დიდი ბოდიშებით გამომასახლა.

ადამიანის უსინდისობას საზღვარი არ აქვს, სამყაროა საერთოდ უსამართლო, არა მხოლოდ ჩვენთან არის ასე. ამიტომ ადამიანებისგან თავი ძალიან შორს მიჭირავს. მაქვს ჩემი სამყარო, ჩემი წრე მსოფლიო მასშტაბით, ახლობელი ადამიანები, რომლებთან ერთადაც მიხარია ცხოვრება.

— **და უამრავი მსმენელი და თაყვანისმცემელი.**

— ესეც არის. მაგრამ დასაკარგი უნდა დაიკარგოს. ცხოვრება ადამიანს კი არ აფუჭებს, როგორც იტყვიან ხოლმე, არამედ გამოამჟღავნებს მის ჭეშმარიტ ბუნებას.

— **ქუჩამ, უბანმა, თბილისმა ჩამოგაყალიბათ, როგორც ადამიანი, როგორც პიროვნება.**

— და, რა თქმა უნდა, ჩემმა პრინციპებმა, რომლებისთვისაც არასოდეს მიღალატია. ასე მოვდივარ. ჩემთვის მიუღებელია ადამიანი, რომელიც ცდილობს, ყველასთვის კარგი იყოს. მთავარია, არ დაარღვიო საერთოდ მიღებული სტანდარტების ჩარჩოები.

— **აბოვიანის მეთექვსმეტე ნომრიდან მსოფლიოს უდიდეს საკონცერტო დარბაზებამდე — წარმოუდგენელი ამპლიტუდაა, მაგრამ თქვენს ცხოვრებაში რეალური ფაქტია. დარბაზების ჩამოთვლა, მინდა, გთხოვოთ.**

— დავიწყებ იმით, რომ ჩემთვის ყველა კონცერტი თანაბარია. სანამ ადამიანი საზღვარგარეთზე ილაპარაკებს, მანამდე უნდა თქვას, რა გააკეთა თავისთან.

აი, ამ ერთ თბილისელ ბიჭს, რომელსაც პრინციპად მაქვს დევიზი — არავის შევუძვრე და არავინ შევიძვრინო *(ამაზე ორივენი გულიანად ვიცინით)* — ჩატარებული ▶

ეროვნული განძი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# პირდაპირ გეტყვით, მე ვარ პირველი გიტარისტი, ვინც გიტარაზე ავაჟღერე ქართული ჰანგები, ქართული კლასიკა. პირველი, რის დაკვრაზეც ვოცნებობდი, ზაქარია ფალიაშვილის „დაისის" „უვერტიურა" იყო, რომელიც ჩემი მეექვსე ალბომისთვის ჩავწერე.

◀ მაქვს ცხრა სოლო კონცერტი დიდ საკონცერტო დარბაზში, ორი — კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში, ერთი — „ივენთ ჰოლში" და მრავალი კონცერტი საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში; ამას გარდა, კარნეგი ჰოლში, სხვათა შორის, საბჭოთა კავშირიდან ერთადერთი გიტარისტი ვიყავი, რომელსაც ამ დარბაზში ჰქონდა დაკრული, ასევე: ნიუ-იორკის ბერდლენდის ჯაზკლუბში, ბეიკერ პოტეტოში, ლა ვი ლიში, ირიდიუმში — აშშ-ის ყველაზე პრესტიჟულ კლუბებში. ჰოლივუდში ჩატარებული მაქვს მასტერკლასები, ყოველ წელიწადს ჩავდივარ ლოსანჯელესში და ვმონაწილეობ, როგორც სხვადასხვა ბრენდის სახე, უპრესტიჟულეს გამოფენაში — NAMM-Show. ახლახან დავბრუნდი მოსკოვიდან, სადაც ოცდამეოთხედ ვმონაწილეობდი მუსიკალური ინსტრუმენტების საერთაშორისო გამოფენაში სპეციალური სტუმრის სტატუსით.

კანადა, იაპონია, სამხრეთ აფრიკა, ავსტრალია, ზელანდია, ევროპა, — სად გავყვე, აღარც ვიცი.

— **ყველაზე უფრო საით გიწევს გული?**

— ყველგან — ერთნაირად, მაგრამ ჩემთვის, როგორც ინსტრუმენტალისტისთვის, იმპროვიზატორისთვის, როგორც გიტარისტისთვის ამერიკა საოცნებო იყო. წლეულს შტატებში ოცდამეხუთედ ჩავედი. ყველა ლეგენდარულ გიტარისტთან, რომლებმაც შექმნეს და რევოლუცია მოახდინეს, დაკრული მაქვს. ესენი არიან: **ლეს პოლი**, რომელმაც შექმნა მოდელი ლეს პოლის გიტარის, 1994 წელს ჰოლივუდში წლის საუკეთესო გიტარისტის პრიზი მივიღე და საჩუქრად გადმომეცა გიბსონის ფირმის ლეს პოლის მოდელის გიტარა. 12 წლის შემდეგ კი მისი მიწვევით მასთან, მაშინ უკვე 90 წელს გადაცილებულ კორიფესთან ერთად, დავუკარი ნიუ-იორკში; **ალან ჰოლდსვორდი** (შარშან გარდაიცვალა, ღმერთმა ნათელში ამყოფოს), უდიდესი გიტარისტი, რომლის სტუმარი ამერიკაში ოთხჯერ ვიყავი; **მაიკლ ანჯელო ბატიო, სკოტ ჰენდერსონი, ტომი ემანუელი, ჟორჟ ბენსონი.** ამათთან ერთად საპატიო სტუმრის სტატუსით გამოვდიოდი. ეს ისეთი სტატუსია, რომელიც ფულით არ იზომება. ფულის გულისთვის არსად დამიკრავს — კარნეგი ჰოლში გამოდიოდე და ფულზე იფიქრო, ავადმყოფობაა.

ორ წელიწადში სამოცის ვხდები და, როცა კონცერტზე მიწვევენ ჰონორარზე ლაპარაკს ვერ ვახერხებ — თვითონ მეუბნებიან. არადა, ერთადერთი ჩემი შემოსავალი ეს არის.

— **ბრენდებზე საუბრობდით...**

— ყველა ბრენდის: „დადარიოს", „ერნიბოლის", „ჯი-ენაის", „დიარის", გიტარის გამაძლიერებელი კომპანია „ენგელის", გიტარის კაბელ „კლოცის", „შექტორის" და ა.შ. — სახე ვიყავი.

— **ბინის პრობლემა როგორ გადაწყვიტეთ?**

— ერთმა კარგმა ადამიანმა ერთოთახიანი ბინა მაჩუქა. ის რომ არა, ჩემს ოჯახთან ერთად ქუჩაში ვრჩებოდი.

— **დაასახელებთ იმ ქველმოქმედის ვინაობას?**

— ბატონი **სოსლან ხარებოვი.** მთელი ჩემი ცხოვრება მისი მადლობელი ვარ და ვიქნები.

ერთსაც გეტყვით.

ბევრჯერ დაუხარჯავთ კეთილი სიტყვები ჩემ მიმართ, ბევრსაც დამპირებიან. ძალიან სასიამოვნოა, როცა გაქებენ, ქუჩაში რომ გაგაჩერებენ, ავტოგრაფს გთხოვენ, მადლობას გეუბნებიან, მაგრამ, სიტყვას ჰაერზე რომ აგდებენ, ეს ჩემთვის მიუღებელია. ასეთ ადამიანებს, რომ თქვა და არ გააკეთა, ასობით ვიცნობ. იმათ, როგორც ქალაქში იტყვიან, თავი გაიფარჩაკეს. ძალიან დიდი თანამდებობის პირებიც კი გაფარჩაკებულან ჩემთან.

— **ახლაც „დიდი კაცები" არიან?**

— ისინი დიდი კაცები არასოდეს ყოფილან. პატარები იყვნენ. როგორ უნდა ვცე პატივი თბილისის იმ მერიას, რომელიც თბილისის საპატიო მოქალაქეს, რომელიც ამ საპატიო წოდებას მეექვსე წელიწადია ატარებს, თბილისობაზე არ დაპატიჟებს. ასე მოხდა წინა თბილისობაზე. შევხვდი ბატონ **კახი კალაძეს**, ბოდიში მომიხადა და მითხრა, რომ მსგავსი რამ აღარ განმეორდებოდა, მაგრამ ჩაიარა წლევანდელმა თბილისობამ და მე არავის გავხსენებივარ.

შარშან მოსკოვის „მუსიკის სახლში" მეოთხედ ჩავატარე სოლო კონცერტი. ორგანიზატორებმა მთხოვეს, დავრჩენილიყავი იქაურ თბილისობაზე, რომელსაც მოსკოვში აწყობენ ხოლმე, — ყველა ხარჯს ჩვენ გავიღებთ და ჰონორარსაც გადაგიხდითო. როგორ გეკადრებათ, საპატიო თბილისელი ვარ და დედაქალაქის ზეიმზე თბილისში უნდა ვიყომეთქი. ჩამოვედი თბილისში. ვის რაში სჭირდები?!

მედროვე ხალხი არის ყველგან, ეს მინდა ვთქვა. და მაინც წარმატება მინდა ვუსურვო დედაქალაქის მერს.

**თემურ ყვითელაშვილი ორი ერის კულტურისა და ხელოვნების თვალსაჩინო წარმომადგენელია. ასეთი იყო ცხონებული ჯემალ აჯიაშვილი — ბრწყინვალე ლიტერატორი, პოეტი, მწერალი, მთარგმნელი, საზოგადო მოღვაწე. და საერთოდ, ქართველი ებრაელობა, როგორც ფენომენი, უნიკალური მოვლენა ჩვენი ორი ერის მრავალსაუკუნოვან ურთიერთობაში.**

**ამის შესახებ ჩამოვაგდე საუბარი რესპონდენტთან.**

— ჩემთვის ცოტა სანერვიულოა ეს თემა. პირდაპირ გეტყვით, მე ვარ პირველი გიტარისტი, ვინც გიტარაზე ავაჟღერე ქართული ჰანგები, ქართული კლასიკა. პირველი, რის დაკვრაზეც ვოცნებობდი, ზაქარია ფალიაშვილის „დაისის" უვერტიურა იყო, რომელიც ჩემი მეექვსე ალბომისთვის ჩავწერე. 15 წლისა გამოვჩნდი ქართული საცეკვაოებით (ახლაც ვუკრავ კონცერტებზე).

რაც შეეხება ებრაულს, არ დაგიმალავთ, შეგნებულად არ ვასრულებდი, მიუხედავად იმისა, რომ ცხონებული დედაჩემი სულ მთხოვდა დამეკრა ებრაული. ძალიან განაწყენებული ვიყავი ებრაელებზე, ძალიან.

ქართველი არტისტების საკონცერტო გასვლები ისრაელში 1984 წლიდან დაიწყო. დღემდე ისრაელში ორად-ორი კონცერტი მაქვს ჩატარებული: ერთი — აშდოთის სიმფონიური მუსიკის ორკესტრის თანხლებით, მეორე — გოდების კედლის გვერდით, მეფე დავითის კოშკში, რაც უიშვიათესი მოვლენაა. ეს იყო და ეს, არცერთ სხვა ღონისძიებასა თუ კონცერტებზე იქ არ მივუწვევივარ არავის.



ფოტოები თემურ ყვითელაშვილის ალბომიდან

თემური ალან ჰოლდსვორთთან ერთად
Temur with Allan Holdsworth

თემური ტომი ემანუელთან ერთად
Temur with Tommy Emmanuel

თემური ლეს პოლთან ერთად
Temur with Les Paul

თემური მაიკლ ენჯელო ბატიოსთან ერთად
Temur with Michael Angelo Batio

თემური სკოტ ჰენდერსონთან ერთად
Temur with Scott Henderson

## დედაჩემს ჯანმრთელობა ძალიან რომ შეერყა, მთხოვა გამეკეთებინა «ჰავა ნაგილა». გავაკეთე და მას ვუძღვენი. ჩემი «ჰავა ნაგილა» მსოფლიოშია ცნობილი, ისევე, როგორც ჩემი «შინდლერის სია». სხვებისგან განსხვავებულია. ჩავწერე «ოქროს იერუსალიმი» და ისრაელის ჰიმნი

— **რატომ, რა ხდება ასეთი?!**

— იმიტომ, რომ ეს ყველაფერი პიროვნებების ურთიერთობებზეა აგებული და არა ხელოვნებაზე — ვინ ვისთან როგორ არის.

თუმცა ეს არ არის ჩემი განსასჯელი. მათი პრობლემაა.

დედაჩემს ჯანმრთელობა ძალიან რომ შეერყა, მთხოვა გამეკეთებინა „ჰავა ნაგილა". გავაკეთე და მას ვუძღვენი. ჩემი „ჰავა ნაგილა" მსოფლიოშია ცნობილი, ისევე, როგორც ჩემი „შინდლერის სია" სხვებისგან განსხვავებულია. ჩავწერე „ოქროს იერუსალიმი" და ისრაელის ჰიმნი.

ქართული მელოდია ჩემი სიამაყეა: „ყვავილების ქვეყნიდან" დაწყებული რომელი ერთი ვთქვა, უამრავი გავაკეთე. საკუთარ მუსიკას ბევრს ვწერ, ჩემს ალბომებში ერთიორი ჩემი ნაწარმოები აუცილებლად არის ჩართული.

— **ალბომების გამოცემა ძვირი ჯდება?**

— სერიოზული ფული!

— **გეხმარებიან?**

— რა თქმა უნდა.

— **ხომ არ დაასახელებდით მეცენატებს?**

— რომც არ გეკითხათ, აუცილებლად გეტყოდით. უწინარეს ყოვლისა, ყოველი ალბომის ბუკლეტში მინიმუმ 150 გვარი მიწერია, მადლობას ვუხდი ყველას. ერთმა ადამიანმა მკითხა, ამდენი გვარი რომ გიწერიათ, იმან (გვარი დამისახელა) თუ წაიკითხაო. ვუპასუხე: მადლობას იმიტომ კი არ ვუხდი, მან რომ წაიკითხოს, ჩემთვის ვაკეთებ, ეს ჩემი კომფორტია, ჩემი დამოკიდებულებაა.

— **მადლიერების გამოხატვა.**

— დიახ. ყველაზე უფრო უმადური ადამიანი მძულს.

— **მეცენატთა შორის არიან ქართველები?**

— არიან. მათ შორის — ბატონი **დავით ტატულაშვილი**, რომელიც რამდენიმე ალბომის ჩაწერაში დამეხმარა. ძალიან მადლობელი ვარ მისი. რუსებიც არიან, მაგალითად, **ვლადიმირ შევჩენკო**, რომელმაც დააფინანსა ჩემი დიდი კონცერტი. ასევე მინდა დახმარებისთვის დიდი მადლობა ვუთხრა ბატონებს: **მერაბ ელაშვილს, ალექს დანელს, თემურ ბუზალაძეს, მერაბ ჩანჩალაშვილს, ბუბა ქებურიას** და **გიორგი თარხან-მოურავს.** არ მინდა ვინმე გამომრჩეს, ამიტომ არ ჩამოვთვლი გვარებს. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ არცერთ მათგანს არასოდეს სამაგიერო არ უთხოვია.

მეხმარება ბატონი **ბიძინა ივანიშვილი**, მადლობას ვუხდი დახმარებისთვის, თუმცა არ არის ვალდებული. ერთადერთხელ შევხვდი. რომელიღაც ღონისძიებაზე, განცალკევებით ვიდექი. დამინახა, დაცვა მოიშორა, მოვიდა და გადამეხვია. მითხრა, რომ უდიდესი სიყვარული და პატივისცემა მინდა გამოვხატო თქვენი პიროვნებისა და ხელოვნების მიმართო.

სამწუხაროდ, ბევრისგან გამიგონია: რას მიხდის, ორი შესვლაა ბაზარში. იმდენი აქვს, რომ ეს მისთვის ფული არ არისო.

რა უნდა ვთქვა, ასეთ ადამიანებზე — კეთილისმყოფელს ავალდებულებს და კიდევ — ცოტააო, იძახის.

— **მისთვის სიკეთე არ გამიკეთებია და რას მერჩისო, ხომ გაგიგონიათ ეს ანდაზა.**

— სხვასაც გეტყვით: ერთი სიკეთის გამცემი კაცი, ვისაც ეხმარებოდა, ყველას თითო კენჭს აძლევდა. ამას რატომ აკეთებო, რომ ჰკითხეს, უპასუხა: ხომ ვიცი, ლოდი უნდა მესროლოს და ჯობია, კენჭი მესროლოსო.

პოლიტიკას არ ვეხები, არავითარი ურთიერთობა არ მაქვს პოლიტიკასთან, მე ვლაპარაკობ პიროვნულ თვისებაზე.

— **ხვალის გეგმებზე უნდა შეგეკითხოთ.**

— უახლოეს ჩემს გეგმაში ახალი ალბომის ჩაწერაა, რაც დიდ დროსა და ხარჯს მოითხოვს. 2019 წლის დასაწყისისთვის გამოიცემა.

— **მორწმუნე ხართ?**

— დიახ, მაგრამ ფანატიკოსი არ ვარ. ყველა ებრაულ დღესასწაულს შეძლებისდაგვარად ვიცავ.

— **„თორადან" თქვენი ცხოვრების საფუძვლად რომელიმე დებულება თუ გაქვთ არჩეული.**

— არასოდეს მიხელმძღვანელია ყველა რელიგიაში ხაზგასმული მიტევების პრინციპით. „თორაში" ბევრი რამ ფანტასტიკური წერია, ზოგი რამ ჩემთვის მიუღებელია. მაგალითად, მდიდარ ადამიანს ქედი მოუხარე და პატივი ეციო. რატომ უნდა მოვუხარო ქედი, ეგებ, ვინმემ ამიხსნას. იმიტომ, რომ მდიდარია? მდიდარ ადამიანს პატივს ვცემ იმიტომ, რომ პიროვნულად კარგი კაცია და არა იმიტომ, რომ ბევრი ფული აქვს. თუ არ ექნება, მაინც პატივს ვცემ, ეგებ, უფრო მეტადაც, იმიტომ, რომ კარგი ადამიანია.

რამდენ ადამიანს ვიცნობ, რომელიც კრისტალურად სუფთაა! მაგრამ მდიდარსაც კარგ კაცს ვიცნობ ბევრს. ფულით ვერ განვსაზღვრავ ადამიანის ღირსებას.

ამ თემაზე უწმინდესთანაც მისაუბრია. ვგეგმავ სპეციალურ კონცერტს მისი უწმინდესობისთვის. მეამაყება, რომ მისი სურვილით და ლოცვაკურთხევით გიტარისთვის დავამუშავე მისი „ავე მარია".

**და როგორც სიკეთით სავსე კაცმა თემურ ყვითელაშვილმა ჩვენი ეს საუბარი სასიამოვნო ფაქტებით დაასრულა:**

— ბევრი კარგი ამბავი მოხდა ბოლო დროს ჩემს ცხოვრებაში: გამოვიდა ჩემი რიგით მეცხრე ალბომი დივიდისა და სიდის სახით; ყავის წარმოების მსოფლიოში ცნობილმა ავტრიულმა კომპანია „იულიუს მაინლმა" წლეულს თავის ელჩად ამირჩია, ისრაელის ელჩმა საქართველოში ბატონმა **შაფთაი ცურმა** გადმომცა სახელმწიფო სიგელი ქართულ-ებრაულ ურთიერთობაში შეტანილი წვლილისთვის; ახალციხელობაზე ვიყავი მიწვეული, დიდი პატივით შემხვდა ხალხი, რა თქმა უნდა, დავუკარი მათთვის; მცხეთაში მქონდა ახლახან სოლო კონცერტი და ა.შ.

ასეთი ცხოვრებით ვცხოვრობ.

**დასასრულ თავისი ყველაზე დიდი ნატვრა გამანდო:**

— ძალიან მინდა, რომ ჩვენს ქვეყანაში დალაგდეს ცხოვრება. დაფასდეს წესიერება, პატიოსნება და ყველამ მიიღოს ის, რაც ეკუთვნის.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

## საკითხავი აი ეს არის

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ჯერ არსად, არც ერთს ქვეყანაში მაგალითი არ უნახავს კაცს, რომ რომელიმე ხალხი ან საზოგადოება ამაღლებულიყოს სხვისი დახმარებით, თუ არა თავისი საკუთარი შრომით და ჯანით. ადვილად შენაძენი, ნაპოვნი, ნაჩუქარი არც კერძო კაცს დააყრის ხეირს, არც მთელს საზოგადოებას. კაცისთვის და ქვეყნისთვის მარტო ის არის გამოსადეგი და ძვირფასი, რაც იმას თავისი საკუთარი შრომით, ოფლის ღვრით და ბრძოლით შეუძენია. მარტო ამგვარ შენაძენს აფასებს ის, მარტო იმით სარგებლობს გადაუჭარბებლად და დასვენებულად, მარტო იმას ინახავს ძვირფას საუნჯესავით, თავისი შთამომავლობისათვის გარდასაცემად“.

ცესკომ 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინასწარი შედეგები გამოაქვეყნა და ცხვირწინ ძველი სურათი დაგვიდო — „ციციკორეს“ წყალობით, ისევ გვიწევს არჩევანის გაკეთება ცუდსა და უარესს შორის.

სადღაა მამულის მსახურების წრფელი ან მხურვალე სურვილი, ვის სცალია მამულის გამოსადეგ ნაყოფიერ შრომაზე ფიქრისთვის...

არავის!

ვიცით, ვხედავთ, მაგრამ მაინც ვრჩებით გამოუსწორებელ მეოცნებე ერად. როგორც გიორგი ლეონიძე იტყოდა, „ცხარე მეოცნებედ“, რომელსაც „ცხოვრების სისასტიკემ სულში ვერ ჩაუქრო ოცნების ნაპერწკალი“ და რომელიც თავისივე შეთხზული უცნაური ოცნებებით იფარავს თავს მხეცივით შემოტეული სინამდვილისგან.

ელიოზისა არ იყოს, ჩვენც ველოდებოდით 28 ოქტომბერს ცის გახსნას, რათა ჯადოსნური ხის ნაყოფი გვეგემა და სიღარიბე სამუდამოდ ჩამოგვეშორებინა, მაგრამ გულხელდაკრეფილებმა, გასუსულებმა და გატრუნულებმა ვერ შევამჩნიეთ, წინასწარ რომ იზრუნეს ჩვენი სიღარიბის უკვდავებაზე — საქართველო მარიტასავით ისევ გაიყიდა „წითელ თუმნიანებზე“. სამშობლოს ფეხზე დაყენება და გაძლიერება კი მხოლოდ მის შვილებს შეუძლიათ. „ჯერ არსად, არც ერთს ქვეყანაში მაგალითი არ უნახავს კაცს, რომ რომელიმე ხალხი ან საზოგადოება ამაღლებულიყოს სხვისი დახმარებით... დროა, თვალი გამოვახილოთ და დავრწმუნდეთ, რომ დამხმარებელი და გამკეთებელი ჩვენ ჩვენს თავზე უკეთესი არასოდეს არ გველირსება. დროა, დავრწმუნდეთ, რომ მარტო დაუშრობელი და დაუღალავი შრომა მოგვცემს კეთილდღეობას და წარმატებას აღირსებს ჩვენს ქვეყანას“, — ეს აზრია გატარებული ნიკო ნიკოლაძის წერილში, რომელსაც, ვფიქრობთ, მკითხველი ინტერესით გაეცნობა.

# საქართველო მარიტასავით ისევ გაიყიდა «წითელ თუმნიანებზე»

## «მტერმა კი არ დაგვცა, ჩვენმა საკუთარმა «რწმუნების დაკარგვამ» წაგვახდინა»



**დროა, თვალი გამოვახილოთ და დავრწმუნდეთ, რომ დამხმარებელი და გამკეთებელი ჩვენ ჩვენს თავზე უკეთესი არასოდეს არ გველირსება... თუ ჩვენ დოყლაპიასავით პირდაღებული სხვის შემწეობას შევაჩერდებით, მაშინ, ბევრი რამეც რომ მოგვანიჭონ, ჩვენ იმით ვერ ვისარგებლებთ. მაშინ ამ მონიჭებულსაც ჩვენ სხვა ვინმე მეზობელი, ჩვენზე უფრო ჭკვიანი და მოხერხებული ხელიდან გამოგვტაცებს და თავისთვის მოიხმარს**

**„როგორ თუ რამ დასცაო ჩვენი მამული?!“ — შემომკივლებს ვინმე ცრუპატრიოტი. — „იმან დასცა, რომ პატარა ხალხი ვიყავით და დიდრონები შემოგვესიაო. ვერ გაუძელით, და ის იყოო ჩვენი დაცემის მიზეზი!“**

**— მოითმინეთ, ბატონო, პატარა, ძლიერ პატარა ხალხი იყო საქართველოს ხალხი, სპარსელებთან შედარებით, მაგრამ ხომ ვერ დასცა ჩვენი მამული დიდმა სპარსეთმა? დიდრონი ხალხი გახლდნენ ის ხალხნი, რომელნიც ჩვენს ქვეყანას მურვან-ყრუმ, ჩინგის-ყაენმა ან თემურ-ლენგმა დაასია, მაგრამ ამ ხალხებმა ხომ ვერ მოსპეს ვერც ჩვენი განვითარებული არსებობა, ვერც ჩვენი თვისტომობა? ოსმალეთი ჩვენზე ათასჯერ უფრო ძლიერი და დიდი იყო, მაგრამ ხომ ვერ მოგვერია მაინც?! ხომ ვერ ამოხოცა ისტორიიდან ჩვენი სახელი და დიდება? თუ კი ოცი საუკუნე გავუძელით ამდენ დიდრონ ხალხებს, თუ კი იმ ოცი საუკუნის ბრძოლამ იმდენათაც ვერ დაგვღალა, რომ მათს დამძლევს ჩვენს ქვეყანას იმისთანა ბრწყინვალე და სახელოვანი მეფობა ეღირსა, როგორც ერეკლე მეორისა, რომლის მსგავსიც ჩვენ დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის იქით აღარ გვინახავს, ნუთუ ეს არ მოასწავებს, რომ ამ შემთხვევაში მარტო დაღალულობას კი არ უმოქმედებია, მარტო მცირე ტომობას კი არ უმუშავნია? პატარა ხალხი ვიყავით, დიდრონებთან შეტაკებული, დიდრონების მებრძოლი, მაგრამ მაინც ვძლევდით, მაინც მარჯვენი ვიყავით.**

რა იყო მიზეზი?

ის იყო, რომ თვითონ ეს დიდრონი ხალხი ჩვენ მარტო რიცხვით გვერეოდნენ, და ხანდისხან მარტო იმით გვჯობნიდნენ, რომ თითო ჩვენს მეომარს ოცი ოსმალოს ან სპარსეთის მხედარი წინ უხვდებოდა. მაგრამ თითო-თითოდ რომ შეგვედარებია ერთი ჩვენი მხედარი ერთი მტრის მხედრისთვის, ეს უკანასკნელი ვერაფრით ვერ სჯობნიდა პირველს. ორივეს ერთნაირი იარაღი ჰქონდა, ორივე ერთნაირად გაზრდილი იყო, ერთნაირი სწავლის პატრონი... ჩვენს მხედარს ის უპირატესობაც კი ჰქონდა მტრისაზე, რომ თავისი მამულის, სახლკარის, ცოლ-შვილის დასაცველად იბრძოდა, და მტრისა კი ომობდა სხვის ასაკლებად!.. მტრისთვის სულ ერთი იყო, აიკლებდა ქართველს თუ ლეკს, თუ ოსს. რაკი იმას ქართველი გამწარებულად უწინააღმდეგებდა, მტერი მას თავს ანებებდა და სხვაგან მიდიოდა, იქნება გამარჯვება და აკლება იქ უფრო ადვილად შევიძლოო... ყველამ იცის, რომ სიდიდე ძალას შეადგენს. **ომში და ბრძოლაში ის თავგანწირულობა, რომლითაც კაცი თავის ოჯახსა და კერას იცავს... ეს გრძნობა ხშირად გვამარჯვებინებდა მტერზე, ამ გრძნობით ვსჯობდით მტერს, ეს გრძნობა იყო იმის მიზეზი, რომ ასი ქართველი ათას ამკლებს ერეოდა და უკუაქცევდა... თორემ სხვა მხრით ყველაფერში სწორნი ვიყავით მტერთან, რიცხვის ან რაოდენობას გარდა.**

ასე წარმოებდა ჩვენი ცხოვრება, მაგრამ ბოლოს ქვეყნის ისტორიაში ახალი ძალები გაჩნდა. ზოგიერთი ხალხი მეცნიერებამ ერთობ დააწინაურა, და ვინც ამ მეცნიერებას არ მიეკარა, ის უწინდელივით სუსტი დარჩა. ომის ხასიათიც შეიცვალა. ჯარებისთვის ახალი იარაღი შემოიღეს, რომლის გაკეთებას და ხმარებას დიდი ცოდნა და მოხერხება სჭირდებოდა. ისეთი ზარბაზნები მოიგონეს, რომელსაც წინ ვეღარ დაუდგებოდა ვერც ერთი ჩვენი ციხე-დარბაზი. ჩვენი მამა-პაპური ციხეები ქართლში და იმერეთში თათრებმა ამ ახალი ზარბაზნებით ცხრა მთის სიშორიდან დაგვინგრიეს. იმათ ევროპაში ეშოვნათ ეს ზარბაზნები და ჩვენ არც კი ვიცოდით, თუ ამნაირი მანქანა სადმე არსებობდა... და რაც მტრის რიცხვს ჩვენთვის ოცი საუკუნის განმავლობაში ვერ დაეკლო, ის ოცი წლის განმავლობაში მტრის დაწინაურებამ წაგვართვა: **მაშინ უცხოეთის წინ დაიჩოქა ჩვენმა გონებამ, რაკი სცნო, რომ უცხოეთი ჩვენზე უფრო ოსტატი, უფრო მეცნიერი, უფრო გონიერი ყოფილა. რაკი ჩვენ რწმუნება დავკარგეთ ჩვენს თავზე და გონებაზე, რაკი ჩვენს საკუთარ გულში ბრმად და ხეპრედ ვიცანით თავი, რაკი ის მორალური ძალა ხელიდამ გაგვიცურდა, რომელიც ამაყად შეგვატაკებდა ხოლმე ათჯერ თუ ასჯერ უფრო მომეტებულ მტერს, მას აქით ჩვენ მოვტყდით და წავხდით. მტერმა კი არ დაგვცა, ჩვენმა საკუთარმა „რწმუნების დაკარგვამ“ წაგვახდინა.** აღარ გვწამდა ჩვენი თავი, უცხოეთი კი ჩვენს თვალში რაღაც უზენაეს ქმნილებად იხატებოდა. აი, მარტო მაშინ გაგვიჯდა ტვინში ის პანიკა, ის ახალი, უცნობი ძალის შიში, რომელიც ხშირად მილიონებისაგან შემდგარ ხალხს ათას კაცს რომ უმორჩილებს...

აი, ბატონო ჩემო ცრუპატრიოტებო, რამ დაჩაგრა, რამ დასცა და უკან დასწია ჩვენი ქვეყანა. უკან დასწიაო, რომ ვსთქვი, სწორი სიტყვა არ მიხმარია. დამიჯერეთ, დღევანდელი საქართველო ათასჯერ უფრო წინ წაწეულია იმ საქართველოზე, რომელიც მეთექვსმეტე ან მეჩვიდმეტე, ან მეთვრამეტე საუკუნეებში იყო. საუბედუროდ, მაშინ ჩვენი მეზობლებიც ჩვენსავით განვითარებული და განათლებული იყვნენ, და არა ჩვენზე უმეტესად.

**ნუთუ შესაძლებელია სხვისი ჯობნა, თუ კი ჩვენ ამ სხვას არ გავიცნობთ? ნუთუ მარტო ის დაგვაწინაურებს, თუ ჩინეთის კედლით შემოვსაზღვრეთ ჩვენი ქვეყანა? თუ კი სხვის მწერლობას არ შევისწავლით, სხვის მეცნიერებას არ შევიძენთ, სხვის გამოცდილებას არ დავიმკვიდრებთ, ნუთუ მარტო ძველი ჩვენი ენის გაზეპირებით, ძველი ხელნაწერების ტრიალით, ძველი ჩვეულების გახსენებით შეგვეძლება იმ ძალის მოსპობა, რომელიც სხვებთან გაგვასწორებს და სხვის პატივს შეგვძენს? ნუთუ მარტო ქართული ენის შემწეობით შეგვეძლება ჩვენ — ან შეიძლება ჩვენს ახალგაზრდობას — ის მეცნიერება შეიძინოს მოკლე დროში, რომელიც სხვებს მთელი საუკუნეების მანძილზე მოუგროვებიათ? ნუთუ პატრიოტულ გრძნობას ახშობს ან სდევნის სხვისი ენის შესწავლა, სხვისი ცხოვრების გაცნობა? ნუთუ ჯორჯ ვაშინგტონი ნაკლები ან უხეირო პატრიოტი იყო იმით, რომ ფრანგული ენა იცოდა ან ინგლისის კარგი და ავი ჩინებულად შესწავლილი რომ ჰქონდა?**

რასაკვირველია, ჩინებული საქმე იქნებოდა, ჩვენ რომ ახლა საშუალება გვქონდეს, მთელი ევროპის მეცნიერება გადავცეთ ჩვენს ხალხს ან ჩვენს ახალგაზრდობას ქართულ ენაზე.

**დროა, თვალი გამოვახილოთ და დავრწმუნდეთ, რომ დამხმარებელი და გამკეთებელი ჩვენ ჩვენს თავზე უკეთესი არასოდეს არ გველირსება. დროა, დავრწმუნდეთ, რომ მარტო დაუშრობელი და დაუღალავი შრომა მოგვცემს კეთილდღეობას და წარმატებას აღირსებს ჩვენს ქვეყანას. ჩვენ ჩვენი ვიმეცადინოთ, ჩვენი ქვეყნისთვის ვიზრუნოთ, მისი მდგომარეობა ვაუმჯობესოთ, და მაშინ, თუ ვინმე მოინდომებს ჩვენს დახმარებას და ხელის მომართვას, ხომ უკეთესი; თუ არ მოინდომებს, ის ჩვენი ნაშრომი და შენაძენი ხომ ხელიდან მაინც არ წაგვივა, და ისევ ჩვენ დაგვრჩება. და თუ ჩვენ თვითონ არ ვეცდებით, თუ ჩვენ დოყლაპიასავით პირდაღებული სხვის შემწეობას შევაჩერდებით, მაშინ, ბევრი რამეც რომ მოგვანიჭონ, ჩვენ იმით ვერ ვისარგებლებთ. მაშინ ამ მონიჭებულსაც ჩვენ სხვა ვინმე მეზობელი, ჩვენზე უფრო ჭკვიანი და მოხერხებული ხელიდან გამოგვტაცებს და თავისთვის მოიხმარს, იმიტომ რომ ის ჩვენზე უფრო გამოცდილი და დახელოვნებული იქნება ყოველი სიკეთის და საუნჯის შეძენაში და განსაკუთრებით გამოყენებაში.**

**ჯერ არსად, არც ერთს ქვეყანაში მაგალითი არ უნახავს კაცს, რომ რომელიმე ხალხი ან საზოგადოება ამაღლებულიყოს სხვისი დახმარებით, თუ არა თავისი საკუთარი შრომით და ჯანით. ადვილად შენაძენი, ნაპოვნი, ნაჩუქარი არც კერძო კაცს დააყრის ხეირს, არც მთელს საზოგადოებას. კაცისთვის და ქვეყნისთვის მარტო ის არის გამოსადეგი და ძვირფასი, რაც იმას თავისი საკუთარი შრომით, ოფლის ღვრით და ბრძოლით შეუძენია. მარტო ამგვარ შენაძენს აფასებს ის, მარტო იმით სარგებლობს გადაუჭარბებლად და დასვენებულად, მარტო იმას ინახავს ძვირფას საუნჯესავით, თავისი შთამომავლობისათვის გარდასაცემად. ნაპოვნი და ნაწყალობები კი, თითქმის ყოველთვის, ისევ ისე ადვილად იკარგება, როგორც ადვილად ნაშოვნი იყო...**

მაცხოვარმა ბრძანა, — როცა ჰკითხეს, რომელს ტაძარში უნდა ვილოცოთ, რომ ღმერთთან უფრო ადვილად მიაწიოსო, — **„ოღონდ ლოცვა გულწრფელი ან მხურვალე იყოს და, სადაც არ უნდა ითქვას, ყოველგნით ზეცას ავაო: ტაძარშიაც რომ არ იყოს კაცი, თუნდ მინდორში ლოცულობდეს წრფელის გულით, ღმერთი მის ლოცვას მაინც შეისმენსო“.**

ჩვენს მდგომარეობას მეტის-მეტად შეეფერება ეს მცნება. დიახ, სადაც უნდა ვისწავლოთ, ვის სკოლაშიც არ უნდა მოვემზადოთ, **ოღონდ კი გულში მამულის მსახურების წრფელი ან მხურვალე სურვილი ვიქონიოთ და ჩვენი შრომა ნაყოფიერი იქნება, მამულს გამოადგება...** საუბედუროდ, ჩვენ ეს გულწრფელობა და გულმხურვალება ან უფრო სწორეთ ვსთქვათ, ვნება გვაკლია.

**ნიკო ნიკოლაძე**

რუბრიკას უძღვება
**დარეჯან ანდრიაძე**

დედაქალაქის ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**კლდისუბანი გოგირდის აბანოების ნაწილს ჰქვია. ერთ-ერთ დოკუმენტშიც იგი ციხისკენაა მიწეული; უცნობი მღვდლის XVIII საუკუნის I ნახევრის ქართულ სამწყსოთა ნუსხაში მოხსენიებული „ფეთხაინის კლდისუბანი“ აკონკრეტებს ამ მიკროუბნის სახელწოდებას — ფეთხაინი ბეთლემის გვიანდელი, სახეცვლილი სახელწოდებაა, ამიტომ მას მოვიხსენიებთ ასე: ბეთლემის კლდისუბანი, ანუ მოკლედ — ბეთლემის უბანი.**

# კალა

**ასე ეწოდებოდა თბილისის გალავნით შემოსაზღვრულ უძველეს ნაწილს, წავკისწყლის მარცხენა ნაპირზე, ნარიყალას ქვევით, ანუ გალავნით შემოფარგლულ ქალაქს კალა ერქვა. ის ცენტრი იყო ქალაქისა, აქ მდებარეობდა სტრატეგიული და ადმინისტრაციული დანიშნულების ნაგებობანი.**

მატიანე აღნიშნავს, რომ პიტიახში მოვიდაო „ტფილისად და კალა-ციხედ“. შემდგომში ეს სახელწოდება გავრცელდა თბილისის გალავნით შემოზღუდულ ძირითად ნაწილზე. სამხრეთ-აღმოსავლეთით გალავანი მიუყვებოდა წავკისწყალს (მდინარის იმ ნაწილს, რომელიც დღეს მილებში მიედინება) და მთიან რელიეფზე განლაგებული რთული ფორტიფიკაციული სისტემის მეშვეობით ნარიყალას ბასტიონებს უერთდებოდა. ნარიყალადან კედელი ტეხილი ხაზით მიყვებოდა აღმოსავლეთისაკენ სალალაკის ქედს. შაჰ-ტახტთან გალავანი მკვეთრად უხვევდა ჩრდილოეთისკენ და საფეხურებად ეშვებოდა მთის ფერდობებზე, გასდევდა დღევანდელი შალვა დადიანისა და პუშკინის ქუჩების ხაზს. შემდგომ გალავანი კვლავ მკვეთრად იცვლიდა მიმართულებას და მტკვრისკენ ეშვებოდა. გალავნის ამ ნაწილის ფრაგმენტები გამოჩნდა ბარათაშვილის ქუჩის გაფართოებისას. სწორედ აქ, ქალაქის ჩრდილოეთი და დასავლეთი კედლების გადაკვეთაზე, იყო მოწყობილი ქალაქის ერთ-ერთი **დიღმის კარიბჭე** (სადაც ახლა ვერცხლის ქუჩა იწყება). ვახუშტი ბაგრატიონს თბილისის 1735 წლის გეგმაზე ერთმანეთის სიახლოვეს ორი კარიბჭე აქვს ნაჩვენები: **„მეიდნის კარი ხიდით“** და **„ქვემო კარი ხიდით“.** თბილისის შემდგომ გეგმებზე კი მხოლოდ პირველ მათგანს უჩვენებენ **„მუხრანის კარის“** სახელწოდებით. როგორც ჩანს, „ქვემო კარი“ ამოაშენეს გასულ საუკუნეში ფორტიფიკაციული ნაგებობების შეკეთებისას. ქალაქის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კარი — **კოჯრისა** („კოჟრის კარი“) მდებარეობდა დასავლეთ კედელში, იქ, სადაც დღეს ლესელიძის ქუჩა ერწყმის თავისუფლების მოედანს. ქალაქის გალავნის კიდევ ორი კარიბჭე იყო საწინააღმდეგო მხარეს: **აბანოების კარი**, რომელიც აბანოების უბნიდან უშუალოდ კალაში მიდიოდა, და **განჯის კარი**, რომელიც სამხრეთით, ნარიყალას ძირში იყო განლაგებული.

ამგვარად, **კალაში შემოსვლა შეიძლებოდა სამხრეთიდან განჯის, აღმოსავლეთიდან აბანოების, დასავლეთიდან კოჯრის, ჩრდილო-დასავლეთიდან დიღმის და ჩრდილოეთიდან მუხრანის კარიბჭეებით.**

პირველ გრაფიკულ საბუთს, რომელიც ზუსტად გადმოგვცემს ფეოდალური თბილისის ქალაქთმშენებლურ სტრუქტურას, ვახუშტი ბატონიშვილის მიერ შედგენილი გეგმა წარმოადგენს. მართალია, ვახუშტი ბაგრატიონი არ იძლევა ქუჩების ზუსტ ქსელს, მაგრამ იგი მაინც გამოყოფს ზოგიერთ მათგანს, რომელთაც, როგორც ჩანს, პირველხარისხოვანი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. კალაში ორი მოედანი გამოიყოფა: **ციხის (თათრის) და ბატონის (მეფის).** ბატონის მოედნის მნიშვნელობა მას შემდეგ გაიზარდა, როდესაც მეფე როსტომმა ახალი სასახლე ააშენა ამ მოედნის ერთ მხარეზე.

როსტომ მეფემდე სამეფო სასახლე იყო ნარიყალაში, ისანში, სეიდაბადში. მაგრამ იმის გამო, რომ ნარიყალაში ძირითადად სპარსელი მეციხოვნეები იდგნენ, როსტომ მეფემ სპარსული გარნიზონის გარემოცვაში ყოფნა არ ისურვა და 1638 წელს სიონისა და ანჩისხატის ეკლესიებს შორის მდებარე მოედანზე სასახლე ააგო, რის გამოც სასახლის წინ ტერიტორიას სამეფო უბანი, ხოლო მიმდებარე მოედანს **ბატონის, ანუ მეფის მოედანი** ეწოდა.

1956-1957 წლებში ერეკლე II-ის მოედანზე ჩატარდა არქეოლოგიური გათხრები. დადგინდა 4 ფენა, რომელთაგან უძველესი V საუკუნის პერიოდს მიეკუთვნება.

**დღევანდელი ლესელიძის ქუჩით ორ ნაწილად გაყოფილ ზემო და ქვემო კალაში მიკროუბნები იქ მდებარე ეკლესიების, ან სხვა გამორჩეული ღირსშესანიშნაობის, თუ მცხოვრებ პირთა და ადგილის გეოგრაფიული თავისებურებით იყო სახელდებული. სწორედ ამ უკანასკნელმა განსაზღვრა სოლოლაკის ქედზე შეფენილი უბნის სახელწოდება — კლდისუბანი,** რომელიც დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით, საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას მოიცავდა: დადიანის ქუჩიდან მოყოლებული კლდისუბნის წმინდა გიორგის მიმდებარე უბნამდე და უფრო აღმოსავლეთითაც. 1712 წლის წყალობის წიგნით ვახტანგ VI უბრუნებს აშხარბეგს კლდისუბანში სასახლეს, რომელიც გალავნის შიგნითაა. ეს ტერიტორია ქვემო კალას განაპირა სამხრეთ-დასავლეთის მონაკვეთში, იმავე **მელიქის უბანში** უნდა ვიგულისხმოთ. კლდისუბანი გოგირდის აბანოების ნაწილს ჰქვია. ერთ-ერთ დოკუმენტშიც იგი ციხისკენაა მიწეული; უცნობი მღვდლის XVIII საუკუნის I ნახევრის ქართულ სამწყსოთა ნუსხაში მოხსენიებული „ფეთხაინის კლდისუბანი“ აკონკრეტებს ამ მიკროუბნის სახელწოდებას — ფეთხაინი ბეთლემის გვიანდელი, სახეცვლილი სახელწოდებაა, ამიტომ მას მოვიხსენიებთ ასე: ბეთლემის კლდისუბანი, ანუ მოკლედ — ბეთლემის უბანი.

კალას ზედა და ქვედა კალად ყოფდა შუა ბაზარი. ზემო კალა მტკვრისპირა ნაწილი იყო, ქვემო კალა კი — სალალაკის ქედის ქვეშ შეფენილი უბანი. ზემო კალა სამეფო და დიდ აზნაურთა სამოსახლო იყო. ზემო უბანში იყო განლაგებული ქალაქის უმთავრესი ნაგებობები: სასახლეთა კომპლექსი, ქარვასლები (მეფის, თბილელის, მელიქის), ქართული ეკლესიები (**სიონი, ნათლისმცემელი, ანჩისხატი, კვირაცხოველი, ქრისტეშობის** და სხვ.), კათალიკოსის და ეპისკოპოსის ადგილსამყოფელები, თავადების (**ამილახვარის, მუხრან ბატონის, ქსნის ერისთავის, ორბელიანების, ციციშვილის, ზედგენიძის, აბაშიძისა** და სხვ.) სახლები. ამ უბნის ძირითად მოსახლეობას ქართველები შეადგენდნენ. მხოლოდ მე-18 საუკუნის დამდეგს აშენდა ზემო უბანში ერთადერთი სომხური ეკლესია — სურფნიშანი. ზემო კალას ცენტრი დღევანდელი ერეკლე II-ს მოედანი იყო. ამ ადგილს სხვადასხვა დროს ერქვა, მეფის ან ბატონის მოედანი, მოედნის ირგვლივ სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ადგილას იდგა მეფის სასახლე და რამდენიმე ეკლესია. ირგვლივ დიდგვაროვანთა სახლებით იყო გარემოცული და ამ უბანში, ძირითადად, ქართველები ცხოვრობდნენ....

უბრალო მოქალაქეები (ძირითადად, არაქართული მოსახლეობა) ქვემო კალაში ცხოვრობდა. ეს უბანი ზედა ფერდობზე იყო შეფენილი, მაგრამ, რადგან მტკვრის დინების ქვედა ნაწილში მდებარეობდა, ქვემო კალად იწოდებოდა. მისი ცენტრი **მეიდანი** იყო (გორგასლის დღევანდელი მოედანი). აქ როსტომ მეფის დროს ჩასახლებული მაჰმადიანები ცხოვრობდნენ. სომხებს შუა ბაზრის სავაჭრო რიგები ჰქონდათ ათვისებული. იქვე, სინაგოგის უკან არსებულ ქუჩაბანდებში, სახლობდნენ ებრაელები; ოდნავ მაღლა კი — კათოლიკე მისიონერები, რომელთა სამოსახლოს ფრანგთა ქუჩა ეწოდებოდა (დღევანდელი გია აბესაძის ქუჩა).

ამ უბანში ქართული და სომხური ეკლესიების, მეჩეთების გარდა, კათოლიკური ეკლესიაც (ე.წ. „ფრანგთა საყდარი“) იდგა.

კალას ზემო და ქვემო უბნები თბილისის ძირითადი რაიონები იყო. ისინი თავისთავად მრავალ მცირე უბნებად იყოფოდნენ. ამა თუ იმ უბნის დასახელება ასახავდა მოსახლეობის უმრავლესობის ეროვნულ შემადგენლობას („ქართველთა უბანი“, „მოგვთა უბანი“, „ურიათა უბანი“), ხელოსანთა საქმიანობას („მჭედლის უბანი“, „სამღებროს უბანი“, „სარიმაჯის უბანი“), ამ ტერიტორიაზე ნაგებობებს („ანჩისხატის უბანი“, „ნორაშენის უბანი“, „სიონის უბანი“, „ციხის კარის უბანი“) ან უბანში მცხოვრებთა ვინაობას („ცოცხალაანთ უბანი“, „ფირყულაანთ უბანი“, „ყორღანაანთ უბანი“, „ორბელიანის უბანი“.

ალა-მაჰმად-ხანის ურდოებმა კალას დიდი ნაწილი დაანგრიეს და გადაბუგეს. თუ არ ჩავთვლით საკულტო ნაგებობებს, კალას დღევანდელი განაშენიანება მთლიანად მე-19 საუკუნეშია ჩამოყალიბებული, თუმცა სარდაფები ბევრ შემთხვევაში ადრინდელია, ვინაიდან დანგრეულის აღდგენას ძველი საძირკვლების გამოყენებით აწარმოებდნენ.

ანჩისხატის ეკლესია







ბატონის ციხე



ბატონის მოედნის მნიშვნელობა მას შემდეგ გაიზარდა, როდესაც მეფე როსტომმა ახალი სასახლე ააშენა ამ მოედნის ერთ მხარეზე

სიონის ტაძარი



ეს უნდა ვიცოდეთ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დეკრეტის გამოცემით ნიუ-იორკი გახდა აშშ-ის მეხუთე ტერიტორია, სადაც დოკუმენტებში ნებადართულია „მესამე სქესის“ მითითება. კალიფორნიის, ვაშინგტონის, ნიუ ჯერსისა და ორიგონის შტატებში ეს ინოვაცია განვლილი ეტაპია.**



## ბრუკლინის ეპარქია პედოფილი მასწავლებლის მსხვერპლთ 27,5 მილიონ დოლარს გადაუხდის

**ეკლესიის მსახურის — ანჯელო სერანის გაუპატიურებულ 4 ბიჭს 27,5 მილიონ დოლარს გადაუხდიან, 6,8 მილიონს თითოეულს, — იუწყება პორტალი Daily News.**

სასამართლომ გაარკვია, რომ ეკლესიის ორი მღვდელი წლების განმავლობაში თვალს ხუჭავდა სერანოს გარყვნილ ქმედებაზე, როცა პატარა ბიჭებს ღამის გასათევად თავისთან იტოვებდა. ბრალდებული ბრუკლინის კათოლიკურ ეკლესიაში 2003-დან 2009 წლამდე მსახურობდა.

ეკლესიის მახლობლად ცხოვრობდა, ასწავლიდა კათეხიზმოს, რელიგიური განვითარების დირექტორი იყო და მუშაობდა მოხალისედ საზაფხულო ბანაკში. 2011 წელს მან აღიარა ბავშვის მიმართ ჩადენილი დანაშაული. ამჟამად სერანო 15-წლიან სასჯელს იხდის.



## «ნიუკასლის» ექსმწვრთნელს 20 წლით პატიმრობა მიუსაჯეს ყმაწვილებზე ძალადობისთვის

**2002 წელს იგი ციხეში იჯდა ახალგაზრდა ფეხბურთელების მიმართ სასტიკი მოპყრობის ბრალდებით.**

ინგლისურ საფეხბურთო კლუბ „ნიუკასლის“ ყოფილ მწვრთნელ **ჯორჯ ორმონდს** 20 წელიწადი მიუსაჯეს ყმაწვილებზე სექსუალური ძალადობის ბრალდებით, — იუწყება ბი-ბი-სი. ბავშვებს შორის უმცროსი მხოლოდ 11 წლისა იყო. სასამართლომ დაადგინა, რომ 62 წლის ორმონდი დამნაშავეა წარდგენილ 35 პუნქტში.

2016 წელს, როცა აგორდა სკანდალი ინგლისურ ფეხბურთში პედოფილიის არსებობის შესახებ, ბავშვების მწვრთნელ **ბარი ბენელს** 31 წლით პატიმრობა მიესაჯა.

# უზნეობა დემოკრატიის სახელით

## სქესი „X“: სოდომიტ-ტრანსგენდერებს განსაკუთრებულ დაბადების მოწმობებს მისცემენ



**ნიუ-იორკის მერმა ბილ დე ბლაზიომ გამოსცა ბრძანებულება, რომლითაც ნება დართეს შესაბამის უწყებებს, გასცენ დაბადების მოწმობები მესამე სქესის აღნიშვნით — არც მამრობითი, არც მდედრობითი — არამედ „მესამე“ სქესი ან სქესი „X“. ამით თურმე დაადგენენ გენდერულ იდენტურობას, რომელიც ტრადიციული დეფინიციის საზღვრებს სცილდება და ახალი რეალობით არის ნაკარნახევი.**

ამ სქესს, ცხადია, ვერავის მიაკუთვნებენ დაბადებისთანავე, ამიტომ ნებისმიერ მსურველს უფლება ეძლევა, მოწმობაში ჩაწეროს თავისი ტვინდამთხვეულობა, როცა საჭიროდ ჩათვლის. სამედიცინო ცნობის ან გამოკვლევის დასკვნის წარდგენა აუცილებელი არ არის. ამ დეკრეტის გამოცემით ნიუ-იორკი გახდა აშშ-ის მეხუთე ტერიტორია, სადაც დოკუმენტებში ნებადართულია „მესამე სქესის“ მითითება. კალიფორნიის, ვაშინგტონის, ნიუ ჯერსისა და ორიგონის შტატებში ეს ინოვაცია განვლილი ეტაპია.

ნიუ-იორკის მერი ბილ დე ბლაზიო ამაყობს იმით, რომ ორიენტაციაარეულებს ბოლოს და ბოლოს უფლება მიეცათ, იქონიონ დოკუმენტი, რომელშიც ზუსტად იქნება ჩაწერილი მათი სექსუალური იდენტურობა.

პედერასტების სამოთხე!



## ქალი, რომელიც ხელს არ უშლიდა ბოიფრენდს, თავის ათი წლის გოგონაზე ექალადა, 20 წლით ციხეში ჩასვეს



**ინდიანის მკვიდრი, 34 წლის ნიკოლას დიონ ტრეში წლების განმავლობაში სექსუალურად ძალადობდა თავისი საყვარლის — ჯენიფერ ჰენდის არასრულწლოვან გოგონაზე. ქალმა იცოდა, რაც ხდებოდა, მაგრამ ხმა არ ამოუღია მაშინაც კი, როცა მისი გოგონა დაორსულდა. დანაშაულს ფარდა რომ აეხადა, მოძალადეც და მისი საყვარელიც გისოსებს მიღმა მოათავსეს, — იუწყება Fox News.**

გამოძიებამ დაადგინა, რომ ტრეშმა გოგონაზე პირველად მაშინ იძალადა, როცა ის რვა წლის იყო. ორი წლის შემდეგ კი ბავშვი დაორსულდა. დედამ, რომელიც ამ დანაშაულის მოწმე იყო, თავის შვილს მოსთხოვა, ეს ყველაფერი თანაკლასელი ბიჭისთვის დაებრალებინა. პოლიციამ შეძლო სიმართლის დადგენა და პედოფილი დააპატიმრა. ამ უკანასკნელმა დანაშაული არათუ არ აღიარა, თავის საყვარელს (ბავშვის დედას) დააბრალა, რომ მან გოგონას თეთრეული მისი სპერმით საგანგებოდ დააბინძურა. გოგონამ განაცხადა, რომ ნიკოლასმა, სულ ცოტა, თხუთმეტჯერ იძალადა მასზე. სასამართლომ ნიკოლას დიონ ტრეშს 160 წლით პატიმრობა მიუსაჯა.

თავი ვერც დედამ დაიძვრინა — დაპატიმრების შემდეგ აღიარა თავისი დანაშაული. მას 20 წლით პატიმრობა მიუსაჯეს. გოგონას ბიჭი შეეძინა. ახალშობილი და მისი დედა სხვა ოჯახებში გაანაწილეს.

## გაერომ გამოსცა დირექტივა ჰომოსექსუალიზმის სწავლების შესახებ

**გარყვნილი ადამიანების ზეგავლენით გაერომ ძლიერი დარტყმა მიაყენა ოჯახსა და ბავშვების ჯანმრთელობას: გამოსცა „სექსუალურ საკითხებში ბავშვების განათლების საერთაშორისო ტექნიკური სახელმძღვანელო“, რომელიც აუქმებს მშობლების უფლებებს და ბავშვების დემორალიზაციას ახდენს ჰომოსექსუალების გახრწნილი იდეოლოგიის თავს მოხვევის გზით.**

ამერიკელების წინადადებით, გაერომ მიიღო და გამოაქვეყნა საბავშვო ბაღების აღსაზრდელებისა და მოსწავლეებისთვის სექსის სწავლების ახალი, „ყოვლისმომცველი“ რეკომენდაციები. ეს დოკუმენტი ავალებს საბავშვო ბაღის აღმზრდელებსა და სკოლის მასწავლებლებს, შთაუნერგონ ბავშვებს დიდ დასავლეთში აუცილებელი „ჰომოსექსუალების გენდერული იდეოლოგია და მათი გაუკუღმართებული პრაქტიკა“. info-russ იუწყება, რომ ამერიკელმა მშობლებმა ეს აგრესიული დოკუმენტი შეაფასეს, როგორც „გაეროს სრულმასშტაბიანი და ტოტალური თავდასხმა (შეტევა) მშობლების უფლებებსა და ტრადიციულ ზნეობაზე“ ბავშვების თანამედროვე თაობის „მორალურად გახრწნის“ მიზნით.

გაეროს წევრი რიგი ქვეყნების წინააღმდეგობის მიუხედავად, აღნიშნული დოკუმენტი მსოფლიოს ყველა ქვეყანას ურჩევს, პროპაგანდა გაუწიონ აბორტების გაკეთებას მშობლებისთვის შეტყობინების გარეშე და ჰომოსექსუალურ გახრწნილობას ბავშვებში (ხუთი წლიდან დაწყებული) მსოფლიოს ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

მეცნიერები მიგვითითებენ, რომ გაეროს მიერ რეკომენდებული „ბავშვთა სექსუალიზაციის ახალი სტანდარტების“ მთავარი საშიშროება მომავალი თაობის მსოფლმხედველობაში ტრადიციული ზნეობრივი ნორმების კარდინალური შეცვლაა.



**ფინეთი — ეს ეკონომიკურად მძლავრად განვითარებული ქვეყანა, უარს ამბობს ნატოში ინტეგრაციაზე, რადგან იცის, რომ ასეთ შემთხვევაში ორი დიდი სახელმწიფოს — აშშ-ისა და რუსეთის — კონფრონტაციაში ჩათრეული აღმოჩნდება, საქართველოს ხელისუფლება კი, უკვე წლებია, ყველაფერს აკეთებს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში ინტეგრაციისთვის...**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ფინელების უდიდესი ნაწილი ნატოს წევრობის წინააღმდეგია

## «უაზრობა იქნება, ფინეთი ორი დიდი სახელმწიფოს კონფრონტაციაში მონაწილეობდეს»

**ფინურმა ჟურნალმა Rauhan Puolesta -მ („მშვიდობისთვის“) გამოაქვეყნა სტატია, რომელიც მიუძღვნა ნატოს სწავლება Trident Juncture -2018-ს. გამოცემა წერს, რომ ეს სწავლება კიდევ უფრო ძაბავს ვითარებას რეგიონში. ფინურ ჟურნალს მოჰყავს ციფრები, რომლებიც ასახავს ფინელი საზოგადოების განწყობას. გამოცემა იუწყება, რომ ფინელების მხოლოდ 20% უჭერს მხარს ქვეყნის შესვლას ნატოში.**

სტატიაში გამოთქმული თვალსაზრისის თანახმად, საერთაშორისო ვითარების გამწვავების პირობებში ფინეთისთვის უაზრობა იქნება, დათანხმდეს ორი სუპერსახელმწიფოს კონფრონტაციაში მონაწილეობას. ფინეთი თავისი მოქმედებებით უნდა შეეცადოს დაძაბულობის შემცირებას და ყურადღების კონცენტრაცია უნდა მოახდინოს იმაზე, რომ ითამაშოს შუამავლის როლი ორ დიდ სახელმწიფოს შორის საკამათო საკითხების გადაწყვეტისას. ამის კარგი მაგალითია სამიტი ჰელსინკში და მისი შესაძლო გაგრძელება.

აქ აღსანიშნავია ერთი რამ: ფინეთი — ეს ეკონომიკურად მძლავრად განვითარებული ქვეყანა, უარს ამბობს ნატოში ინტეგრაციაზე, რადგან იცის, რომ ასეთ შემთხვევაში ორი დიდი სახელმწიფოს — აშშ-ისა და რუსეთის — კონფრონტაციაში ჩათრეული აღმოჩნდება, საქართველოს ხელისუფლება კი, უკვე წლებია, ყველაფერს აკეთებს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში ინტეგრაციისთვის...

ჟურნალი Rauhan Puolesta — ეს არის გამოცემა პოლიტიკურად და რელიგიურად დამოუკიდებელი საზოგადოებრივი ორგანიზაცია ფინეთის მშვიდობის კომიტეტისა, რომელიც 1949 წელს შეიქმნა. კომიტეტი მუშაობს ნატოს ან ევროკავშირის სამხედრო ბლოკში ფინეთის შესვლის წინააღმდეგ და ფინეთისთვის საუკეთესო არჩევნად ნეიტრალიტეტს მიიჩნევს.

გავრცელებული ინფორმაციით, ნატოს სწავლება — Trident Juncture -2018-ში 31 ქვეყანა მონაწილეობს. მათგან 29 ქვეყანა ნატოს წევრია, დანარჩენი 2 — შვედეთი და ფინეთია. სწავლებაში მონაწილეობს 50 ათასი სამხედრო მოსამსახურე, 10 ათასი ერთეული საბრძოლო ტექნიკა, 250 თვითმფრინავი და 65 სამხედრო ხომალდი, მათ შორის — ამერიკული ატომური ავიამზიდი „ჰარი ტრუმენი“.




**საერთაშორისო ვითარების გამწვავების პირობებში ფინეთისთვის უაზრობა იქნება, დათანხმდეს ორი სუპერსახელმწიფოს კონფრონტაციაში მონაწილეობას. ფინეთი თავისი მოქმედებებით უნდა შეეცადოს დაძაბულობის შემცირებას და ყურადღების კონცენტრაცია უნდა მოახდინოს იმაზე, რომ ითამაშოს შუამავლის როლი ორ დიდ სახელმწიფოს შორის საკამათო საკითხების გადაწყვეტისას. ამის კარგი მაგალითია სამიტი ჰელსინკში და მისი შესაძლო გაგრძელება**

# ჩინეთში მოსახლეობას გადასახადებს უმცირებენ

**2019 წლის იანვრიდან ჩინეთში დაიწყება მოსახლეობისთვის გადასახადების თანმიმდევრული შემცირება. გადასახადების ბაზიდან გამოიქვითება გასავლები მედიცინაზე, განათლებაზე, საცხოვრებლის კრედიტებსა და სხვ., — იუწყება ჩინეთის სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტო „სინხუა“.**



საგადასახადო გამოქვითვები 1 ათასი იუანიდან (144 დოლარი) 2 ათას იუანამდეა და დამოკიდებულია გასავლების ხასიათზე. მაგალითად, ბავშვების განათლებისთვის გაწეული ხარჯები შეიძლება არ დაიბეგროს, თუ ეს თანხა წელიწადში 12 ათას იუანს შეადგენს 1 ბავშვზე. ჩინელები გადასახადს არ გადაიხდიან 60 წელზე ნაკლები წლოვანების მშობლებისთვის დახარჯული 24 ათასი იუანისთვის. იმ შემთხვევაში, თუ სამედიცინო დანახარჯები დაზღვევას 15 ათასი იუანით აჭარბებს, გადასახადების დაქვითვიდან ამოღებული იქნება სამედიცინო მომსახურებისთვის დახარჯული 60 ათასი იუანი. საცხოვრებელზე გადასახადები მცირდება 800-დან 1200 იუანამდე, დასახლებული პუნქტის ზომის მიხედვით.

ადრე უკვე გამოცხადებული იყო, რომ მინიმალური ყოველთვიური შემოსავალი, რომელიც დაიბეგრება, 3,5 ათასიდან 5 ათას იუანამდე (715 დოლარი) მოიმატებს.

# «აშშ-მა და ევროკავშირმა გააქტიურეს მუშაობა სომხეთში»

**დასავლეთი ყველაფერს აკეთებს, რათა სომხეთი რუსეთს მოსწყვიტოს და თავის ორბიტაზე გადაიყვანოს, ფსონს ახალგაზრდობაზე დებს და, როგორც ჩანს, ეს გზა ყველაზე შედეგიანია**

**ამ დღეებში ერევანში მიმდინარეობს საგანმანათლებლო გამოფენა, რომლის ფარგლებში სომხეთში აშშ-ის საელჩოს თანამშრომლები აღწერენ აშშ-ში სწავლის მომხიბვლელ პირობებს. იქ ხომ ხშირად უფასოდ გზავნიან სასწავლებლად და სტიპენდიასაც აძლევენ.** გავრცელებული ინფორმაციით, ანალოგიური გამოფენა იმართება საქართველოში, ყაზახეთში, უკრაინაში, აზერბაიჯანსა და უზბეკეთში. ანალოგიური პროგრამით მუშაობენ აფრიკაში, აზიასა და ლათინურ ამერიკაშიც. ამერიკელები ამბობენ, რომ მათ გახსნეს თავიანთი უმაღლესი სასწავლებლის ფილიალები სომხეთსა და საქართველოში და იქ აქტიურად ეპატიჟებიან ახალგაზრდებს.

აშშ-მა და ევროკავშირმა გააქტიურეს მუშაობა სომხეთში, რათა ის საბოლოოდ მოსწყვიტონ რუსეთს და თავიანთ ორბიტაზე გადაიყვანონ. დასავლეთი ფსონს ახალგაზრდობაზე დებს და, როგორც ჩანს, ეს გზა ყველაზე შედეგიანია.

# რუსეთი და ბელარუსი აერთიანებენ საგადასახადო ბარათების სისტემას და ავითარებენ ფინანსური შეტყობინებების გადაცემის სისტემას (SWIFT-ის ალტერნატივა)

**„რუსეთის ცენტრალურმა ბანკმა, ბელარუსის ნაციონალურმა ბანკმა და მოკავშირე სახელმწიფოების კომერციულმა ბანკებმა დაიწყეს მუშაობა ეროვნული საგადასახადო სისტემების სისტემათაშორის ინტეგრაციაზე, რაც პლასტიკური ბარათების — „მირ“-ისა და „ბელკარტ“-ის — უფრო აქტიურად გამოყენების შესაძლებლობას იძლევა“, — განაცხადა ბელარუსის ეროვნული ბანკის თავმჯდომარის მოადგილემ დიმიტრი კალეჩიცმა.**




ბელარუსის ეროვნული ბანკის თავმჯდომარის მოადგილემ, აგრეთვე, განაცხადა, რომ საგადასახადო სისტემების სისტემათაშორისი ინტეგრაციის გარდა მიმდინარეობს მუშაობა საგადასახადო ბარათ „ბელკარტ“-ის ემისიების გადასატანად EMV სტანდარტის ბარათზე, რაც გააუმჯობესებს არა მხოლოდ მფლობელის დაცვას, რომელიც, მაგნიტური ლენტის გარდა, მიიღებს „ჩიპსაც“, არამედ გააფართოებს სერვისებს სისტემა „მირ“-ის ოპერატორის მიერ დანერგილი სპეციფიკაციების წყალობით.

სტანდარტ EMV-ის პლასტიკურ ბარათს, დიდი ხანია, იყენებენ ბელარუსის ბანკები. ეს ბარათები კარგად იცავს მფლობელებს ტერმინალების გამოყენების მომენტში ინფორმაციის გაჟონვისგან.

**ეროვნული საგადასახადო სისტემების — „მირ“-ისა და „ბელკრატ“-ის შექმნა განპირობებული იყო დასავლეთის ქვეყნების მხრიდან დაწესებული სანქციებით, რომლებიც პრობლემებს უქმნიდნენ საერთაშორისო სისტემების — Visa-სა და MasterCard-ის — ბარათების მფლობელებს.**

ამასთანავე, 26 ოქტომბერს, მეორე დღეს, მას შემდეგ, რაც რუსეთმა და ჩინეთმა განაცხადეს ურთიერთანგარიშსწორების მოცულობის გაზრდა რუბლებსა და იუანებში (ბოლო სამი წლის განმავლობაში ამ მიზნის მისაღწევად ბევრი რამ გაკეთდა და მნიშვნელოვანი პროგრესი შეინიშნება) და ამით თავიანთი ეკონომიკის დამოკიდებულების შემცირება დოლარის მიმართ, რუსეთის ფედერაციის ცენტრალურმა ბანკმა გაავრცელა ცნობები საერთაშორისო საგადასახადო ქსელ SWIFT-ის ალტერნატივაზე. როგორც ცნობილია, SWIFT-ში დომინანტია აშშ.

მოსკოვმა ამ პროექტზე მუშაობა დაიწყო 2014 წელს, როცა რუსეთისთვის დაწესებულმა სანქციებმა წარმოაჩინეს საფრთხე, რომ ქვეყნის უდიდესი ბანკები შეიძლება დარჩენილიყვნენ სისტემა SWIFT-ის გარეშე, რომელსაც, მიუხედავად იმისა, რომ ბაზირებულია ბელგიაში და პოლიტიკურად ნეიტრალურად ითვლება, აშშ-ის ფინანსთა სამინისტრო აკონტროლებს. და ახლა რუსულმა სისტემამ მიაღწია განვითარების კიდევ ერთ მნიშვნელოვან ეტაპს — ის მზად არის, ჩართოს უცხოელი პარტნიორები დედოლარიზაციის პროცესში, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო საფინანსო სისტემაზე ზემოქმედების ბერკეტებს მოუსპობს. ეს თქვა რუსეთის ფედერაციის ცენტრალური ბანკის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ოლგა სკორობოგატოვამ, რომელმაც უფრო ადრე განაცხადა, რომ ალტერნატიული საგადასახადო სისტემის მეშვეობით უცხოურ ფირმებს შეუძლიათ, აწარმოონ ბიზნესი სანქციადაწესებულ რუსულ კომპანიებთან.

**მოსკოვმა ამ პროექტზე მუშაობა 2014 წელს დაიწყო, როცა რუსეთისთვის დაწესებულმა სანქციებმა წარმოაჩინა საფრთხე, რომ ქვეყნის უდიდესი ბანკები შეიძლება დარჩენილიყვნენ სისტემა SWIFT-ის გარეშე, რომელსაც, მიუხედავად იმისა, რომ ბაზირებულია ბელგიაში და პოლიტიკურად ნეიტრალურად ითვლება, აშშ-ის ფინანსთა სამინისტრო აკონტროლებს. და ახლა რუსულმა სისტემამ მიაღწია განვითარების კიდევ ერთ მნიშვნელოვან ეტაპს — ის მზად არის, ჩართოს უცხოელი პარტნიორები დედოლარიზაციის პროცესში, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო საფინანსო სისტემაზე ზემოქმედების ბერკეტებს მოუსპობს**

გვერდი მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

ყველაზე ყველაზე...
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სფინქსის წარმოშობის ძირითადი ჰიპოთეზა არის ის, რომ 4 ათასი წლის წინათ შექმნეს ეგვიპტელებმა, მაგრამ ექსპერტიზის შედეგად დადგინდა, რომ სფინქსი გაცილებით ძველია. ის შეიძლება იყოს 10 ათასი წლის. ამას გარდა, გაირკვა, რომ სფინქსის შიგნით არის გვირაბების ქსელი, რომელიც ჯერ კარგად შესწავლილი არ არის.**

# ისტორიული ძეგლები, რომელთა შექმნის საიდუმლო კვლავ ამოუხსნელია

ბოლო 2 ასწლეულის განმავლობაში აღმოჩენილია ჩვენი წინაპრების მიერ აგებული იდუმალებით მოცული ნაგებობები და ქანდაკებები. მათი შექმნის მეთოდებს ვერ ხსნიან ვერც მშენებლები და ვერც არქეოლოგები. და, ბუნებრივია, რომ მრავალი საუკუნეების განმავლობაში მათზე ბევრი მითი და ლეგენდა შეიქმნა. გაეცანით რამდენიმე ნაგებობას, რომელთა წარმოშობა დღემდე ბურუსითაა მოცული.



## ქალაქი ბაალბეკი, ლიბანი

ბაალბეკში (ლიბანი) არის უზარმაზარი ტაძრები, რომლებიც აგებულია სხვადასხვა ცივილიზაციის მიერ. უცნობია, ვინ ააშენა ისინი, გაუგებარია — როგორ. ბახუსის ტაძარი 2-ჯერ დიდია ათენის პართენონზე, მისი ბლოკები კი ათას ტონას იწონის. შესადარებლად, დიდი პირამიდის ყველაზე მძიმე ბლოკი 90 ტონაა. ეს ტაძარი რომაელებმა ააგეს და მიუძღვნეს ბახუსს (ბაკქს). ზოგიერთის აზრით კი, ტაძარი ძველმა ეგვიპტელებმა ააშენეს.



## ანგკორ-ბატი, კამბოჯა

დასავლური ცივილიზაციის წარმომადგენლები თვალებს ვერ უჯერებენ, როცა XIX საუკუნეში აღმოაჩინეს ანგკორ-ბატის წმინდა კომპლექსი, რაც ნიშნავს „ქალაქების ტაძარს". სამშენებლო მასალები და ბევრი სტრუქტურის ბალანსირების მეთოდები სრულიად უცნობია. ეს ინდუისტური ტაძარი ნელ-ნელა გადაიქცა ბუდისტურად. ის ისეა განლაგებული, რომ ადამიანი ვერ განსაზღვრავს, რამდენი კოშკია ორივე მხარეს. წვიმების სეზონზე კი ტაძარი ისე ჩანს, როგორც კუნძული ზღვაში.



## ტერაკოტის არმია, ჩინეთი

თანამედროვეობის ერთ-ერთი საოცარი აღმოჩენაა იმპერატორ ცინ შიხუანდის ტერაკოტის არმია. ჩინეთის პირველი იმპერატორი დაიბადა და ცხოვრობდა ჩვ. წ. აღ-მდე III საუკუნეში. ტერაკოტის არმია გასული საუკუნეების 70-იან წლებში შემთხვევით იპოვა ფერმერმა. 8 ათასზე მეტ ჯარისკაცს იმპერატორისთვის უნდა ემსახურა იმქვეყნიურ ცხოვრებაში, განსაცვიფრებელია სკულპტურების რეალურობა — ტერაკოტის მეომრების სახეები ერთმანეთისგან განსხვავდება.



## კუნძულ დიდი ზაიაცკის ქვის ლაბირინთები, რუსეთი

თეთრ ზღვაზე, კუნძულ დიდ ზაიაცკიზე (სოლოვეცკის არქიპელაგი) არის ქვის 12-მდე უცნაური სპირალური ლაბირინთი. მკვლევრები ირწმუნებიან, რომ ისინი 2500-ზე მეტი წლისაა, მაგრამ მათი ფუნქცია გაურკვეველია. ზოგიერთ სპეციალისტს მიაჩნია, რომ ლაბირინთები გასართობად ააშენეს, ზოგიერთის აზრით კი, მას რელიგიურ-საკულტო დანიშნულება აქვს.



## სფინქსი გიზაში, ეგვიპტე

ცნობილი სფინქსის წარმოშობის ძირითადი ჰიპოთეზა არის ის, რომ 4 ათასი წლის წინათ შექმნეს ეგვიპტელებმა, მაგრამ ექსპერტიზის შედეგად დადგინდა, რომ სფინქსი გაცილებით ძველია. ის შეიძლება იყოს 10 ათასი წლის. ამას გარდა, გაირკვა, რომ სფინქსის შიგნით არის გვირაბების ქსელი, რომელიც ჯერ კარგად შესწავლილი არ არის.





## პეტრა, იორდანია

ქალაქი პეტრა (იორდანია), რომელიც მსოფლიოს ერთ-ერთ საოცრებად ითვლება, მთის მასივებში გამოკვეთილი ტაძრების ფასადებით არის განთქმული. ამ ტაძრების როგორც ზომები, ისე დეტალების სიმდიდრე განცვიფრებას იწვევს. და დღეს არავინ იცის, ვინ შეასრულა ეს ფილიგრანული სამუშაოები.



## აღდგომის კუნძული, ჩილე

აღდგომის კუნძულის კოლოსალური მოაიები (ქვის მონოლითური სტატუები) ადგილობრივმა მოსახლეობამ 1000 წლის წინათ გამოკვეთა. თითოეული მოაი გაკეთებულია ტუფის მთლიანი ბლოკისგან, მაგრამ საუკუნეების განმავლობაში სტატუები ერთი ადგილიდან მეორეზე გადაიტანეს. აქამდე დადგენილი არ არის, როგორ გააკეთეს ეს.



## სტოუნჰენჯი, ინგლისი

სტოუნჰენჯის ქვების წრე ყველაზე ცნობილი იდუმალი ნაგებობაა. უზარმაზარი ლოდებით შექმნილი ნაგებობა 4000-ზე მეტი წლისაა. უცნობია არა მხოლოდ მისი დანიშნულება, არამედ მეთოდები, რომლებითაც გადაიტანეს ეს ქვები. ზოგიერთი ამტკიცებს, რომ ეს იყო ასტრონომიული ლაბორატორია, ზოგიერთის აზრით კი, ეს ლოდები XX საუკუნეში რამდენჯერმე გადააადგილეს და უცნობია, იყო თუ არა იმ მდგომარეობაში, რომელშიც ახლა იმყოფება. ამ ადგილთან დაკავშირებულია ბევრი ძველი ლეგენდა დრუიდების მემკვიდრეობიდან ჯადოქარ მერლინის მემკვიდრეობამდე.



## ტიკალი, გვატემალა

ჯუნგლებში ჩამალული ქალაქი ტიკალი მაიას ცივილიზაციის ყველაზე კარგად შემონახული ძეგლია. აქ ოდესღაც იყო 200 ტაძარი, მაგრამ დარჩა რამდენიმე, რომლებიც დიდ შთაბეჭდილებას ახდენს თავიანთი არქიტექტურით. მაიას ენაზე „ტიკალი" ნიშნავს „ადგილს, სადაც ისმის სულების ხმები". აქ ხშირად შეიძლება მოისმინოთ უცნაური ექო, რომელიც ნაგებობებს შორის წარმოიქმნება ხოლმე.



## ნიუგრეინჯი, ირლანდია

ნიუგრეინჯის ყორღანი (ირლანდია) 5 ათასი წლისაა. ამის მიუხედავად, ის ჰგავს თანამედროვე ბუნკერს ან კოსმოსურ ბაზას. ნიუგრეინჯის ყორღანი აშენდა ქრისტეს შობამდე 3 ათასი წლით ადრე, როგორც ირლანდიის ძველი მცხოვრებლების სამარხი. ზამთრის მზებუდობისას მზის სხივები ანათებს ცენტრალურ კამერას.

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

სპორტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



1974 წლის 30 ოქტომბერს, ზუსტად 44 წლის წინათ, კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქ კინშასაში გაიმართა ცნობილი ორთაბრძოლა კრივის ისტორიაში. ბევრი მას „მუშტი-კრივს ჯუნგლებში" (The Rumble in the Junge) უწოდებს.

**„ალი წავიდა ლეპროზორიუმში, სადაც მოინახულა კეთრით დაავადებული მომაკვდავი ადამიანები. როდესაც იქიდან დავბრუნდით, 10-ჯერ მაინც მივიღე შხაპი. ალიმ მითხრა: „ნუ შეშფოთდები ამის გამო. ღმერთი გვიყურებს და ჩვენ არ დავსნეულდებით კეთრით". ალი არასოდეს ამბობდა უარს უბრალო ადამიანებთან ურთიერთობაზე. სწორედ ამიტომ მათთვის ის ყოველთვის ჩემპიონი იყო".**

# მუშტი-კრივი ჯუნგლებში

# ისტორიული ორთაბრძოლა — ალი ფორმენის წინააღმდეგ

აფრიკულ რინგზე ერთმანეთს შეხვდნენ ამერიკელი მოკრივეები **მოჰამედ ალი** და **ჯორჯ ფორმენი.** ეს იყო მძიმეწონოსანთა პირველი ბრძოლა, რომელიც შავ კონტინენტზე გაიმართა. ამ ორთაბრძოლაზე ბრიტანული გამოცემა Telegraph-ის ჟურნალისტი მოჰამედ ალის მენეჯერს — **ჟენე კილროის** ესაუბრა. ამ ბრძოლაში ფავორიტად ითვლებოდა ფორმენი — ახალგაზრდა, დაუმარცხებელი მოკრივე, რომელმაც მანამდე 40 ორთაბრძოლა ჩაატარა და მათგან 37-ში ნოკაუტით გაიმარჯვა. ბევრის აზრით, მოჰამედ ალის გამარჯვების ძალიან ცოტა შანსი ჰქონდა, მან დამარცხება განიცადა ჯერ **კენ ნორტონისგან,** შემდეგ — **ჯო ფრეიზერისგან,** რომელსაც ფორმენი იოლად გაუსწორდა, მაგრამ ალიმ სკეპტიკოსები შეარცხვინა.

## უქალებოდ და უნაყინოდ

**დონ კინგს** ახალი დაწყებული ჰქონდა პრომოუტერობა (ორგანიზატორობა პროფესიულ სპორტში), როცა ალის ორთაბრძოლის გამართვა აფრიკაში შესთავაზა. კინგი, რომელმაც ვერ შეძლო აშშ-ში სპონსორების მოძიება, შეხვდა ზაირის (ამჟამად კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა) იმჟამინდელ ლიდერ **მობუტუ სესე სეკოს** — აფრიკელ დიქტატორს, რომელმაც მოგვიანებით ქვეყანა კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე მასშტაბურ ომამდე მიიყვანა. პოლიტიკოსი დათანხმდა, საერთაშორისო არენაზე თავისი იმიჯის გასაუმჯობესებლად ორთაბრძოლის გასამართავად 12 მლნ დოლარი გამოეყო. თითოეული მოკრივე 5 მლნ-ს მიიღებდა, მაგრამ ფულმა მათთვის უკანა პლანზე გადაიწია. ორივეს სურდა, რინგზე თავისი უპირატესობა დაემტკიცებინა. ორთაბრძოლამდე რამდენიმე დღით ადრე ფორმენის მწვრთნელმა **არჩი მურმა** ალის გადასცა წერილი, რომელშიც იყო მხოლოდ ერთი სტრიქონი: „You've gotten too old to win the big gold" („შენ ძალიან ბებერი ხარ იმისთვის, რომ ოქრო აიღო"). ამ სტრიქონის დამწერ მურს ალისთან ნოკაუტით ჰქონდა წაგებული ორთაბრძოლა. თვით ალის მენეჯერ კილროისაც არ ჰქონდა ალის გამარჯვების იმედი. **„ყველაზე მეტად მაშფოთებდა ერთი რამ: ალის სერიოზული ტრავმები არ მიეღო,** — იგონებს კილროი, — **შევეცადე, დამედგინა, იყო თუ არა ზაირში კარგი საავადმყოფოები. ვიფიქრე, რომ აუცილებლობის შემთხვევაში ალის თვითმფრინავით გადავიყვანდით პარიზში. როცა ამის შესახებ ალის ვუთხარი, მიპასუხა: „ნუ წუხხარ ჩემზე, სჯობს, ჯორჯზე იფიქრო".**

საქმე საავადმყოფომდე რომ არ მიეყვანა, მოჰამედი გულმოდგინედ ემზადებოდა ბრძოლისთვის. ის ორთაბრძოლის დაწყებამდე 55 დღით ადრე ჩავიდა ზაირში, რათა გაევლო აკლიმატიზაცია და კარგად მომზადებულიყო ახალგაზრდა ფავორიტის წინააღმდეგ საბრძოლველად. ალი გარემოცვასთან ერთად ცხოვრობდა კინშასიდან 40 მილით დაშორებულ პატარა სოფელში.

ალის ესმოდა, რომ მხოლოდ კარგად დაგეგმილი მომზადებით შეძლებდა გამკლავებოდა ფორმენს, რომელიც თამაშთამაშით ამარცხებდა ნებისმიერი დონის მოწინააღმდეგეს.

ალი ყოველდღე ადრე დგებოდა და დარბოდა, მას უერთდებოდნენ ზაირელებიც, მათ შორის — მოხუცები, ქალები და ბავშვები. ისინი ალის ანიჭებდნენ უპირატესობას, რაც ორთაბრძოლაზეც აისახა, როცა დარბაზი სკანდირებდა: „გაუსწორდი მას, ალი!" ალის ყოველდღიურ გრაფიკში იყო ინტენსიური ვარჯიშები იმპროვიზებულ დარბაზში და თეორიული მეცადინეობები. ალის შეზღუდვებიც დაუწესეს, აკრძალვებს შორის ყველაზე მეტად აწუხებდა ის, რომ იძულებული იყო, უარი ეთქვა ქალებთან ურთიერთობასა და ნაყინზე.

## უდიდესი ჩემპიონი

ორთაბრძოლის წინ ალი ტელეფონით ელაპარაკა **კას დ'ამატოს,** მწვრთნელს, რომელიც მოგვიანებით დაეხმარა მაიკ ტაისონს, გამხდარიყო ყველაზე ახალგაზრდა ჩემპიონი სუპერმძიმე კატეგორიაში. „კასი იყო ალის სულიერი მოძღვარი, მიიჩნევდა, რომ კასი იყო მისი ფარი, მფარველი ანგელოზი რინგზე", — ამბობს კილროი.

დ'ამატომ უთხრა ალის, რომ ფორმენი ძალიან ექსპრესიულია, ამიტომ პირველი დარტყმებით უნდა აჩვენოს, რომ სერიოზულად არის მომზადებული და ფორმენის ძლიერი მხარეები მის წინააღმდეგ უნდა გამოიყენოს. „შიში არის ცეცხლივით, რომელსაც შეუძლია ან დაწვას თქვენი სახლი, ან დაგეხმაროთ სტეიკის შეწვაში. ყველას რაღაცის ეშინია, მაგრამ მთავარია შიშის გაკონტროლება", — უთხრა კასმა.

ალიმ ხელახლა უყურა ფორმენის საუკეთესო ორთაბრძოლებს და შენიშნა, რომ მას არ ჰყოფნიდა ამტანობა, ფიზიკური გამძლეობა. ალი ფიქრობდა, რომ კრიტიკული იქნებოდა პირველი რაუნდები, რომლებშიც უნდა გაეძლო და ფეხზე მდგარიყო. „რაც უფრო დიდხანს გაგრძელდებოდა ორთაბრძოლა, გამარჯვების მით ნაკლები შანსი ექნება ფორმენს", — ვარაუდობდა ალი.

ორთაბრძოლის წინ კილროი შევიდა ფორმენის გასახდელში, როცა მას ხელისგულებს უხვევდნენ. ფორმენმა უთხრა კილროის, რომ ალის შვილები მალე მოხვდებოდნენ თავშესაფარში. **„ჰაერში სიკვდილის სუნს ვგრძნობ",** — მიაძახა ფორმენის მწვრთნელმა არჩი მურმა. არჩი მურის სიტყვების მოსმენის შემდეგ ალიმ გაიღიმა და თქვა: „მოუთმენლად ველი ბრძოლის დაწყებას!"

ბრძოლის წინა ღამით მოჰამედ ალი მაინც ანერვიულდა — ვერაფრით დაიძინა. ის ავტობუსით მივიდა Stad Du 20 may-ს არენაზე, სადაც 60 ათასი ადამიანი იყო შეკრებილი, თითქმის ყველა მხარს უჭერდა ალის. ორთაბრძოლა მიმდინარეობდა მაღალი ტენიანობისა და ტემპერატურის პირობებში. ეს სწრაფად აისახა მოკრივეების ფიზიკურ მდგომარეობაზე. **ალი, ყველაფრის მიუხედავად, მძლავრ კონტრშეტევებს ახორციელებდა. ფორმენიც კარგად გამოიყურებოდა, მისი დარტყმები ხშირად აღწევდა მიზანს, მაგრამ ალი ფეხზე იდგა, მერვე რაუნდში კი მოწინააღმდეგეს ზუსტად შეუტია კომბინაციით: მარჯვენა-მარცხენა-მარჯვენა. ახალგაზრდა ჩემპიონი შეტორტმანდა და დაეცა. ფორმენმა შეძლო მე-9 დათვლაზე წამოდგომა, მაგრამ რეფერიმ ორთაბრძოლა შეწყვიტა. სტადიონი ფეხზე იდგა და სკანდირებდა: „ალი, მოკალი ის!"**

„განა მე არ ვარ ყველა დროის საუკეთესო მოკრივე?" — ჰკითხა ალიმ გასახდელში შეჭრილ ჟურნალისტებს. ერთ-ერთმა უპასუხა: „მუჰამედ, შენ ეს ახლახან დაუმტკიცე ყველას!"

ბრძოლის შემდეგ ალი წავიდა სოფელში, სადაც ემზადებოდა. „ყველაფერი ჰგავდა დაბრუნებას არმიისა, რომელმაც ომში გაიმარჯვა, — იხსენებს კილროი. — ჯუნგლებში უამრავი ადამიანი შეგროვდა, ზოგი ხელში აყვანილი ბავშვით მივიდა, ისინი ალის ელოდნენ კოკისპირულ წვიმაში.

ალი უბრალო მოკრივე აღარ იყო, ის მსოფლიოს მბრძანებელი გახდა. როცა ზაირში ვიმყოფებოდი, ალი პრეზიდენტ მობუტუზე პოპულარული იყო. ზაირელებისთვის რომ ეთქვა, „მინდა, თქვენი პრეზიდენტი ვიყოო", ასეც მოხდებოდა.

ის ყოველთვის პოულობდა დროს ღარიბ და ავადმყოფ ადამიანებთან ურთიერთობისთვის. და ეს კარგად დაიმახსოვრეს. როცა ორთაბრძოლისთვის ვემზადებოდით, ბანაკში მოვიდა გოგონა და თქვა, რომ მისი შვილი ავად იყო. „წავიდეთ, მოვინახულოთ", — თქვა ალიმ.

ალი წავიდა ლეპროზორიუმში, სადაც მოინახულა კეთრით დაავადებული მომაკვდავი ადამიანები. როდესაც იქიდან დავბრუნდით, 10-ჯერ მაინც მივიღე შხაპი. ალიმ მითხრა: **„ნუ შეშფოთდები ამის გამო. ღმერთი გვიყურებს და ჩვენ არ დავსნეულდებით კეთრით".** ალი არასოდეს ამბობდა უარს უბრალო ადამიანებთან ურთიერთობაზე. სწორედ ამიტომ მათთვის ის ყოველთვის ჩემპიონი იყო".

„არასოდეს დამავიწყდება ალისთან გატარებული დრო, — ასრულებს თავის მონათხრობს კილროი. — მილიონერები და მილიარდერები ყველაფერს გაიღებენ იმისთვის, რომ განიცადონ მსგავსი ემოციები. როცა ალისთან ვიყავი, ურთიერთობა ჰქონდა მეფეებთან, პრეზიდენტებთან, იმპერატორებსა და დედოფლებთან. ეს ემოციები დაუვიწყარია".



**ალი ყოველდღე ადრე დგებოდა და დარბოდა, მას უერთდებოდნენ ზაირელებიც, მათ შორის — მოხუცები, ქალები და ბავშვები. ისინი ალის ანიჭებდნენ უპირატესობას, რაც ორთაბრძოლაზეც აისახა, როცა დარბაზი სკანდირებდა: «გაუსწორდი მას, ალი!» ალის ყოველდღიურ გრაფიკში იყო ინტენსიური ვარჯიშები იმპროვიზებულ დარბაზში და თეორიული მეცადინეობები. ალის შეზღუდვებიც დაუწესეს, აკრძალვებს შორის, ყველაზე მეტად მას აწუხებდა ის, რომ იძულებული იყო, უარი ეთქვა ქალებთან ურთიერთობასა და ნაყინზე**



მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

# გიორგი ლომია «ქართულ ოცნებას»: თქვენი შეცდომა არის უმადურობა, რომელიც მხარდამჭერების მიმართ გამოავლინეთ



**თქვენი შეცდომა არის უმადურობა, რომელიც გამოავლინეთ ხალხის მიმართ. ბევრი, ვინც მხარში გედგათ, ვინც იბრძოდა თქვენთან ერთად და დაამარცხა სააკაშვილის რეჟიმი, დღესაც იბრძვის, ოღონდ უკვე თქვენ საწინააღმდეგოდ, — ასე მიმართა „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის" წევრმა გიორგი ლომიამ ბიუროს სხდომაზე „ქართული ოცნების" წარმომადგენლებს.**

ლომიას თქმით, ყველა ის ადამიანი, რომლებიც „ქართული ოცნების" მხარდამჭერებს არბევდნენ, აუპატიურებდნენა და კლავდნენ, დღეს ისევ ძველ სამსახურში მუშაობს ან დაწინაურებულია.

**„ყველა ადამიანი, რომლებიც ყვიროდნენ: „მიშა მაგარიაო", ვინც აგინებდა ოპოზიციას, არბევდა, აუპატიურებდა, კლავდა, დღეს ან დაწინაურებულია, ან ისევ ძველ სამსახურში მუშაობს და კაციშვილს არ უკითხავს, რატომ სჩადიოდა ამ დანაშაულს. ამიხსენით, თქვენ გჯერათ, რომ ჩვენს ქვეყანაში ამდენი ავადმყოფი არსებობს, თითქმის 800 ათასი, რომელმაც გუშინ დაუჭირა მხარი იმ პოლიტიკურ ძალას, რომელმაც გააუპატიურა ახალგაზრდები, დახოცა ქუჩებში, ციხეში სვამდა ხალხს მხოლოდ იმის გამო, რომ ბიზნესს აფორმებინებდნენ და ა. შ.? შეიძლება, ამდენი ავადმყოფი ადამიანი არსებობდეს? არა, დამიჯერეთ, ამდენი ავადმყოფი არ არსებობს საქართველოში, მაგრამ თქვენ იმდენი ქენით, ხალხმა არჩევანი გააკეთა „ნაცმოძრაობასა" და თქვენ შორის",** — განაცხადა გიორგი ლომიამ და აღნიშნა, რომ „ქართული ოცნების" რეიტინგი რეალურად 38%-ზე გაცილებით მეტია, მაგრამ საპრეზიდენტო კანდიდატს, რომელსაც „ქართულმა ოცნებამ" მხარი დაუჭირა, ხალხის მხარდაჭერა არ აქვს.

„ჩვენ გვაქვს ცალკე ჩატარებული კვლევა. თქვენი რეიტინგი გაცილებით მეტია, მაგრამ კანდიდატს, რომელიც თქვენ დააყენეთ, პრაიმერი ან ან სიციოლოგიური გამოკითხვა რომ ჩაგეტარებინათ, ნახავდით, რომ არ აქვს მხარდაჭერა ხალხის მხრიდან. თქვენ სულში ჩაფურთხება გამოგივიდათ. დააყენეთ კანდიდატად ადამიანი, რომელსაც თქვენივე მხარდამჭერი ამომრჩეველი მხარს არ უჭერს. „ქართულ ოცნებას" მივმართავ: **თქვენ შექმენით ქვეყანაში პრეცენდენტი, როცა „ნაცმოძრაობას", ანუ ამ მწამებლებს აქვთ უფლება, დღეს პირდაპირ ილაპარაკონ, რომ არიან მეორე პოლიტიკური ძალა",** — განაცხადა გიორგი ლომიამ.



# ბრაზილიაში საპრეზიდენტო არჩევნებში ულტრამემარჯვენე კანდიდატმა გაიმარჯვა

**ბრაზილიის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში ულტრამემარჯვენე კანდიდატმა ჟაირ ბოლსონარუმ გაიმარჯვა.**

ქვეყნის უმაღლესი საარჩევნო სასამართლოს ინფორმაციით, ბიულეტენების 94,44%-ის დათვლის შემდეგ ბოლსონარუმ ხმების 55,54% მიიღო, მისმა ოპონენტმა, მემარცხენე „მშრომელთა პარტიის" წარმომადგენელმა ფერნანდუ ადადმა — 44,46%.

ახალი პრეზიდენტის ინაუგურაცია 2019 წლის 1 იანვარს გაიმართება, ის თანამდებობაზე 4 წლით აირჩიეს.



# ანგელა მერკელი 2021 წელს კანცლერად კენჭს აღარ იყრის

**გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა განაცხადა, რომ თანამდებობის ამჟამინდელი ვადა მისთვის ბოლო იქნება. ამის თაობაზე ინფორმაციას ავრცელებს სააგენტო „ბლუმბერგი". კანცლერის პოსტზე მერკელის ვადა 2021 წელს იწურება.** მანამდე გავრცელდა ინფორმაცია, რომ მერკელი პარტია „ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის" თავმჯდომარის თანამდებობას ტოვებს. მერკელმა თანაპარტიელებს განუცხადა, რომ ქრისტიან-დემოკრატების ახალი თავმჯდომარის არჩევნებში მონაწილეობას აღარ მიიღებს. არჩევნები დეკემბრის დასაწყისში უნდა გაიმართოს. მერკელი პარტიას 2000 წლიდან ხელმძღვანელობდა.

# გედევან ფოფხაძე: თუ გრიგოლ ვაშაძე მოიგებს არჩევნებს, ეს იქნება რეალური ნაბიჯი სამოქალაქო ომის დაწყების თვალსაზრისით

**საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა გედევან ფოფხაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ, თუ გრიგოლ ვაშაძე მოიგებს არჩევნებს, ეს იქნება რეალური ნაბიჯი საქართველოში სამოქალაქო ომის დაწყების თვალსაზრისით. როგორც მან აღნიშნა, ამის თქმის საფუძველს აძლევს „ნაციონალური მოძრაობის" ამოცანა, რომელიც, ფოფხაძის თქმით, მერაბიშვილისა და ახალაიას ციხიდან გამოყვანასა და მიხეილ სააკაშვილის საქართველოში ჩამოყვანას უკავშირდება.**



„თუ ვაშაძე მოიგებს არჩევნებს, ეს იქნება რეალური ნაბიჯი საქართველოში სამოქალაქო ომის დაწყების თვალსაზრისით. მე ამაში, ფაქტობრივად, დარწმუნებული ვარ. ამის თქმის საფუძველს მაძლევს სწორედ ის რევანშისტული განწყობები და ის ამოცანა, რომელიც „ნაციონალურ მოძრაობას" აქვს, რომ ჩამოიყვანოს **სააკაშვილი,** გამოიყვანოს **მერაბიშვილი,** გამოიყვანოს **ახალაია.** რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი მიმართული იქნება იმ პოლიტიკური ოპონენტების ლიკვიდაციისკენ, რომლებიც სააკაშვილისთვის პრობლემას წარმოადგენენ. ფიზიკურ ლიკვიდაციას და მსგავს რაღაცებს, ბუნებრივია, არც ერთი ქართველი სახლში არ დაელოდება. ჩვენ ძალიან კარგად გვესმის, რას აპირებს სააკაშვილი და მისი გუნდი. **დარწმუნებული ვარ, რომ ამ საფრთხის წინაშე ყველა პირს შევკრავთ, გავერთიანდებით, ყველანაირ წყენასა და უკმაყოფილებას, რაც კი შეიძლება გვქონოდა ერთმანეთის მიმართ, დავივიწყებთ და შევძლებთ, რომ ეს ფაშისტური ძალა არ გახდეს საქართველოს დაღუპვის წინაპირობა,"** — განაცხადა გედევან ფოფხაძემ.

# რომელ სუნელებში აღმოჩნდა ნორმაზე მეტი ტყვია

**სუნელების 93 ნიმუშიდან ტყვიის შემცველობა წელს სამ ნიმუშში გამოვლინდა. სურსათის ეროვნული სააგენტო იმ სუნელების სახელწოდებებსაც აკონკრეტებს, რომლებშიც ტყვია დასაშვებ ნორმაზე მაღალია. ინფორმაციას 1ტვ.გე ავრცელებს.**



ტყვიის დასაშვებზე მაღალი შემცველობა აღმოჩნდა:

* „ჯეო"-ს წარმოებულ წითელ წიწაკაში (ახალციხე, დამფასოებელი და რეალიზატორი შპს გურამ მათოშვილი, ტყვია ნორმას 10-ჯერ აჭარბებდა);
* ინდმეწარმე „ჩოფლიანის" მიერ წარმოებულ სვანურ მარილში (ბათუმი, რეალიზატორი შპს „ტარიელი", ნორმას თითქმის 2-ჯერ გადაჭარბებდა);
* „აი პროდაქტ"-ის მიერ დამზადებულ ხმელ სუნელში (გადაჭარბება 4-ჯერ).

სამივე შემთხვევაში სუნელების პარტიები, რომლებშიც ტყვია აღმოჩნდა, განადგურდა, საწარმოებზე კი, დარღვევების პრევენციის მიზნით, ზედამხედველობა მიმდინარეობს. მოქმედი კანონმდებლობით, ტყვიის შემცველობა სანელებლებში 5 მილიგრამს არ უნდა აღემატებოდეს კილოგრამში.

2018 წლის 7 თებერვალს ცნობილი შეიქნა, რომ საქართველოს მთავრობის დადგენილებით, სუნელებისა და სანელებლების წარმოება-გადამუშავებასა და ბაზარზე განთავსების თაობაზე რისკის მართვის დროებითი ზომები გატარდება.

ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგეოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

ტელ: 599-722-138; 247-58-83
მის.: წერეთლის №142, I სართ.
კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი

საქართველო

ესტუმრეთ ჩვენს საიტს

პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

http://www.geworld.ge

სარედაქციო კოლეგია

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.

მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6

ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru

ISSN 2233-3894